



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე

ასოცირებული პროფ. დოქტორი ანრი ოხანაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა

პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი

პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი

პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასოცირებული პროფ. სამართლის დოქტორი მაკა ხოდელი (თსუ), LL.M. (ფრაიბურგი)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორ, სამართლის დოქტორ, მერაბ ტურავასადმი მიძღვნილი სპეციალური გამოცემა – 1

შინაარსი

წინასიტყვაობა

1

სტატიები

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე მედიის ზეგავლენისგან დაცვის მექანიზმები

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ირინა აქუბარდია*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3

ადამიანით ვაჭრობის (ტრაფიკინგის) სუბიექტური შიშვანდობა

პროფესორი, სამართლის დოქ. *ირაკლი დვალაძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

9

მდგომარეობისადმი ერთგული ეკონომიკური სისხლის სამართალი, როგორც იურიდიული მეცნიერებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის გამომწვევა ევროპაში

პროფესორი, სამართლის დოქ., საპატიო დოქტორი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) *მარტინ ჰეგერი*, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი

16

შმართლობა და პრალი და გერმანულ სისხლის სამართალში

პროფესორი, სამართლის დოქ., საპატიო დოქ. (თსუ) *ბერნდ ჰაინრიხი*, თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი

23

ნაკომდანახაშლის ზომიერითი სამართლებრივი პრობლემა სასამართლო პრაქტიკაში

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ლაფრენტი მაღლაკელიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

35

პრალის გამომრიცხველი გარემოებების რამდენიმე საკითხისათვის მედიცინის სისხლის სამართალში

ასოცირებული პროფ. სამართლის დოქ. *ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი*, სამართლის მაგისტრი (იენა), საქართველოს უნივერსიტეტი

43

საკონსტიტუციო სამართალწარმოების საუნევერსიტეტო სწავლების ძირითადი მახასიათებლები და მისი მნიშვნელობა

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *გიორგი თევდორაშვილი*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, სასამართლოს მდივანი

48

ადკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძვლები და უდანახაშლობის პრაქტიკა

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *გიორგი თუმანიშვილი LL.M.* (ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

55





სარედაქციო კოლეგია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის რაიონული სასამართლოს
ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე
პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე
პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი
ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი
LL.M. (ბერლინი)
გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი
ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე
ადვოკატი დავიდ კონრადი
პროფ. დოქ. ლავრენტი მალლაკელიძე
პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.
(ფრაიბურგი)
ასოცირებული პროფ. სამართლის დოქ.
ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)
დოქ. ანნეკე პეტცე
დოქ. მარტინ პიაცენა
პროფ. დოქ. ეროლ პოლრაიხი
სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის
დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის
შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იონა რინჩიანუ LL.M.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი
მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა
ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.
(ჰამბურგი)
პროფ. დოქ. ედვარდ შრამი
ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
ასოცირებული პროფ. დოქ. ლევან ხარანაული
ასოცირებული პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M.
(ფრაიბურგი)
პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M. (მიუნხენი)
პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი
პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

ჟურნალის 2024 წლის პირველი გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:
აზა მორგოშია LL.M. (კიოლნი), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
სამართლის დოქ. ნინო მჭედლიშვილი
მარიამ რიყამაძე, ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრი
მარიკა ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი
თამარ შავგულიძე LL.M. (პასაუ), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა, ჟურნალის
სამუშაო ჯგუფის წევრი

2024 წლის პირველ გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასოცირებული
პროფ. სამართლის დოქ. მაკა ხოდელი (ფრაიბურგი),
თსუ

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო,

გერმანულ-ქართულმა სისხლის სამართლის ჟურნალმა (DGStZ) უკვე დაიმკვიდრა ადგილი გერმანულ-ქართული სამართლის განვითარების ფარგლებში და მოხარული ვართ, რომ თქვენთან ერთად წარმატებული თანამშრომლობის მეცხრე წელს ვაგრძელებთ.

ჟურნალის ეს გამოცემა ისე, როგორც მისი მომდევნო გამოცემა, განსაკუთრებული მაღლიერებით ეძღვნება მის ერთ-ერთ გამომცემელს, პროფესორს, სამართლის დოქტორს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს მერაბ ტურავას. 2024 წლის 23 სექტემბერს მერაბ ტურავას 60 წელი შეუსრულდა.

მერაბ ტურავა ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი გამორჩეული გამომცემელია, რომლის, როგორც სამეცნიერო და პედაგოგიურ, ისე სამოსამართლო საქმიანობას განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ქართული სისხლის სამართლის განვითარებაში. მის სახელს უკავშირდება ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემისა და მისი გამოვლინებების სიღრმისეული გამოკვლევა და შედეგად, ამ სისტემის ცალკეულ ნიშნებთან დაკავშირებით ახალი მიდგომების ჩამოყალიბება. მერაბ ტურავას სამეცნიერო მიღწევებს საფუძვლად უდევს ქართული და გერმანული სისხლის სამართლის სიღრმისეული ცოდნა. მან 1997 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში და სწორედ მის ნაშრომში ასახულმა იდეებმა ჰპოვეს განვითარება, როგორც მის შემდგომ სამეცნიერო ნაშრომებში, ისე დღეს მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მერაბ ტურავას დიდი ძალისხმევა საქართველოში გერმანული სისხლის სამართლის პოპულარიზაციის საქმეში და ორმხრივი – გერმანულ-ქართული – სამეცნიერო სამართლებრივი ურთიერთობების განვითარებაში. აღსანიშნავია მისი კანონშემოქმედებითი როლი დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავების დროს, როდესაც ახალ ქართულ კოდექსში გერმანული სისხლის სამართლის

მეცნიერების მიდგომები სხვა პროფესორებთან ერთად მისი აქტიური მეცადინეობით აისახა. რაც შეეხება მერაბ ტურავას უშუალო ხელმძღვანელობით სისხლის სამართლის სფეროში წარმართულ გერმანულ-ქართულ სამეცნიერო თანამშრომლობას, ის სხვადასხვა ასპექტით არის გამორჩეული. ეს თანამშრომლობა გამოიხატება, როგორც ქართველი და გერმანელი პროფესორების ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში, ისე ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტების გერმანიაში სამეცნიერო მივლინებების ხელშეწყობაში. ასეთი მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობის ფარგლებში, ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით, ქართველი და გერმანელი პროფესორებისა და დოქტორანტების მონაწილეობით, საქართველოსა და გერმანიაში, ჩატარდა ერთობლივი სამეცნიერო კოლოქვიუმები, საქართველოში პირველად გაიმართა ქართველ და გერმანელ პროფესორთა სამეცნიერო სიმპოზიუმი სისხლის სამართალში, მოგვიანებით კი, მერაბ ტურავასა და ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხის ავტორობით გამოქვეყნდა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო ორ ნიგნად.

მერაბ ტურავას ბიოგრაფიას ასევე ამდიდრებს მისი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პრაქტიკული საქმიანობა; კერძოდ, იგი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და იმავდროულად სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. ბოლო წლებში კი იგი არის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე და იმავდროულად სასამართლოს თავმჯდომარე. აღსანიშნავია, რომ ორივე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ამ გადაწყვეტილებებში განვითარებულ სამართლებრივ მსჯელობებს განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ქართული (სისხლის) სამართლის განვითარებაში.

ჭემბარიტი პროფესორისთვის განსაკუთრებულად ძვირფასია მისი ცოდნის ახალგაზრდებისთვის გაზიარება და შემდგომი სამეცნიერო თაობების ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა. მერაბ ტურავას სამეცნიერო მოღვაწეობას ეს ასპექტიც გა-

მოარჩევს. კერძოდ, მის სამეცნიერო საქმიანობას თანმდევ სამარკო ნიშნად გასდევს ახალგაზრდა მკვლევარების თაობის აღზრდა. გვჯერა, რომ პროფესორი მერაბ ტურავა კიდევ ბევრ თაობას აღზრდის და კიდევ მრავალი წელი აქტიურად იმუშავებს ქართული სისხლის სამართლის შემდგომ განვითარებაზე.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით გვსურს, მოკრძალებული ჟესტით გულითადი მადლობა გადავუხადოთ ბატონ მერაბ ტურავას დაუღალავი შრომისათვის და გვსურს, DGSStZ-ის სპეციალური გამოცემებით გამოვხატოთ მადლიერება მის მიერ სისხლის სამართლის სფეროს განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ვიმედოვნებთ, რომ თემატურად საინტერესო საკითხები შევაგროვეთ და ამ გზით გერმანულ და ქართველ პროფესორებს შორის სისხლის სამართლის სფეროში არსებულ სამეცნიერო დისკუსიას ახალ ბიძგს მივცემთ.

გამომცემლების სახელით:

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ.
გიორგი დგებუაძე, ასოცირებული პროფესორი,
სამართლის დოქ. *ლავრენტი მაღლაკელიძე*,
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ.
ანრი ოხანაშვილი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მედიის ზეგავლენისგან დაცვის მექანიზმები

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ირინა აქუბარდია*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ათასწლოვანი ისტორია გააჩნია. მან გაუძლო საუკუნეებს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მართლმსაჯულების დემოკრატიზაციის პროცესში. საქართველოში კი მხოლოდ 13 წელია რაც მოქმედებს, როგორც საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სასამართლო სისტემის შემადგენელი ნაწილი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელებაში. იმავდროულად კი განაპირობებს საზოგადოების მიერ პასუხისმგებლობის აღებას, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს არსებული სამართლებრივი სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებას. განსაკუთრებით ხაზგასასმელია შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციის გამოკვეთილი შესაძლებლობა და ასევე წვლილი სამართლებრივი აზროვნების განვითარებაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ალტერნატიული ფორმა, უნდა პასუხობდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის ყველა აუცილებელ მოთხოვნას.¹ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში შერჩეული იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მსაჯულები, სამართალწარმოების პროცესში მათ მიმართ არასასურველი ზეგავლენის რისკები კანონით იყოს დაზღვეული, რათა ხელი არ შეეშალოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მასმედიით გავრცელებული ინფორმაცია საქმის შესახებ, სატელევიზო სივრცეში მომზადებული სიუჟეტი უმე-

ტესნილად წარმოადგენს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და შეიძლება ობიექტურობას იყოს მოკლებული. კიდევ უფრო დიდი საფრთხე არსებობს სოციალური მედიის სახით, რომელიც ყოველსმომცველი და ინფორმაციის მიღების უმრეტი წყაროა. „ნაფიცი მსაჯული, რომელიც იყენებს სოციალურ მედიას საქმის შესახებ საკუთარი აზრის გამოსახატად, კარგავს მიუკერძოებლობას და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროცესის სამართლიანობას“.²

ნაშრომის მიზანია, გამოვიკვლიოთ რა მიმართებაშია გამოხატვის თავისუფლება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან, რამდენად გამართულია მედიის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა, რა მექანიზმები შეიძლება არსებობდეს მედიის ზეგავლენისგან დასაცავად, რათა მისი გავლენა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ან/და ასეთი გავლენის მიუხედავად ნაფიცმა მსაჯულებმა მაინც შეძლონ ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

II. გამოხატვის თავისუფლება და სამართლიანი პროცესი

საქმის საჯარო განხილვა და სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლება გარანტირებულია როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული კანონმდებლობით.

მედიასაშუალებები ადრესატთა ფართო წრისთვის მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებზე ინფორმაციის მიწოდების გზით ზეგავლენას ახდენენ ინდივიდუალური თუ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესზე. შესაბამისად, ასრულებენ საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების გავრცელების ფუნქციასაც. თუმცა შეიძლება სის-

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის N1/4/557,571,576 გადაწყვეტილება, II.პ.98 (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=953>, ბოლოს ნანახია: 21.06.2024).

² *Marder, Nancy S., Jurors and social media, is a fair trail still possible, smu law review, 2014, 625-626.*

ხლის სამართლის პროცესისთვის სახიფათო როლიც ითამაშონ.³

არსებობს რისკები, ერთმანეთს დაუპირისპირდეს ორი ფუნდამენტური უფლება: სამართლიანი სასამართლო განხილვა და სიტყვის თავისუფლება. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უპირატესობას ანიჭებს სიტყვის თავისუფლებას, ნაწილი კი სამართლიან სასამართლო განხილვას. მაგალითად, ამერიკაში, განსაკუთრებული საგამონაკლისო შემთხვევის გარდა, მედიასაშუალებები არ იზღუდებიან. მასმედიას არ ეკრძალება საქმის განხილვამდე და განხილვისას ინფორმაციის გავრცელება. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამგვარი აკრძალვები თუნდაც ეფექტური იყოს ინტერნეტის ეპოქაში, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ სიტყვის თავისუფლებას.⁴ შესაბამისად, აქ უპირატესობა სიტყვის თავისუფლების მხარეზეა. ინგლისში კი უფრო წინადა ბრალდებულის უფლება სამართლიან სასამართლოზე და შესაბამისად, მედიის მიმართ გამოიყენება როგორც პრევენციული, ასევე რეპრესიული ღონისძიებები. საქმის განხილვაზე ზემოქმედების მომხდენი ინფორმაციის გამოქვეყნებისთვის შესაძლებელია მედიის წარმომადგენელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

საგულისხმოა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობის დასადგენად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მოითხოვს ე.წ. სუბიექტური და ობიექტური ტესტის შემოწმებას. სუბიექტური ტესტი გულისხმობს იმის შემოწმებას, ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი პირად მოსაზრებებს დააფუძნეს თუ არა.

ობიექტური ტესტი კი გულისხმობს იმის გარკვევას, არსებობს თუ არა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საკმარისი გარანტიები ლეგიტიმური ეჭვების გასაფანტად, საფრთხის ქვეშ ხომ არ დგას ნდობა, რაც ბრალდებულს სასამართლოს მიმართ უნდა ჰქონდეს.⁵

შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის საქმის გაშუქების თვალსაზრისით საქართველოს კანონმდებლობა, აშშ-ს მსგავსად, ნაკლებად ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას. აუცილებელია, მასმედია მოქმედებდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას წინასწარი დამოკიდებულება ბრალდებულის მიმართ და არ დაზიანდეს მართლმსაჯულების ინტერესები. შესაბამისად, სასურველია ე.წ. მესამე მოდელის არსებობა, რომელიც ფრთხილ მიდგომას და გამობატვის თავისუფლებასა და სამართლიან სასამართლო პროცესს შორის ბალანსის დაცვას გულისხმობს.

III. მედიასაშუალებების საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

მედიასაშუალებების საქმიანობას აწესრიგებს მაუნციებელთა ქცევის კოდექსი, რომელიც 2009 წელს კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ მიიღო და განსაზღვრავს ჟურნალისტთა პროფესიული ქცევის სტანდარტებს. იმავე წელს შეიქმნა ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც ადგენს სამართლებრივი საკითხების გაშუქების წესებს. თუმცა სისხლის სამართლის საქმეზე ინფორმაციის გავრცელებისას არც ერთი საკანონმდებლო აქტით ჟურნალისტებს არ აქვთ დაწესებული შეზღუდვები, სამართლებრივად მბოჭავი, მზღუდავი ბარიერები.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები მოითხოვს, რომ მაუნციებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა შესახებ, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს სასამართლო პროცესს ან გავლენა მოახდინოს მის შედეგზე.⁶ აღსანიშნავია, რომ ხადას ხეობაში მომხდარი მკვლელობის საქმეზე ნაფიც მსაჯულებზე მედიის ზეგავლენასთან დაკავშირებით ჟურნალისტურმა ეთიკის ქარტიამ იმსჯელა და ქარტიის პრინციპების დარღვევა დაადგინა.⁷ ამასთან, მედიის თვითრეგულირების ორგანოების მიერ გაცემულ დასკვნებს, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი

³ თუმანიშვილი, გიორგი, სისხლის სამართლის საქმეთა მედიის მიერ გაშუქება და დაბალანსებული საინფორმაციო პოლიტიკა, DGStZ (გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი) 2/2021, 64 (ქართული ვერსია).

⁴ ვიდმარი, ნილ, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები), 2005, გვ. 94.

⁵ *Middleton v. United Kingdom, (dec), #23934/94, ECHR 1996*, იხ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენ-

ტული სამართლის მიმოხილვა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2018, გვ. 64.

⁶ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების პირველი მუხლი.

⁷ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის გადაწყვეტილება *სმიტების* ოჯახის მკვლელობის საქმის გაშუქებაზე (ხელმისაწვდომია: <https://www.qartia.ge/ka/siakhleebi/article/66954>, ბოლოს ნანახია: 21.06.2024).

აქვს. რეკომენდაციებს კი ვერ ექნება შემაკავებელი ეფექტი. საჭიროა ეთიკის ნორმების დარღვევისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დანერგვა. რეპორტაჟების, სიუჟეტებისა და სტატიების მომზადებისას პრაქტიკულად უნდა იყოს გამოყენებული „მაუნყებელთა შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლით გათვალისწინებული ჯეროვანი სიზუსტის, შესწორებისა და უარყოფის მექანიზმი. „მედია არ უნდა იყოს მეცამეტე მსაჯული.“

გამოხატვის თავისუფლებასა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას შორის ბალანსის დასაცავად და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის იდეის განვითარებისთვის აუცილებელია დახვეწილი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მედია სტანდარტების შემუშავება და კანონმდებლობაში ასახვა.

IV. მედიის ზეგავლენისგან დაცვის მექანიზმები

მედიის ზეგავლენა ნაფიც მსაჯულებზე გამოწვევას წარმოადგენს თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფუნქციონირებს, რასაც სხვადასხვა მეთოდებით უმკლავდებიან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქმე – *Sheppard v. Maxwell*,⁸ სადაც ამერიკის უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა და მიუთითა კონკრეტული მექანიზმები, რომლებიც მედიის ზეგავლენისგან დასაცავად შეიძლება იქნას გამოყენებული. კერძოდ, „voire dire“-ს პრინციპი, საქმის განხილვის შეჩერება, საქმის განხილვის გადატანა სხვა ადგილას, მოსამართლის მითითებები ნაფიც მსაჯულებისადმი, **No comment**-ის წესი, ნაფიც მსაჯულთა ე.წ. „სეკვესტირება“/ჩაკეტვა.

განვიხილოთ რას გულისხმობს აღნიშნული მექანიზმები და ასევე სხვა რა სამართლებრივი საშუალებები შეიძლება იყოს გამოყენებული ეფექტურად მედიის ზეგავლენისგან ნაფიც მსაჯულთა დასაცავად.

პირველ რიგში სწორად უნდა იყოს გამოყენებული **Voire Dire**. გამოკითხვის შედეგად წინასწარი განწყობის მქონე კანდიდატი კი უნდა იყოს აცი-

ლებული. შერჩევის სხდომაზე აუცილებელია კანდიდატებს დაესვას შეკითხვები მედიის გავლენაზე. ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ რეკომენდირებულია ასეთი შეკითხვების დასმა: „იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თქვენგანს ნაკითხული აქვს ინფორმაცია მომხდარი ფაქტის შესახებ გაზეთში ან სხვა წყაროებში, შეძლებთ თუ ვერა სრულად უგულვებელყოთ ნაკითხული და საქმეზე გადაწყვეტილება მიიღოთ მხოლოდ სასამართლო დარბაზში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე?“⁹

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე, რაც ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილეს, იყო *მ.პ.-ს საქმე*, რომელსაც ბრალი ედებოდა მეუღლის და არასრულწლოვანი შვილის განზრახ მკვლელობაში. ნაფიც მსაჯულთა შერჩევისას იყო მცდელობა ისეთი კანდიდატები გამოერიცხათ, რომლებსაც წინასწარ ჰქონდათ მოსმენილი საქმის შესახებ, თუმცა არავინ იყო დარჩენილი, ვისაც არ ჰქონდა ინფორმაცია ამ საქმეზე. მედიის მიერ საქმის დეტალების ინტენსიური გაშუქების და გარკვეული მტკიცებულებების გასაჯაროების შედეგად საქმის სასამართლო განხილვამდე საზოგადოებრივი აზრი უკვე ჩამოყალიბებული იყო. „თუმცა მსაჯულები იმდენად სწორად იყვნენ პროცედურებზე დაკვალიანებული და იმდენად გამართულად მუშაობდნენ, რომ საზოგადოებრივმა აზრმა გავლენა ვერ მოახდინა.“¹⁰ 2016 წლის 6 ივლისს ვერდიქტი მიღებულ იქნა ერთხმად. არავის, ვინც კი ეს საქმე მოისმინა, არ შეუტანია ეჭვი ვერდიქტის სისწორეში.¹¹

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე პირობებში თითქმის შეუძლებელია ისეთი კანდიდატების შერჩევა, რომლებმაც არაფერი იციან განსახილველი საქმის შესახებ. ამიტომ ფოკუსირება უნდა მოხდეს ისეთ ნაფიც მსაჯულებზე, რომლებმაც მართალია, იციან საქმის შესახებ, მაგრამ შეუძლიათ უარყონ ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრი და

⁹ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩევლის პროგრამის მიერ, აშშ-ს საელჩო.

¹⁰ ინტერვიუ მოსამართლე *ეკა არეშიძესთან*, იხ. საქართველოს სასამართლოს გუშაგი (ხელმისაწვდომია: <https://courtwatch.ge/articles/ekareshidze/>, ბოლოს ნანახია: 03.02.2024).

¹¹ ხელმისაწვდომია: http://pog.gov.ge/news/saapelacio-sasamarTlom-msjavrdebulis_sachivari-daushveblad-scno, ბოლოს ნანახია: 22.12.2023.

⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების ისტორია, 2010, გვ. 99-100.

გადანყვეტილება მიიღონ მხოლოდ სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე.

მედიის ნეგატიური გავლენის შემცირების მექანიზმად ლიტერატურაში აღნიშნულია **საქმის განხილვის შეჩერების** შესახებ იქამდე, სანამ არ დაიკლებს საზოგადოებრივი ინტერესი და მედიის დაინტერესება საქმით.¹² თუმცა ამ შემთხვევაში საქმისადმი მედიის ინტერესი მართალია, მინელეზულია, მაგრამ მხოლოდ დროებით. როგორც კი სხდომა განახლდება, ავტომატურად მედიაც აქტიურდება.

პრევენციული დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს **ადგილმდებარეობის შეცვლას, საქმის განხილვის გადატანას სხვა ადგილას**, სადაც დაბალი იქნება მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე და ასევე ინტერესი საქმის მიმართ, რასაც ითვალისწინებს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა.¹³ თუმცა აღნიშნული რეგულაცია ვერ იქნება ეფექტური ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, სადაც ხშირად მთელი ქვეყნის მოსახლეობას აქვს უკვე ჩამოყალიბებული მოსაზრება სასამართლოს მიერ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და ნაფიცო მსაჯულებიც ამ საზოგადოების წევრები არიან.

მედიის ზემოქმედებისგან ნაფიც მსაჯულთა დაცვის მიზნით, შეიძლება გამოყენებული იყოს **სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი**, რაც ემსახურება კანონიერი და სამართლიანი ვერდიქტის გამოტანას. გარდა ამისა, სხდომის თავმჯდომარის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომ არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით, რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით, ასევე შეიძლება იყოს მიმართული მედიის ზეგავლენისგან ნაფიც მსაჯულთა დაცვისკენ.

¹² იორჰენდი, ლარს/ნიქარიშვილი, კახა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), 2012, გვ. 30.

¹³ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში შემოკლებულია, როგორც სსსკ) 226-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

საქმეზე *აბდულა ალი* გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ მომჩივნის მტკიცებით ფართო მედია გაშუქების გამო დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, რასაც ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა.¹⁴ აღნიშნულ საქმეზე სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულებს ასე მიმართა: „თქვენ დგახართ ცდუნების წინაშე, რომ ინტერნეტის მეშვეობით მოიძიოთ და გაიგოთ საქმის შესახებ იმაზე მეტი, ვიდრე იცით, მაგრამ გთხოვთ, ნუ გააკეთებთ ამას... რადგან ინფორმაცია შეიძლება იყოს დაუზუსტებელი, სპეკულაციური და მიკერძოებული. ერთადერთი გზა, რომლითაც შეგიძლია გაიგოთ ყველა მტკიცებულების შესახებ, სასამართლოა...“¹⁵

მოსამართლის განმარტებები გამოსაყენებელი კანონის თაობაზე უფრო ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ მას თან ერთვის ინსტრუქტაჟი მედიის ზეგავლენის პრევენციის თაობაზე, რაც დაეხმარება ნაფიც მსაჯულებს, „უგულვებელყოფნა ყველაფერი, რაც გარე წყაროებისგან მოისმინეს“.¹⁶ ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნულ განმარტებებთან ერთად შერჩევის სხდომაზე დასახელებულ საკითხებზე სპეციალურად გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ვიდეოების, პლაკატების ჩვენება.

ნაფიც მსაჯულებზე მედიასაშუალებების ზემოქმედების შემცირების ერთ-ერთ საშუალებად ითვლება მხარეებისათვის კომენტარების გაკეთების აკრძალვა – ე.წ. **No comment-ის წესი**, რაც ნიშნავს მოსამართლის მხრიდან ადვოკატებისა და პროკურორებისათვის, ასევე პროცესის სხვა მონაწილეებისათვის საჯაროდ ცალმხრივი და მიკერძოებული განცხადებების გაკეთების, საქმის დეტალების განხილვას აკრძალვას.

ნაფიცო მსაჯულების გადანყვეტილებებზე მედიის ზეგავლენის კონტროლის საშუალებად მიიჩნევა ნაფიც მსაჯულთა **ჩაკეტვა, იზოლირება**. ამერიკაში იგი გამოიყენება მხოლოდ რეზონანსულ და

¹⁴ *Abdulla Ali v. United Kingdom*, N30971/12, 14/12/2015, პ. 70 (ხელმისაწვდომია: [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-155715%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-155715%22]})), ბოლოს ნანახია: 26.07.2024).

¹⁵ *Abdulla Ali v. United Kingdom*, N30971/12, 14/12/2015, პ. 3. (ხელმისაწვდომია: [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-155715%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-155715%22]})), ბოლოს ნანახია: 26.07.2024).

¹⁶ *ვიდმარი, ნილ/ჰანსი, ვალერი პ.*, ამერიკელი ნაფიცო მსაჯულები, ვერდიქტი, 2019, გვ. 135.

მეტად გახმაურებულ საქმეებზე და გულისხმობს, ნაფიც მსაჯულთა დისტანცირებას, მათ სასტუმროში გადაყვანას დროებით სასამართლო პროცესის დასრულებამდე ან მხოლოდ თათბირის განმავლობაში, რაც მკაცრი კონტროლის მექანიზმია, რათა მედია გაშუქებამ არ მოახდინოს ზეგავლენა ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილებებზე,¹⁷ თუმცა უაღრესად რადიკალური და არაკომფორტულია.

მედიის ზემოქმედების გასანეიტრალებლად გამოიყენება საქმის განხილვის გადაცემა პროფესიონალი მოსამართლისათვის. მაგალითად, ეს ბერკეტი გამოყენებულია კანადაში, იმ შემთხვევაში თუ მხარეები თანახმა იქნებიან. თუმცა აღნიშნული მექანიზმის გამოყენება საქართველოს სინამდვილეში არ იქნება მართებული, ვინაიდან ბრალდებულს შეეზღუდება არჩევანის თავისუფლება.

აღნიშნული მექანიზმების გარდა მედიაზე ზემოქმედების აცილების საშუალებად შეიძლება გამოყენებული იყოს **სასამართლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ დახურვა**. ასეთ შემთხვევაში მედიასაშუალებებს არ მიეცემათ შესაძლებლობა გადაიღონ და საზოგადოებას აჩვენონ რეპორტაჟები სხდომის დარბაზიდან. თუმცა ამისათვის საჭიროა სსსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებულ სასამართლო განხილვის საჯაროობის შეზღუდვის საფუძვლებს დაემატოს კიდევ ერთი საფუძველი – „ნაფიც მსაჯულებზე მედიის ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია საქმის განხილვა წარმართოს დახურულად.“ ასეთი შეზღუდვა უნდა იყოს გამოყენებული განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა მედია გაშუქება აშკარად ზიანს აყენებს მართლმსაჯულების განხორციელებას.

მედიის ზეგავლენისგან ნაფიც მსაჯულთა დასაცავად ერთ-ერთ გარანტიას ასევე შეიძლება წარმოადგენდეს **ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოება**, რომლის დარღვევაც დანაშაულია და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

უფრო ეფექტური მექანიზმი შეიძლება აღმოჩნდეს **მედიისათვის შეზღუდვების დანერგვა**, რაც გულისხმობს მხარეთა მოთხოვნით მედიისთვის ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვაზე ზე-

გავლენის მომხდენი მასალების გაშუქების, სატელევიზიო დებატების აკრძალვას.

მედიის ზეგავლენისგან დასაცავად შეიძლება გამოყენებული იყოს **სსსკ-ის 238-ე მუხლით დადგენილი გარანტიები**. *კერძოდ, ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა მტკიცებულების შესახებ, რომელსაც კავშირი არა აქვს ბრალის დამტკიცებასთან.*¹⁸ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების აკრძალვა უნდა გავრცელდეს არამხოლოდ მხარეებზე, არამედ მედიასაშუალებებზეც.

ინგლისური მიდგომის გათვალისწინებით ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენის განზრახვით პრესაში სტატიის გამოქვეყნება, ან რადიოთი თუ ტელევიზიით გამოსვლა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რამდენადაც ამან ნაფიც მსაჯულთა ნებაზე ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს, მართლმსაჯულების საქმიანობაში უხემ ჩარევად უნდა დაკვალიფიცირდეს და ჟურნალისტი მიცემულ იქნეს **სისხლის სამართლის პასუხისმგებაში**“,¹⁹ რაც ასევე მედიის ზეგავლენის შემაკავებელ ფაქტორად უნდა იყოს განხილული.

შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა საშუალებებიც, რომლებიც მიმართული იქნება ნაფიც მსაჯულთა შინაგანი რწმენის ფორმირებაზე მედიის ზეგავლენისგან დასაცავად.

V. დასკვნა

ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი უნდა გამოიტანონ მხოლოდ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც მოისმინეს და დაინახეს სასამართლო პროცესზე. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ვერ შეძლონ მედიის ზეგავლენისგან, წინასწარ ჩამოყალიბებული აზრებისაგან გათავისუფლება, ვერ მივიდნენ საჭირო კონსესუსამდე, გამოავლინონ უუნარობა, შეფერხდეს სამართალწარმოების პროცესი, დაირღვეს სამართლიანი სასამართლოს უფლება.

¹⁷ Kamisar, Yale A./LaFave, Wayne R./Israel, Jerold H./King, Nancy J., *Advanced Criminal Procedure*, eleventh edition, 2005, pg. 1429.

¹⁸ იხ. სსსკ-ის 238-ე მუხლი.

¹⁹ *ავტორთა კოლექტივი*, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, 2013, გვ. 155.

შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მედიის ზეგავლენისგან ნაფიცი მსაჯულთა დაცვის ეფექტურ მექანიზმებს, რომელთა შესახებაც ნაშრომში გვქონდა საუბარი. საქმის განხილვისას სასამართლომ და მხარეებმა უნდა განსაზღვრონ – მოექცნენ თუ არ ნაფიცი მსაჯულები მედიის გავლენის ქვეშ და რა საშუალებები უნდა იყოს გამოყენებული, რათა ასეთი ზემოქმედების ნიველირებით სამართლიანი სასამართლო მაინც შედგეს.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სუბიექტური შემაღენლობა

პროფესორი, სამართლის დოქ. *ირაკლი დვალიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

სსკ-ის 143¹ მუხლის (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) შენიშვნაში მოცემულია ექსპლუატაციის განმარტება, სადაც მატერიალური ან სხვაგვარი სარგებელი მიზნად არის მოხსენებული, ხოლო შემდეგ ჩამოთვლილია კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ამ მიზნის მიღწევის ხერხებია. წინამდებარე კვლევით დასაბუთებულია, რომ ექსპლუატაციის განმარტებაში მიზნად დასახელებული **მატერიალური ან სხვაგვარი სარგებელი** დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში დღემდე არ არის გაანალიზებული ექსპლუატაციის დეფენიცია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და არ არის წარმოჩენილი ექსპლუატაციის აღნიშნული განმარტების უარყოფითი მხარეები. კვლევაში წარმოდგენილია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სუბიექტური შემაღენლობის განმსაზღვრელი მოტივაციის პროცესი და ამის კვალობაზე განხილულია ქცევის მოტივი და მიზანი.

წინამდებარე სტატია ასევე მიზნად ისახავს ზემოაღნიშნული საკითხების გაანალიზების შემდეგ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ამკრძალავი მუხლებით (სსკ-ის 143¹, სსკ-ის 143² და 143³ მუხლები) გათვალისწინებულ ნორმებსა და სხვა სისხლისსამართლებრივ ნორმებს შორის კონკურენციისა და კოლიზიის საკითხები.

II. ექსპლუატაცია, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) უმართლობის დამაფუძნებელი ნიშანი

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა საკითხი იმის შესახებ, რომ ექსპლუატაციის მიზანი ყოველთვის არის თუ არა სსკ-ის 143¹ (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და სსკ-ის 143² (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მუხლებით გათვალისწინებული უმართლობებისთვის აუცილებ-

ელი სუბიექტური ნიშანი.¹ გერმანიის სსკ-ის 232 პარაგრაფი (ადამიანებით ვაჭრობა) ისე იკითხება, თითქოს ადამიანით ვაჭრობა ყოველთვის არ უკავშირდება ექსპლუატაციის მიზანს, რადგან ამავე მუხლის 1-ელი აბზაცის მხოლოდ 1-ელ პუნქტში არის მოხსენიებული სიტყვა „ექსპლუატაცია“. გერმანიის სსკ-ის 232 პარაგრაფის მე-2 და მე-3 პუნქტებში მოცემულია ასევე ორი ალტერნატიული მიზანი, სადაც სახელდებით არ არის მითითება ექსპლუატაციაზე: პირის მონობაში, ყმობაში, სავალო კაბალაში ანდა მის შესაბამის ან მსგავს პირობებში ჩაყენება (2); ადამიანისგან უკანონოდ ორგანოს გადანერგვა (3). ყველა ჩამოთვლილი მიზანი, როგორც ამას *ი. რენციკოვსკი* უწოდებს, „ექსპლუატაციის გეგმის“ შემაღენელია.² სხვა ავტორების ასევე მართებული მოსაზრებით, ადამიანით ვაჭრობის მიზანი არის ექსპლუატაცია და მსხვერპლის სხვაგვარად ინსტრუმენტალიზება.³ „მიუხედავად იმისა, რომ

¹ იხ.: *თოდუა, ნონა*, კომენტარში: *ლეკვეიშვილი, მზია/მამულაშვილი გოჩა/თოდუა, ნონა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I., ნაწილი პირველი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, რედაქტორი *თოდუა, ნონა* 2023, გვ.: 365, 376; *თოდუა, ნონა*, მონოგრაფიაში: *ნაჭყებია, გურამ/გორაშვილი, გიორგი/მამულაშვილი, გოჩა/თოდუა, ნონა/გოგშელიძე, რევაზ/სულაქველიძე, დავით/დვალიძე, ირაკლი*, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალმეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, რედაქტორი *გურამ ნაჭყებია*, 2012, გვ. 281; *ხარანაული, ლევან*, კომენტარში: *დვალიძე, ირაკლი/ხარანაული, ლევანი/თუმანიშვილი, გიორგი/ნიქარიშვილი, კახა*, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ.: 101, 120; *მესხი, მარინა*, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სამართლებრივი ასპექტები და მასთან ბრძოლის მეთოდები, 2016, გვ.: 86, 108-109, 115-116.

² იხ. *Renzikowski, Joachim*, in *Münchener Kommentar zum StGB*, Herausgegeben von *Erb, Volker/ Schäfer, Jürgen*, 4. Auflage, Rn.54.

³ *Kindhäuser, Urs/Ulfrid, Neumann/Paefgen, Hans-Ullrich/*

მე-2 და მე-3 პუნქტებში ექსპლუატაციის ელემენტი პირდაპირ არ არის დასახელებული, ბუნებრივია, იგულისხმება, რომ ინსტრუმენტალიზაციის ამგვარი ფორმებიც ექსპლუატაციის ელემენტების მატარებელია და ექსპლუატაციას უთანაბრდება.⁴

2005 წლის 16 მაისს მიღებულია „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც 2008 წლის პირველ თებერვალს შევიდა ძალაში. აღნიშნული კონვენციის მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოხსენიებული არ არის საქართველოს სსკ-ის 143¹ (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ობიექტური შემადგენლობის ისეთი ალტერნატიული ქმედებები, როგორცაა, ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება. მაშასადამე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კანონმდებელმა უფრო ფართოდ განმარტა ადამიანით ვაჭრობა. ამავდროულად ეს ქმედებები არ უკავშირდება ექსპლუატაციის მიზანს. მართლაც, სსკ-ის 143¹ და სსკ-ის 143² პირველი ნაწილები ისეა კონსტრუირებული, რომ სიტყვა „აგრეთვეს“ შემდეგ ჩამოთვლილი ალტერნატიული ქმედებები დანაშაულად კვალიფიკაციისთვის არ მოითხოვს ექსპლუატაციის მიზნის დადგენას.

ფსიქოლოგიურად წარმოუდგენელია ადამიანი ისე ახორციელებდეს ადამიანის ყიდვას, გაყიდვას ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგებას, რომ რაიმე მიზანს არ ისახავდეს. სავარაუდოდ კანონმდებელი ხელმძღვანელებდა იმ მოსაზრებით, რომ ადამიანი ყოველთვის უნდა განვიხილოთ როგორც თვითმიზანი და არა საშუალება, რის გამოც მიზნის დადგენა ადამიანის ყიდვას, გაყიდვას ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისას ირელევანტურად მიიჩნია. გ. ნაჭყებიას მართებული მოსაზრებით, ადამიანს, როგორც ბუნების გვირგვინს თუ ღვთის ქმნილებას, კონკრეტული საბაზრო ფასი არ გააჩნია, რის გამოც ადამიანი სასაქონლო ბრუნვიდან ამოღებულია და ამიტომ მასზე რაიმე კონკრეტული საბაზრო ფასის დანესება დაუშვებელია, მაგრამ არა მხოლოდ წმინდა სამართლებრივად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ფილოსო-

ფიურად.⁵ „სწორედ კანტმა გაუსვა ხაზი ადამიანის პიროვნების აბსოლუტურ, უპირობო ღირებულებას, როგორც უპირატესად თავისთავად მიზანს და არასოდეს მხოლოდ საშუალებას.“⁶ ამ პოზიციიდან, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, მიუხედავად მიზნისა, ნებისმიერ შემთხვევაში ფორმალურად მართლსაწინააღმდეგო უნდა იყოს.

ამავდროულად, საკითხავია, რამდენად გამართლებულია ასეთი მიდგომა „ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელების“ მიმართ. ადამიანის მიმართ განხორციელებული „სხვა უკანონო გარიგება“ თუ ექსპლუატაციის მიზნით არ შეიზღუდება, მაშინ ნორმაშემფარდებითი საქმიანობისას სირთულე წარმოიშობა. მაგალითად, ა. ბ-ს შეუვეთავს გ-ს თავისუფლების უკანონო აღკვეთას. შესაბამისად, ადგილი აქვს გ-ს მიმართ უკანონო გარიგებას. თუ დავუშვებთ, რომ ასეთ შემთხვევაში ექსპლუატაციის მიზნის დადგენა არ არის სავალდებულო, მაშინ, საკითხავი იქნება, ქმედება ადამიანით ვაჭრობად უნდა შეფასდეს თუ თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომზადებად (სსკ-ის მე-18 და 143-ე მუხლები). ნორმათა კონკურენციიდან გამომდინარე, მსგავს სიტუაციაში ქმედება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომზადებად უნდა შეფასდეს, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში ნორმა უფრო კონკრეტულია და შესაბამისად, სპეციალურ ნორმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

ამრიგად, მიზანშეწონილია, სსკ-ის 143¹ და სსკ-ის 143² მუხლები ისე ჩამოყალიბდეს, რომ ორაზროვნება თავიდან იქნეს აცილებული და ადამიანის მხოლოდ ყიდვა ან გაყიდვა არ დაუკავშირდეს ექსპლუატაციის მიზანს, ხოლო ნებისმიერი სხვა ქმედება მხოლოდ მაშინ შეფასდეს ადამიანით ვაჭ-

⁵ იხ. ნაჭყებია, გურამ, მონოგრაფიაში: ნაჭყებია, გურამ/გორაშვილი, გიორგი/მამულაშვილი, გოჩა/თოდუა, ნონა/გოგშელიძე, რევაზ/სულაქველიძე, დავით/დვალაძე, ირაკლი, რედაქტორი ნაჭყებია, გურამ, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშემფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, 2012, გვ. 262.

⁶ ნაჭყებია, გურამ, მონოგრაფიაში: ნაჭყებია, გურამ/გორაშვილი, გიორგი/მამულაშვილი, გოჩა/თოდუა, ნონა/გოგშელიძე, რევაზ/სულაქველიძე, დავით/დვალაძე, ირაკლი, რედაქტორი ნაჭყებია, გურამ, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშემფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, 2012, გვ. 266.

Saliger, Frank, Strafgesetzbuch, Band 3, 6. Auflage, 2023, § 232 Rn. 18.

⁴ Kindhäuser, Urs/Ulfrid, Neumann/Paeffgen, Hans-Ullrich/Saliger, Frank, Strafgesetzbuch, Band 3, 6. Auflage, 2023, § 232 Rn. 18.

რობად თუ ეს ქმედებები ექსპლუატაციის მიზნით იქნება განხორციელებული.

III. მატერიალური ან სხვაგვარი სარგებელი, როგორც მოტივზე მიმანიშნებელი ელემენტები

ექსპლუატაციის განმარტებისას კანონმდებლის მიერ დასახელებული მატერიალური ან სხვაგვარი სარგებელი, როგორც მიზნები, ადამიანით ვაჭრობისთვის საბოლოო მიზნებია, რომლებიც ადამიანით ვაჭრობის მოტივებს სხვა ფაქტორებთან ერთად ქვენა ხასიათს ანიჭებს. მოტივი და მიზანი კორელაციური ცნებებია, რის გამოც მიზნის ცვლილება მოტივის ცვლილებასაც იწვევს. მოტივი მიზნისგან მონყვევით ვერ განიმარტება. სწორედ ამიტომ არის, რომ მიზნის ცოდნა მოტივის დადგენის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ექსპლუატაცია გაგებულია როგორც „ერთი ადამიანის მიერ სხვისი შრომის შედეგების მითვისება.“⁷ სსკ-ის 143¹ მუხლის შენიშვნაში ექსპლუატაციის განმარტებისას შესაბამის ქვეპუნქტებში მოცემულია დანაშაულებრივი ქმედებები (მაგალითად, შრომის განწევის იძულება, პროსტიტუციაში ჩაბმა, ადამიანის სხეულის ორგანოს იძულებით ან მოტყუებით გამოყენება, ამოღება და სხვ.), რომლებიც ფსიქოლოგიურად მიზნის მიღწევის ხერხებად ფასდება. ასეთ მიზნებად აღნიშნულ შენიშვნაში დასახელებულია **მატერიალური ან სხვაგვარი სარგებელი**. დავას არ უნდა იწვევდეს ის, რომ მატერიალური სარგებლის ამგვარი ქმედებებით (ხერხებით) მიღება **ანგარებითი მოტივის**, ხოლო სხვაგვარი სარგებლის მიღება **სხვა ქვენა მოტივის** დაკმაყოფილებას ემსახურება. შესაბამისად, ექსპლუატაციის მიზნის არსებობისას ადამიანი ყოველთვის ქვენა მოტივით მოქმედებს.

სარგებლის მიღება ადამიანიდან, გარკვეული საქმიდან თუ ნივთიდან პირისთვის სასურველი შედეგის გამოწვევას ნიშნავს. სხვაგვარი სარგებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი არამატერიალური ხასიათის სარგებელი. მაგალითად, დანაშაულებრივ

დაჯგუფებაში სტატუსის მომატება, რაიმე საქმიანობაში დროის დაზოგვა, დანაშაულის ჩადენის გაადვილება, დანაშაულის დაფარვის შესაძლებლობა და ა.შ.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე მოტივი ჩამოყალიბდება პირმა უნდა გააცნობიეროს მოტივაციის ისეთი ფაქტორები, როგორცაა მიზანი, მიზნის მიღწევის ხერხი და საშუალება.⁸ შესაბამისად, მართალია, სსკ-ის 143¹ მუხლის შენიშვნაში „მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღება“ მიზნად არის მოხსენიებული, მაგრამ სწორედ აღნიშნულ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ქმედებები უკვე იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ადამიანით ვაჭრობის მოტივი არის ანგარება ან სხვა ქვენა მოტივი.

სსკ-ის 143¹ მუხლში დასახელებული ექსპლუატაციის **მიზნის მიღწევის პროცესი** შემდეგნაირად შეიძლება წარმოჩინდეს: ქმედება ხორციელდება ანგარებით ან სხვა ქვენა მოტივით; ეს ქმედება ხორციელდება კონკრეტული ხერხის გამოყენებით; პირის მიზანია აღნიშნული მოტივის დასაკმაყოფილებლად მსხვერპლმა განახორციელოს კონკრეტული საქმიანობა ან თვით მსხვერპლის სხეულის ნაწილი იქნეს გამოყენებული, როგორც ზემოქმედების ობიექტი (ექსპლუატაციის განმახორციელებელი ქმედებები); მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მიღება, როგორც მიზანი (ექსპლუატაციის სუბიექტური ნიშანი).

IV. ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადაწერვა ან სხვაგვარად გამოყენება, როგორც ადამიანით ვაჭრობის მიზანი

სსკ-ის 143¹ მუხლის შენიშვნის „დ“ ქვეპუნქტი ექსპლუატაციის ერთ-ერთ ნაირსახეობად (ეს იგივეა, რაც ადამიანით ვაჭრობის ერთ-ერთი მიზანი) მიიჩნევს „ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით

⁷ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ, მთავარი რედაქტორი ავთანდილ არაბული, ტომი IV, 2019, გვ. 414.

⁸ იხ. *დეალიძე, ირაკლი*, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, 2008, გვ. 26-32. მოტივაციისა და მიზნის ურთიერთმიმართებაზე ასევე იხ. *Хекхаузен, Хайнц*, Мотивация и деятельность, 2-е издание, 2003, с. 26-28.

ამოღებას, გადანერგვას ან სხვაგვარად გამოყენებას.“ ნათელია, რომ დამნაშავე თვით დანაშაულის მსხვერპლის მიერ განსახორციელებელ „საქმიანობის“ გამოყენებას კი არ ისახავს მიზნად, არამედ მას თვითონ მსხვერპლის სხეულის გამოყენება სურს. საკითხავია, როგორ უნდა გაიმიჯნოს აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა სსკ-ის 134-ე მუხლში მოცემული დანაშაულისგან (ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ალების იძულება).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 134-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება (ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ალების იძულება) ოთხი ალტერნატიული მიზნით ხორციელდება: – (1) სამკურნალოდ, (2) გადასანერგად, (3) ექსპერიმენტისათვის ან (4) სამკურნალო პრეპარატის დასამზადებლად. სსკ-ის 143¹ მუხლის პენიშნის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება (ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენება) კი, ადამიანით მოვაჭრის მიერ უნდა განხორციელდეს მატერიალური ან სხვაგვარი სარგებლის მისაღებად. ნათელია, რომ „სხვაგვარი სარგებელი“ იმდენად მოცულობითი მიზანია (იხ. ზემოთ), რომ თავისუფლად ითავსებს სსკ-ის 134-ე მუხლში დასახელებულ მიზნებს. მაგალითად, შესაძლებელია, დამნაშავემ ვინმე გადაიბიროს, გადაიყვანოს რაიმე საშუალებით მისგან ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოსაღებად, გადასანერგად ან სხვაგვარად გამოყენებლად, რაც თავისთავად ასრულებს როგორც სსკ-ის 134-ე, ისე სსკ-ის 143¹ მუხლის მიზანს.

როგორც ჩანს, აღნიშნული დანაშაულების ვერც ობიექტურ და ვერც სუბიექტურ შემადგენლობაში მოცემული ნიშნები ვერ იძლევა მათი ნათლად ურთიერთგამიჯვნის საშუალებას. რაც შეეხება, უკანასკნელ მაგალითში დასახელებული ქმედების ან სსკ-ის 134-ე მუხლით ან სსკ-ის 143¹ მუხლით კვალიფიკაციის შესაძლებლობას, ვერც ნორმათა კონკურენცია იძლევა საკითხის გადაჭრის საშუალებას.

ამრიგად, სსკ-ის 134-ე მუხლით და სსკ-ის 143¹ მუხლით გათვალისწინებულ ნორმებს შორის კოლიზიაა, რაც აუცილებლად საკანონმდებლო დონეზე უნდა გამოსწორდეს.

V. ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, როგორც ადამიანით ვაჭრობის მიზანი

სსკ-ის 143¹ მუხლის პენიშნის „ე“ ქვეპუნქტი იძლევა ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების დეფინიციას, რომლის მიხედვითაც, „ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება გულისხმობს მისთვის ისეთი მდგომარეობის შექმნას, როდესაც ის ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა ამ პირზე დამოკიდებულების გამო.“ ამკარაა, რომ ასეთი ჩანაწერი მოიცავს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც ტრეფიკინგის მსხვერპლი შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ ანაზღაურებას იღებს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ადეკვატური, ისე არაადეკვატური. შესაბამისად, „ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების“ განსაზღვრებაში ანაზღაურების საკითხი არანაირ ფუნქციას არ ასრულებს, რადგან ძალიან ნათლად იკითხება ის, რომ მსხვერპლის მიერ სხვა პირის სასარგებლოდ სამუშაოს შესრულება ან მომსახურების განევა შეიძლება იყოს როგორც ანაზღაურებადი, ისე არაანაზღაურებადი.

ქმედების „ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებად“ კვალიფიკაციისას გადამწყვეტია შემდეგის დადგენა: 1) ტრეფიკინგის მსხვერპლი სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას; 2) ტრეფიკინგის მსხვერპლს არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა დამნაშავეზე დამოკიდებულების გამო; 3) პირველ ორ პუნქტში აღწერილი მდგომარეობა დამნაშავის მიერ განზრახ არის შექმნილი.

VI. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვა, როგორც ადამიანით ვაჭრობის მიზანი

ადამიანით ვაჭრობა როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო მართლებრივი ნორმებით საკმაოდ ფართოდ არის გაგებული, რადგან ვაჭრობა დაკავშირებულია ისეთ მოქმედებებთან, რომლებიც მასთან შინაარსობრივად დაკავშირებული არ არის. ვაჭრობა ყოველთვის გულისხმობს რაიმე ქონებაზე ორ პირს შორის გარიგებას.

შეუძლებელია, ადამიანით ვაჭრობასთან იყოს ისეთი მოქმედებები დაკავშირებული, როგორც არის, მაგალითად, ადამიანის იძულებით ან მუქარით გადაბირება ან დაქირავება, რათა ის შემდგომში დანაშაულებრივ საქმიანობაში იქნეს ჩართული და ა.შ.

ადამიანით ვაჭრობის ორივე მუხლში (სსკ-ის 143¹ და 143² მუხლებში) მოცემული დანაშაულის ძირითადი შემადგენლობანი ფორმალურია, ხოლო თვით ეს დანაშაულები მიზნად ისახავს მრავალ სოციალურად გასაკიცხი ქმედების განხორციელებას. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ერთ-ერთი მიზანია. საკითხავია, თუ ამგვარი მიზანი რეალურად განხორციელდება ანუ ტრეფიკინგის მსხვერპლი ადამიანით მოვაჭრის (ტრეფიკერის) ორგანიზებით ან წაქეზებით კონკრეტულ დანაშაულს განახორციელებს, ადამიანით მოვაჭრის (ტრეფიკერის) ამგვარი საქმიანობა დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს თუ ეს ქმედება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემადგენლობით არის მოცული. მართებული მოსაზრების მიხედვით, „ექსპლუატაციის რეალურად განხორციელების შემთხვევაში ქმედების დამატებითი კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც წესი, საჭირო არაა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლი ჩაბმულია დანაშაულებრივ ქმედებაში).“⁹

ადამიანით მოვაჭრის (ტრეფიკერის) ამგვარი ქმედება დამატებით კვალიფიკაციას მოითხოვს და ადგილი ექნება დანაშაულთა ერთობლიობას შემდეგ მოსაზრებათა გამო: 1) ადამიანით ვაჭრობისთვის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვა **მიზანია და არა ობიექტური შემადგენლობის ნაწილი**, რის გამოც ადამიანით ვაჭრობის შემადგენლობანი ვერ შთანთქავს იმ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც სისხლის სამართლის კანონმდებლობით სხვა დანაშაულად არის გათვალისწინებული; 2) როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, ისე თვით ადამიანით მოვაჭრე (ტრეფიკერი) **ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედების**

განხორციელებით უკვე ახალ, დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფენ. მაგალითად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი თუ შემდგომში გამოყენებული იქნება ქურდობის ან ყაჩაღობის ჩასადენად, სადაც იგი ამსრულებელი იქნება, მაშინ ადამიანით მოვაჭრე (ტრეფიკერი) და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი პასუხს აგებენ როგორც ადამიანით ვაჭრობისთვის (ტრეფიკინგისთვის), ისე ქურდობის ან ყაჩაღობისთვის.

VII. იძულებით მომსახურებით სარგებლობა, როგორც მიზანი და როგორც დამოუკიდებელი დანაშაულებრივი ქმედება

სსკ-ის 143³ მუხლი (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა) დასჯადად აცხადებს წინასწარი შეცნობით სსკ-ის კოდექსის 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებულის ისეთი მომსახურებით სარგებლობას, რომელიც, სსკ-ის 143¹ მუხლის შენიშვნის თანახმად, ექსპლუატაციად მიიჩნევა. ექსპლუატაციის დეფინიციის დასახელებულია მომსახურებათა (შრომის, სექსუალური და ა.შ.) სხვადასხვა ნაირსახეობანი, რომლებიც ადამიანით მოვაჭრის (ტრეფიკერის) ერთ-ერთი მიზანია. სხვა პირის მიერ ასეთი მომსახურებით სარგებლობა სსკ-ის 143³ მუხლით დასჯადად არის მიჩნეული, თუკი პირს გაცნობიერებული აქვს, რომ მომსახურების გამწევი ტრეფიკინგის მსხვერპლი ან დაზარალებულია. მართებული მოსაზრების მიხედვით, ამ დანაშაულის ამსრულებელი ვერ იქნება პრედიკატული დანაშაულის ანუ სსკ-ის კოდექსის 143¹ და 143² მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩამდენი.¹⁰

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ სსკ-ის 143³ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენმა დანამდვილებით იცის ვინც არის ადამიანით მოვაჭრე (ტრეფიკერი), მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულის შეუტყობინებლობისთვისაც (სსკ-ის 376-ე

⁹ თოდუა, ნონა, მონოგრაფიაში: *ნაჭყებია, გურამ/გორაშვილი, გიორგი/მამულაშვილი, გოჩა/თოდუა, ნონა/გოგშელიძე, რევაზ/სულაქველიძე, დავით/დვალაძე, ირაკლი, რედაქტორი ნაჭყებია, გურამ*, ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში, 2012, გვ. 283.

¹⁰ იხ. *ხარანაული, ლევანი*, კომენტარში: *დვალაძე, ირაკლი/ხარანაული, ლევანი/თუმანიშვილი, გიორგი/ნიქარიშვილი, კახა*, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 101, 128.

მუხლი), რადგან ნორმათა კონკურენციის ვერც ერთი ნაირსახეობა ვერ უზრუნველყოფს ქმედების მხოლოდ სსკ-ის 143³ მუხლით კვალიფიკაციას.

VIII. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობა ექსპლუატაციაზე

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2005 წლის 16 მაისის ევროპის საბჭოს კონვენციის¹¹ მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობას ექსპლუატაციაზე ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში დასახელებულ ხერხებს უკავშირებს. ანალოგიური მითითება არსებობს „ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ 2000 წლის 15 ნოემბრის გაეროს კონვენციის ოქმის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის, თავიდან აცილების, აღკვეთისა და სასჯელთა დადგენის შესახებ“¹² მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში.

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ 2006 წლის 28 აპრილის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება“. აღნიშნული კანონის შესაბამისად, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2006 წლის 20 ივნისის საქართველოს კანონით სსკ-ის 143³ მუხლის შენიშვნაში ჩაიწერა: „პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება.“ დღესდღეობით სსკ-ის 143³ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის მიხედვით, „კოდექსის ამ და 143² მუხლების მიზნებისათვის პირის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე მის თანხმობას მნიშვნელობა არ აქვს.“

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის ექსპლუატაციაზე თანხმობასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს სსკ-ის შემდეგი თავისებურება: ზემოთ აღინიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ექსპლუატაციის მიზანს არ

უკავშირებს ადამიანის ყიდვას, გაყიდვას ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას. აქ იგულისხმება ისეთი სიტუაციები, როდესაც ადამიანით მოვაჭრეები (ტრეფიკერები) ახორციელებენ „გარიგებას“ მესამე პირზე (დანაშაულის მსხვერპლზე), რა დროსაც ამ უკანასკნელს, როგორც წესი, საერთოდ არ აქვს ინფორმაცია აღნიშნული „გარიგების“ შესახებ. მაშასადამე, გამორიცხული არაა ამ „გარიგებას“ თვით მსხვერპლიც ესწრებოდეს და თვით მსხვერპლიც თანახმა იყოს აღნიშნულ უკანონო გარიგებაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მიუთითებს მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მიერ მის მიმართ ექსპლუატაციაზე თანხმობის შესახებ. ვინაიდან აღნიშნული ქმედებები (ადამიანის ყიდვა, გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება) შესაბამის კონვენციებში მოცემული არ არის და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მხოლოდ ექსპლუატაციის მიზნით მოქმედებას გულისხმობს, ბუნებრივია, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობა აღნიშნულ კონვენციებში მხოლოდ ექსპლუატაციასთან კავშირში განიხილება. როგორც ჩანს, საქართველოს სსკ-ში ეს გარემოება არ იქნა გათვალისწინებული და სიტყვა-სიტყვით იქნა სსკ-ში ჩანერილი კონვენციით გათვალისწინებული დებულება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის თანხმობის შესახებ. შესაბამისად, ლოგიკურად უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ადამიანის ყიდვის, გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისას მსხვერპლის წინასწარგანზრახულ თანხმობას მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ადამიანით ვაჭრობისთვის (ტრეფიკინგისთვის) პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს. ბუნებრივია, ამგვარი დასკვნა არ შეესაბამება ადამიანის ვაჭრობის ამკრძალავი არც საერთშორისოსამართლებრივი და არც საქართველოს სისხლისსამართლებრივი ნორმების სულისკვეთებას. მაშასადამე, საქართველოს სსკ-ში ხარვეზი სახეზეა, რის გამოც სსკ-ის 143³ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„წინამდებარე კოდექსის ამ და 143² მუხლების მიზნებისთვის პირის თანხმობას მის მიმართ დაგეგმილ ექსპლუატაციაზე ან აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებაზე მნიშვნელობა არ აქვს.“

¹¹ აღნიშნული კონვენცია ძალაში შევიდა 2008 წლის პირველ თებერვალს.

¹² აღნიშნული კონვენცია საქართველოში ძალაში შევიდა 2006 წლის 5 ოქტომბერს.

IX. დასკვნა

წინამდებარე სტატიაში კვლევის შედეგად გაირკვა შემდეგი:

პირველი, მიზანშეწონილია, საქართველოს სსკ-ის 143¹ და სსკ-ის 143² მუხლები ისე ჩამოყალიბდეს, რომ ორაზროვნება თავიდან იქნეს აცილებული და ადამიანის მხოლოდ ყიდვა ან გაყიდვა არ დაუკავშირდეს ექსპლუატაციის მიზანს, ხოლო დანარჩენი ნებისმიერი სხვა ქმედება მხოლოდ მაშინ შეფასდეს ადამიანით ვაჭრობად თუ ეს ქმედებები ექსპლუატაციის მიზნით იქნება განხორციელებული.

მეორე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემადგენლობებში ექსპლუატაციის მიზნით დაფუძნებული უმართლობები ყოველთვის მიუთითებს იმაზე, რომ ამ დროს დამნაშავე მოქმედებს **ანაგარებით ან სხვა ქვენა მოტივით**. ნაშრომში წარმოდგენილ იქნა სსკ-ის 143¹ მუხლში (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) დასახელებული ექსპლუატაციის მიზნის მიღწევის პროცესი, რაც აადვილებს აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ფსიქოლოგიური კუთხით გააზრებას.

მესამე, დადგინდა, რომ სსკ-ის 134-ე მუხლით და სსკ-ის 143¹ მუხლით გათვალისწინებულ ნორმებს შორის არსებობს კოლიზია, რაც აუცილებლად საკანონმდებლო დონეზე უნდა გამოსწორდეს.

მეოთხე, ნათლად წარმოჩინდა, რომ „ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების“ განსაზღვრებაში ანაზღაურების საკითხი **არანაირ ფუნქციას არ ასრულებს**, რადგან ძალიან ნათლად იკითხება ის, რომ მსხვერპლის მიერ სხვა პირის სასარგებლოდ სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა შეიძლება იყოს როგორც ანაზღაურებადი (ადეკვატური ან არაადეკვატური), ისე არაანაზღაურებადი.

მეხუთე, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საერთაშორისომართლებრივი ნორმებით საკმაოდ ფართოდ არის გაგებული, რადგან ვაჭრობა დაკავშირებულია ისეთ მოქმედებებთან, რომლებიც მასთან შინაარსობრივად დაკავშირებული არ არის, რადგან ვაჭრობა ყოველთვის დაკავშირებულია ორ პირს შორის ნასყიდობასთან, მის ბრუნვასთან.

მეექვსე, ნათლად იქნა წარმოჩენილი, რომ თუკი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი რეალურად განახორციელებს დანაშაულებრივ საქ-

მიანობას, რაც ადამიანით მოვაჭრის (ტრეფიკერის) მიზანი იყო, ადამიანით მოვაჭრის (ტრეფიკერის) ქმედებები დანაშაულთა ერთობლიობის ნიშნებს შეიცავს. შესაბამისად, თუ ადამიანით ვაჭრობა დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვის მიზნით ხორციელდება, აღნიშნული დანაშაული ვერ შთანთქმავს ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მიერ რეალურად განახორციელებულ დანაშაულს.

მეშვიდე, თუ სსკ-ის 143³ მუხლით (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენმა დანამდვილებით იცის ვინც არის ადამიანით მოვაჭრე (ტრეფიკერი), მან პასუხი უნდა აგოს დანაშაულის შეუტყობინებლობისთვისაც (სსკ-ის 376-ე მუხლი).

მერვე, სსკ-ის 143³ მუხლის შენიშვნა კონვენციების შესაბამისად მიუთითებს მხოლოდ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მიერ მის მიმართ ექსპლუატაციაზე თანხმობის შესახებ. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადამიანით ვაჭრობისას (ტრეფიკინგისას) ყიდვას, გაყიდვას ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას ექსპლუატაციის მიზანს არ უკავშირებს, ამიტომ აუცილებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის წინასწარგანზრახული თანხმობა ირელევანტურად გამოცხადდეს აღნიშნული ქმედებების შემთხვევაშიც. შესაბამისად, სსკ-ის 143³ მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „წინამდებარე კოდექსის ამ და 143² მუხლების მიზნებისთვის პირის თანხმობას მის მიმართ დაგეგმილ ექსპლუატაციაზე ან აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებაზე მნიშვნელობა არ აქვს.“

მდგრადობისადმი ერთგული ეკონომიკური სისტემის სამართალი, როგორც იურიდიული მეცნიერებისა და სისტემის სამართლის პოლიტიკის გამომწვევა ევროპაში

პროფესორი, სამართლის დოქ., საპატიო დოქტორი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) *მარტინ ჰეგერი*, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი*

I. თემის შესახებ¹

იმ შემთხვევაშიც, თუკი საქართველოს ევროკავშირში განწევრიანების პროცესი, რომელიც ოფიციალურად 2023 წლის ნოემბერში დაიწყო, ამჟამად „გადადებულია“ ჩაითვლება, ჩემთვის მხოლოდ დროის საკითხია, რომ საქართველო, რომელიც გეოგრაფიულად და ისტორიულად ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ავანპოსტს წარმოადგენს და იცავს მას, საშუალოვადიან პერიოდში გერმანიის მსგავსად ევროკავშირის წევრი სახელმწიფო გახდება. ამის შემდეგ ევროკავშირის დროშა მომავალშიც ქართული დროშის გვერდზე აღიმართება.

მას შემდეგ, რაც ასოცირების შეთანხმებამ საქართველოს კანონმდებლობის ზოგიერთი სფერო, მათ შორის, სისტემის სამართალი, უკვე დაახლოვა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ევროკავშირში განწევრიანებას უპირველესად ის მნიშვნელობა ექნება, რომ საქართველო გახდება ევროკავშირის თავისუფლების, უსაფრთხოების, სამართლისა და, განსაკუთრებით, მისი შიდა ბაზრის ნაწილი. ეს გუ-

* სტატიის ავტორი არის ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისტემის სამართლის, სისტემის სამართლის პროცესის, ევროპული სისტემის სამართლისა და სამართლის უახლესი ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი. სტატია ქართულად თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, აზა მორგოშიამ.

¹ სტატია ეფუძნება ლექციას, რომელიც ავტორმა ნაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 10 იანვარს. ლექციის ფორმა შენარჩუნებულია; ტექსტი განახლდა. აქედან გამომდინარე, უარი ითქვა წყაროების მითითებაზე. ავტორის დეტალური განმარტება მოსაზრებებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს სტატიას და უკავშირდება ევროკავშირის შიდა ბაზარზე გარემოს დაცვის როლსა და მისგან გამომდინარე სისტემის სამართლებრივ შედეგებს, იხილეთ სტატიაში *Heger, Martin, Umweltstrafrecht und Nachhaltigkeit im Binnenmarkt, NK (Neue Kriminalpolitik) 1/2024, 22 ff.*; მითითება კეთდება დასახელებულ სტატიაში მოყვანილ წყაროებზე.

ლისხმობს ქართული ეკონომიკური სამართლის დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან მის სრულ ჰარმონიზაციამდე, რადგან ამ საერთო ბაზარზე მისი თითოეული მონაწილისათვის, როგორც საქართველოსთვის, ისე ევროკავშირის ყველა სხვა სახელმწიფოსთვის, ფუნდამენტურად მსგავსი სამართალი მოქმედებს. ეს იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ შიდა ბაზარზე არსებობს კონკურენციის წესები, რომლებიც ევროკავშირში დაფუძნებულ თითოეულ კომპანიას ანიჭებს თავისუფალ წვდომას ყველა წევრი სახელმწიფოს ეროვნულ ბაზარზე. ევროპული ბაზრის მონესრიგებისას ეკონომიკურმა სისტემის სამართალმა, რომელიც შიდა ბაზრისთვის არის დადგენილი ევროკავშირის კანონმდებლობით, უპირველეს ყოვლისა, კონკურენცია უნდა დაიცვას. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ისეთი დანაშაულის შემადგენლობა, როგორც არის თაღლითობა სუბსიდიის მიღების მიზნით, არ ემსახურება ეროვნული თუ ევროპული ბიუჯეტის დაცვას. პირიქით, საქმე იმაშია, რომ ბაზრის ცალკეული მონაწილეებისთვის სუბსიდიის გადახდა არ აუმჯობესებს მათ ეკონომიკურ მდგომარეობას შიდა ბაზარზე, ბაზრის ყველა სხვა მონაწილესთან შედარებით. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩინეთთან მიმართებაში, რომელიც ძლიერ სუბსიდირებას უწევს ელექტროავტომობილების მწარმოებლებს; ეს ნიშნავს, რომ მაგალითად, ევროკავშირში ამ მანქანების შეთავაზება შეიძლება შედარებით იაფად.

ევროკავშირის ძირითადი საბაზრო ეკონომიკური წესრიგის გათვალისწინებით, საწარმოს წარმატება შიდა ბაზარზე უნდა განსაზღვროს მიწოდება და მოთხოვნა – და არა სუბსიდიებმა, ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან მანიპულაციებმა ან საწარმოების მხრიდან დანაშაულებრივმა ქმედებებმა. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს თაღლითობას და კორუფციას. სწორედ ამიტომ, კორუფციასთან

ბრძოლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში, ისევე, როგორც ევროკავშირის წევრ ყველა სხვა ქვეყანაში. ეს საკითხი ხაზგასმულია ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაციებშიც, რომლებიც განეწესებინა პროცესის საფუძველს წარმოადგენს.

ამ ფონზე, საინტერესოა, რომ მე და ჩემმა კოლეგამ, ბერნდ ჰაინრიხმა, მერაბ ტურავასთან ერთად, ევროპული სისხლის სამართლის საზღვრულ სკოლის კონცეფციის ფარგლებში, ჯერ კიდევ 2010-2014 წლებში, ბათუმში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით, ევროპული სისხლის სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლის სწავლების პარალელურად, შევიმუშავეთ მესამე მიმართულება და ვასწავლეთ ევროპული ეკონომიკური სისხლის სამართალი. მაშინ პროექტის მასპინძელი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის თავმჯდომარე ამჟამად არის მერაბ ტურავა. ამიტომ, რა თქმა უნდა, მოხარული ვარ, რომ, ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, სამართლის ეს სფეროები უკვე იქნეს მნიშვნელობას, განჭვრეტად მომავალში კი, ევროკავშირის კანონმდებლობის საფუძველზე, მათ პირდაპირი გავლენა ექნებათ საქართველოზე, ისევე, როგორც მრავალი წელია უკვე აქვთ გერმანიაზე.

II. კონკურენციის ევროპული წესრიგი ახალი გამოწვევების წინაშე

ბუნებრივია, ბოლო წლებში შიდა ბაზარზე პრიორიტეტები შეიცვალა. ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული იყო, რომ შიდა ბაზრის კონკურენტულ მონაცემებში ბაზრის თითოეულ მონაწილეზე ვრცელდებოდა მსგავსი კანონი. იმის თავიდან ასარიდებლად, რომ კანონმდებლობა ყველაზე ნაკლები რეგულაციით ყველაფრის საზომი არ გახდეს, ევროკავშირი დიდი ხანია ცდილობს, დაანესოს მინიმალური რეგულაციები, რომლებიც ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დაცული. ეტაპობრივად ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტები ისე ჩამოყალიბდა, რომ ბუნებრივი გარემოსა თუ ადამიანის ექსპლუატაციით ვერ მოხდეს შიდა ბაზარზე უპირატესობის მიღწევა. საბოლოო ჯამში, აღნიშნული გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა იმის უზრუნველყოფას, რომ კონკურენცია ერთი და იმავე წესების მიხედვით წარმართულიყო.

რენცია ერთი და იმავე წესების მიხედვით წარმართულიყო.

ბოლო წლებში, ამ თვალსაზრისმა წინა პლანზე გადმოინია. 2019 წელს მმართველობაში მოსულმა ევროკომისიამ ვალდებულება აიღო ე.წ. მწვანე შეთანხმებაზე, რომელიც მიზნად ისახავს შიდა ბაზარზე კონკურენციის სისტემის კლიმატნიტრალურ რესტრუქტურისა. 2024 წლის ივლისის ევროპული არჩევნების შემდეგ, ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის, ხელახლა არჩევას არსებითად არ შეუცვლია აღებული გეზი ევროკავშირის ეკონომიკური წესრიგის ეკოლოგიურ რესტრუქტურისა და კავშირებით. იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაფინანსებისას უპირატესობა მიენიჭოს მწვანე პროდუქტებს, მან გამოცა ე.წ. ტაქსონომიის აქტი, რომელიც მხოლოდ გარკვეულ ენერგომატარებლებს განაკუთვნებს ეკომეგობრულთა კატეგორიას. ასევე, ევროკავშირი დიდი ხანია აწარმოებს მასშტაბურ კამპანიას კლიმატის ნეიტრალიტეტის მისაღწევად და წიაღისეული ენერგორესურსების უარსაყოფად – მათ შორის, ბოლოს დუბაიში, კლიმატის სამიტზე. ამავდროულად, 2023 წლის 14 დეკემბერს, ევროპარლამენტი, წევრ ქვეყნებთან ერთად, ევროკავშირის დონეზე შეთანხმდა მიწოდების ჯაჭვის კანონზე, რომელიც ავალდებულებს საშუალო და მსხვილ კომპანიებს, უზრუნველყონ გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების დაცვა მათ მომწოდებლებს შორის. ხოლო 2024 წლის 13 ივნისს ძალაში შევიდა მნიშვნელოვნად გაფართოებული და გამკაცრებული დირექტივა (EU) 2024/1203 ევროკავშირის მასშტაბით გარემოსდაცვითი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მინიმალური ჰარმონიზაციის შესახებ, რომელიც სამი წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ სისხლის სამართლის ეროვნულ კანონმდებლობაში. გერმანიისა და საქართველოსთვის ეს ნიშნავს, რომ, ამ დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად, მათ უნდა გამოიკვლიონ, რამდენად მოიცავს სისხლის სამართლის ეროვნული კანონმდებლობა ამ სტანდარტებს. თუ ასე არ არის, ეროვნული გარემოსდაცვითი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დირექტივის შესაბამისად უნდა „გამკაცრდეს“; თუ საკითხის ეროვნული მონესრიგება სცილდება ევროკავშირის მოთხოვნებს, ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოს შეუძლია უცვლელად დატოვოს ის, რადგან ევროკავ-

შირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ევროკავშირს შეუძლია მხოლოდ მინიმალური მოთხოვნები დაადგინოს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან და სასჯელებთან დაკავშირებით. ახალი გარემოსდაცვითი სისხლის სამართლის დირექტივით, ევროკავშირს სურს, რომ გარემოზე მძიმე და მნიშვნელოვან ინტერვენციებს ბევრად უფრო მკაცრი სანქციები მოჰყვეს, ვიდრე აქამდე.

ამან ევროკავშირში წინა პლანზე წამოიწია მდგრადობის საკითხი. კომისიის მიერ შემოთავაზებული კანონი შიდა ბაზრის ახლანდელი და სამომავლო მონესრიგებისთვის აღარ არის გამიზნული მხოლოდ იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარემოს დაბინძურება არ გახდეს ევროკავშირის შიდა ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების საშუალება. პირიქით, შიდა ბაზარზე ბაზრის ყველა მონაწილე უნდა იყოს მოტივირებული, ცალკეულ შემთხვევებში ასევე იძულებული, განვითარდეს კლიმატის ნეიტრალიტეტის მიმართულებით.

ამ ფონზე, ანტიკონკურენტული ქმედებების აკრძალვითა და, ზოგიერთ შემთხვევაში, დასჯით, შიდა ბაზრის მომწესრიგებელი ეკონომიკური სამართალი უპირველესად აღარ ემსახურება მიზანს „აქ და ახლა“. აქცენტის მდგრადობაზე გადატანა იწვევს ეკონომიკური წესრიგისა და შიდა ბაზარზე მისი განმაპირობებელი კონკურენტის წესრიგის განვითარებას იმ თვალსაზრისით, რომ შიდა ბაზარზე კონკურენტია იმგვარად წარმართოს, რომ მომავალში, უპირველეს ყოვლისა, კლიმატი და გარემო, მაგრამ, ასევე, ბუნებრივი რესურსები და გლობალური მინიმალური სოციალური სტანდარტები გაუმჯობესდეს. შესაბამისად, საუბარია არა მხოლოდ შიდა ბაზარზე არსებული კონკურენტის სტაბილურ მდგომარეობაზე, არამედ მის ინსტრუმენტალიზაციაზე, მომავალში გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიზნების მისაღწევად – მათ შორის, შიდა ბაზრის მიღმაც, გლობალური პერსპექტივით.

ამას, რა თქმა უნდა, თან სდევს მნიშვნელოვანი შედეგები ევროკავშირის მასშტაბით შიდა ბაზრის წესრიგის სამართლებრივი დაცვისთვის. და თუ ეს უკანასკნელი ვალდებულია ისწრაფოდეს მდგრადობისკენ, სანქციების ინსტრუმენტმა არა მხოლოდ სტატუს კვო უნდა შეინარჩუნოს, არამედ უნდა აღმართოს ჯებირები მდგრადი განვითარების ირგვლივ და სანქციების მეშვეობით უზრუნველყოს მისი დაცვა.

III. ეკონომიკური სისხლის სამართლის საფუძვლები ევროკავშირის სივრცეში

მიუხედავად იმისა, რომ ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობა, ევროკომისიის პირველი პრეზიდენტის, ვალტერ ჰალშტეინის, სიტყვებით, საკუთარ თავს თავიდანვე სამართლებრივ გაერთიანებად აღიქვამდა და ამიტომაც შიდა ბაზარი მხოლოდ მსგავსი კანონმდებლობის საშუალებით მოაწესრიგა, ევროკავშირს დღემდე არ შეუძლებია ევროპის ეკონომიკური სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპები. თუმცა დანაშაულის სხვა სფეროებში ის მნიშვნელოვნად გააქტიურდა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, მასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერისა და ეკონომიკური გაერთიანებიდან პოლიტიკურ გაერთიანებამდე გაფართოების შემდეგ. მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ტერორიზმისა და ადამიანით ვაჭრობის სფეროში დიდწილად ჰარმონიზებულია, ისევე, როგორც ევროკავშირის ყოფილი პირველი სვეტის სფეროში მოქცეული გარემოსდაცვითი სისხლის სამართლის კანონმდებლობა. გარდა ამისა, არსებობს წესები ევროკავშირის ფინანსების დასაცავად. ევროკავშირი ამჟამად განიხილავს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დირექტივის პროექტს, რომელიც, მიღების შემთხვევაში, მაგალითად, გერმანიაში გამოიწვევს გარკვეულ ცვლილებებს მოქმედ ანტიკორუფციულ სისხლის-სამართლებრივ კანონმდებლობაში.

თუმცა ევროკავშირის კონკურენტის წესები, რომლებიც განჭრეტად მომავალში თანაბრად გავრცელდება გერმანიასა და საქართველოზე, ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ჯარიმებს იმ საწარმოთა წინააღმდეგ, რომლებიც არ იცავენ ევროკავშირის ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის წესებს. საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო მსხვილ კორპორაციებზე დაწესებულ ძალიან მაღალ ჯარიმებს დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოების მხრიდანაც. თუმცა ეს შემთხვევა არ ეხება სისხლის სამართალს ვინრო გაგებით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ევროკავშირის აქტი 1/2003, რომელიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ რეგულაციას, ცალსახად უარყოფს ამ ჯარიმების სისხლის-სამართლებრივ ხასიათს, არამედ იმიტომაც, რომ მათი დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ საწარმოებზე და არა ფიზიკურ პირებზე.

მომავალში, ევროკავშირს შეუძლია, ევროკავ-

შირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე დაავალდებულოს წევრი სახელმწიფოები, მოახდინონ ეკონომიკური სისხლის სამართლისა და განსაკუთრებით, კონკურენციის კანონმდებლობის მინიმალურ მოთხოვნებთან ჰარმონიზება. თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, არსებობს სხვა საბაზისო მექანიზმები, როგორცაა კორუფციასა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლა, ასევე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული აქტივების კონფისკაცია.

შიდა ბაზარზე კონკურენციის დაცვის მიზნით, სისხლისსამართლებრივი სანქციები დღესაც გვხვდება, ძირითადად, წევრი ქვეყნების სისხლის სამართლის ეროვნულ კანონმდებლობაში. იმისათვის, რომ წევრმა სახელმწიფოებმა ეროვნული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა ბოროტად არ გამოიყენონ, არ ჩაკეტონ ეროვნული ბაზარი და ამ გზით მათ ქვეყნებში დაფუძნებულ სანარმოებს არ შეუქმნან კონკურენტული უპირატესობა, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების ფუნდამენტური თავისუფლებები უზრუნველყოფენ, რომ გარანტირებული იყოს საქონლისა და სერვისების, ასევე, ფინანსური პროდუქტებისა და დასაქმებულთა თავისუფალი გადაადგილება. ამას მხარს უმაგრებს წარმოშობის ქვეყნის პრინციპიც (Herkunftslandprinzip), რომელიც შეიქმნა ცნობილ პრეცედენტულ საქმეში „Cassis de Dijon“ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, 45 წლის წინ, გერმანიიდან წარდგენილ სისხლის სამართლის საქმეზე. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ პროდუქტი, რომელიც კანონიერად არის წარმოებული ევროკავშირის წევრ ქვეყანაში მისი სამართლებრივი მოწესრიგების შესაბამისად, შეიძლება ასევე კანონიერად გაიყიდოს ევროკავშირის წევრ ყველა სხვა ქვეყანაში.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ და ვალდებული არიან კიდევ, უზრუნველყონ ევროკავშირის შიდა ბაზრის წესრიგის დაცვა, უპირველესად იმიტომ, რომ ევროპული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების არარსებობის პირობებში, ევროკავშირი ვერ დაიცავს საკუთარ თავს. ეს მით უფრო მართებულია, როცა თავისუფალი კონკურენციის გარდა, დასაცავი იქნება სხვა მიზნებიც, როგორებიცაა საბაზრო მოწესრიგებისა და მინოდების ჯაჭვის მდგრადობა. ნებისმიერ შემთხვევაში, არსებითი დარღვევების წინააღმდეგ

საჭიროა სისხლისსამართლებრივი დაცვა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პროკურატურა 2021 წლიდან არსებობს, ის არ არის პასუხისმგებელი შიდა ბაზარზე კონკურენციის დაცვაზე, არამედ პასუხისმგებელია მხოლოდ ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა თაღლითობა და კორუფცია ევროკავშირის საზიანოდ.

IV. დანაშაულის შესაძლო შემადგენლობები

მსურს, ეს ნათლად გამოვკვეთო გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის² სამი შემადგენლობის გამოყენებით, რომლებიც თაღლითობასთან არიან დაკავშირებული – ერთი მხრივ, თაღლითობის კლასიკური დანაშაული; მეორე მხრივ, ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კანონმდებლობის საფუძველზე 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან შექმნილი დანაშაულის სპეციალური შემადგენლობები სუბსიდიის მიღების მიზნით თაღლითობის წინააღმდეგ საბრძოლველად (გსსკ-ის 264-ე პარაგრაფი), ასევე, საინვესტიციო თაღლითობა (გსსკ-ის 264a-ე პარაგრაფი). თაღლითობის კლასიკური შემადგენლობისგან განსხვავებით (გსსკ-ის 263-ე პარაგრაფი), ეს ორი ეკონომიკური დანაშაული, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, იცავს არა მხოლოდ ქონებას, არამედ მის უკან მდგომ ეკონომიკური წესრიგისთვის მნიშვნელოვან ინსტიტუტებს, როგორებიცაა ზოგადი ინტერესი ეფექტიანი ეკონომიკური განვითარებისა და კაპიტალის ბაზრის ფუნქციონირებისადმი. ჩემი აზრით, ორივე შემადგენლობა რეალურად იცავს ეკონომიკურ კონკურენციას, რადგან მისი დაზიანება შეიძლება როგორც თაღლითური სუბსიდიებით, ასევე, ფასიანი ქაღალდების ყალბი მონაცემების საფუძველზე გამოშვებით. ის გულწრფელი ადამიანი, რომელიც უარს ამბობს უკანონო სუბსიდიასა თუ ყალბ მონაცემებზე მის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, სულელია, მაშინ, როდესაც დამნაშავეები თაღლითური ქცევის მეშვეობით ახერხებენ მოიპოვონ და შეინარჩუნონ უპირატესობა ეკონომიკურ კონკურენციაში. იგივე ეხება კორუფციის ბევრ შემთხვევასაც.

² შემდგომში შემოკლებულია, როგორც გსსკ.

1. „Greenwashing“ როგორც თაღლითობა ან/და საინვესტიციო თაღლითობა

თუ აქამდე თაღლითობა, ისევე, როგორც ეკონომიკური სისტემის სამართლის სხვა ნორმები, საბოლოო ჯამში, მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივ მდგომარეობას ეხებოდა, დღეს უმჯობესია, რომ განზრახული მდგრადობის მისაღწევად ეს მიდგომა გადაიხედოს. აქ ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა ე.წ. „Greenwashing“ ისჯებოდეს, როგორც თაღლითობა. ეს ის შემთხვევებია, როდესაც კომპანია პოტენციურ მომხმარებლებთან რეკლამას უკეთებს თავის პროდუქციას, როგორც „კლიმატნიეტრალურს“, თუმცა რეალურად ტოვებს „ეკოლოგიურ ნაკვალევს“.

ასევე, სამსჯელოა, შეიძლება თუ არა საინვესტიციო თაღლითობად იქნეს მიჩნეული შემთხვევა, როდესაც კომპანია კაპიტალის ბაზარზე აქვეყნებს თავის წილებს იმ განაცხადით, რომ მისი ბიზნეს-საქმიანობა უნაკლოა ეკოლოგიური თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ის ხორციელდება ქვანახშირის მალარობშიც. თითოეულ შემთხვევაში, საქმე იმაშია, რომ რეკლამირებული პროდუქტი, მართალია, ლეგალურად ინარმოება თუ იყიდება, მაგრამ არ გააჩნია მისთვის მიკუთვნებული განსაკუთრებული ეკოლოგიური უპირატესობები. ეკომეგობრულად მოაზროვნე მომხმარებლები ან ინვესტორები, განსაკუთრებით ევროკავშირის შიდა ბაზარზე, ხშირად „ებმებიან“ ასეთი დაპირებების მახეში და ყიდულობენ რეკლამირებულ პროდუქციას იმ მოლოდინით, რომ ასე უფრო მეტს გააკეთებენ გარემოსთვის, ვიდრე კონკურენტი პროდუქტის შეძენით. გერმანიაში ეს ნათლად გამოჩნდა ე.წ. დიზელის სკანდალის დროს, როდესაც ბევრმა მომხმარებელმა შეგნებულად შეიძინა ის ავტომობილები, რომელთა გამონახობლქვის დონე განსაკუთრებულად დაბალი უნდა ყოფილიყო, როგორც ეს მწარმოებელთა მიერ გავრცელებული ინფორმაციით იყო ცნობილი. ვინაიდან კომპანიები გამონახობლქვის მითითებულ დაბალ ნიშნულებს ხშირად მხოლოდ ძრავაზე მანიპულირების გზით აღწევდნენ, მომხმარებლები მოტყუებულნი დარჩნენ და დაუშვეს შეცდომა, თითქოსდა განსაკუთრებულად ეკომეგობრული ავტომობილის შეძენით.

როგორც წესი, თაღლითობის დასჯადობა გამოირიცხება, როცა ტყუილს – როგორც იყო ხსენებულ

მაგალითში განსაკუთრებულ ეკომეგობრულობასთან დაკავშირებით – მართალია, შეცდომაში შეჰყავს სახელმეკრულებო პარტნიორი, რომელიც ელის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს და მხოლოდ ამიტომ არის მზად დადოს ხელშეკრულება და გადაიხადოს ფასი, მაგრამ არ არსებობს ფინანსური ზიანი, რადგან იმ პროდუქტსაც კი, რომელიც არ არის განსაკუთრებულად ეკომეგობრული, ობიექტურად ფასის შესაბამისი ღირებულება აქვს. თუ გამყიდველი ყიდის ავტომობილს საცნობარო ფასად (Listenpreis) და მყიდველს ჰპირდება დამატებით „კლიმატნიეტრალიტეტს“ საკომპენსაციო ღონისძიების გადახდის გზით, რომელსაც შემდეგ არ ასრულებს, მართალია, მომხმარებელს მოლოდინები მნიშვნელოვნად უცრუდება, მაგრამ მისი ქონება არ მცირდება – რადგან ავტომობილი ღირს ის საბაზრო ფასი, რომელიც მასში გადაიხადა.

ვითარება სხვაგვარი იქნებოდა, თუ თაღლითობის შემადგენლობაში მოექცეოდა კონკურენციის ისეთი გამრუდება, რომელიც CO²-ის მცდარი მაჩვენებლების მითითებით მიიღწევა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ 1992 წელს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ერთ-ერთი ტენდერის საქმეში დაადგინა ქონებრივი ზიანის არსებობა. მართალია, ტენდერში საბოლოოდ შერჩეულმა მწარმომ შესაბამისი ფასი მოითხოვა, თუმცა გაირკვა, რომ ტენდერის მონაწილე კომპანიები კანონის დარღვევით ფარულად იყვნენ ერთმანეთთან შეთანხმებული. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რეალური კონკურენციის პირობებში, კომპანიებს შორის არსებული კარტელური შეთანხმების გარეშე, სავარაუდოდ, უფრო დაბალი კონკურენტული ფასი მიიღწეოდა. ანალოგიურად, შეიძლება, ფიქციურად შემცირდეს ავტომობილის ფასიც, იმდენად, რამდენადაც იგი ვერ იქნება დაპირების შესაბამისად სავალდებულო მეტად ეკომეგობრული.

უფრო მარტივი იქნება კომპანიის ბიზნეს სფეროების ეკომეგობრულობის შესახებ ტყუილის მოქცევა საინვესტიციო თაღლითობის შემადგენლობაში, რადგან ამ დანაშაულისთვის არ არის მნიშვნელოვანი, რომ ფასიანი ქაღალდების ან აქციების მყიდველს რეალურად მიადგეს ქონებრივი ზიანი. ამ შემთხვევაში საკმარისი იქნება მცდარი ინფორმაციის მითითება შენაძენთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ, თუნდაც ბროშურაზე. აქ, რა

თქმა უნდა, ისეთი შემთხვევაც მოიაზრება, როდესაც კომპანია ნაკლებად ეკომეგობრულია, ვიდრე ეს სარეკლამო ბროშურაზეა მითითებული. თუ, მაგალითად, ბანკი ახალი აქციების გამოშვებამდე განაცხადებს, რომ იგი აფინანსებს მხოლოდ „მწვანე“ პროდუქტებს ევროკავშირის ტაქსონომიის აქტის მნიშვნელობით, ეს იქნება საინვესტიციო თაღლითობა, თუ მას რეალურად გაცემული აქვს სესხი ქვანახშირზე მომუშავე ენერგოსადგურზე.

2. ეკოლოგიური სუბსიდია და თაღლითობა სუბსიდიების მიღებასთან დაკავშირებით

საბოლოოდ – და ეს კრავს წრეს „მწვანე გარიგების“ მეშვეობით მდგრად ეკონომიკაში ევროკავშირის ინვესტიციებთან დაკავშირებით – შესაძლოა, მისაღები იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სუბსიდიის მიღების მიზნით თაღლითობისთვის, თუ ევროკავშირისგან სუბსიდიის მიმღები ყალბ ინფორმაციას გასცემს მისი პროდუქციის ეკომეგობრულობის შესახებ. ამისათვის, ასეთი ინფორმაცია ეკომეგობრულობის შესახებ მიჩნეულ უნდა იქნეს არსებითი მნიშვნელობის მქონედ სუბსიდიის მისაღებად. ეს, ცხადია, გარემოსდაცვითი ღონისძიებებისთვის სახელმწიფო დახმარების მიღების შემთხვევებსაც გულისხმობს. სამსჯელო იქნებოდა ისეთი შემთხვევები, როდესაც საინვესტიციო დახმარება, იმავდროულად იმ პირობასაც რომ ებმოდეს, რომ სხვა მიზნებთან ერთად დამატებით კონკრეტული გარემოსდაცვითი საკითხებიც თანარეალიზდეს. თუ სუბსიდიის გამცემი ამას აშკარად არსებით პირობად ჩათვლის, მაშინ ცრუ მონაცემების მიწოდება გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სუბსიდიის მიღების მიზნით თაღლითობისთვის. მაგალითად, თუ სუბსიდიები გაიცემა საცხოვრებლის მშენებლობისთვის, სუბსიდიის გამცემს ასევე შეუძლია მოითხოვოს, რომ ეს ბინები შეესაბამებოდეს განსაკუთრებით მაღალ გარემოსდაცვით სტანდარტებს. თუ სუბსიდიის მიმღები ამ პირობასთან დაკავშირებით ტყუილ დაპირებას გასცემს, მას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სუბსიდიის მიღების მიზნით თაღლითობისთვის, თუნდაც მან ააშენოს დაგეგმილი პროექტი.

V. დასკვნა

ეს მაგალითები აჩვენებს, რომ გარემოსდაცვითი სისხლის სამართლის გარდა, ქონებრივი და ეკონომიკური სისხლის სამართლის ნორმებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ეკონომიკური ჩარჩო პირობების, არამედ ევროკავშირის შიდა ბაზარზე კონკურენციის პირობებში შემოთავაზებული სერვისების მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ბუნებრივია, სისხლის სამართალმა არ უნდა განსაზღვროს, თუ რას წარმოადგენს მდგრადობა სამართლებრივი გაგებით.

თუმცა, შიდა ბაზარზე ეკონომიკური კონკურენციის წესრიგის უზრუნველყოფის გარდა, სისხლის სამართალი და მასზე დაშენებული სისხლის სამართლის პროცესი, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ეკოლოგიურ მიზნებზე თვალის მისაღწევებად. სისხლის სამართალი, როგორც სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის უკიდურესი საშუალება, უზრუნველყოფს მხოლოდ ჩარჩო დაცვას შიდა ბაზარზე მდგრადი ეკონომიკური საქმიანობისთვის. თუმცა შეუძლია მისი გავლენა გამოიყენოს განსაკუთრებით „Greenwashing“-ის მსგავს სიტუაციებში, თუ მენარმეები ევროკავშირში მოისურვებენ ბოროტად გამოიყენონ კონკურენციის თავისუფლება და დაამახინჯონ იგი მდგრადობის შესახებ ტყუილით.

ევროკავშირის შიდა ბაზრის ეკონომიკისა და კონკურენციის წესრიგში მდგრადობის ასპექტების ჩართვით, აუცილებელია მათ დასაცავად მიღებული სისხლის სამართლის ნორმების გადახედვა ეროვნული კანონმდებლის მიერ – როგორც გერმანიაში, ისე საქართველოში – რათა კანონმდებელი დარწმუნდეს, რომ კანონმდებლობას შეუძლია ემსახუროს ეკონომიკის მდგრადობის დაცვას.

ეს ის სფეროა, სადაც, შესაძლოა, გერმანულმა და ქართულმა სისხლის სამართლის კანონმა მომავალში ისწავლონ ერთმანეთისგან, რათა საერთო ევროპულ კონკურენციაში, ერთი მხრივ, სათანადოდ იყოს დაცული მდგრადობა და, მეორე მხრივ, სისხლის სამართალი დარჩეს მხოლოდ უკიდურეს საშუალებად მის დასაცავად.

ამასთან ერთად, ჩვენ, ორივე ქვეყნის სამართლის მეცნიერებმა, ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების წარმომადგენელი კოლეგების ჩართულობით, მომავალში კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა ვიმუშაოთ ერთად. მე მოუთმენლად ველი მომავალ წლებში ამგვარ ერთობლივ პროექტებს. კიდევ ერ-

თხელ მსურს, მადლობა გადაგიხადოთ ყველას იმ დიდი პატივისთვის, რაც დღეს აქ მივიღე. რადგან ქართველ და გერმანელ სისტემის სამართლის მეცნიერებს შორის თანამშრომლობა მრავალი ათწლეულის მანძილზე, ძირითადად, მერაბ ტურავას ინიციატივით ჩამოყალიბდა, მსურს, ამ სტატიის მეშვეობით გულითადად მივულოცო მას და ვუსურვო ყოველივე საუკეთესო მომავალში როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პროფესიულ საქმიანობაში – კერძოდ, ევროპული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში გერმანულ-ქართული სისტემის სამართლის თანამშრომლობის საქმეში.

უმართლობა და ბრალი და გერმანულ სისხლის სამართალში

პროფესორი, სამართლის დოქ., საპატიო დოქ. (თსუ) *ბერნდ ჰაინრიხი*, თიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი*

I. შესავალი

გერმანული სისხლის სამართლისთვის დამახასიათებელია ე.წ. „დანაშაულის სამსაფეხუროვანი სტრუქტურა“, რომელიც ერთმანეთისგან წმინდად განასხვავებს ქმედების შემადგენლობას, მართლწინააღმდეგობასა და ბრალს.¹ პირველი და მეორე ეტაპისთვის დამახასიათებელია ქმედების „უმართლობა“, ხოლო ბრალი ქმედების პერსონალურ (სუბიექტურ) გასაკიცხაობას უკავშირდება.² ამდენად, მართლწინააღმდეგობის არარსებობა ქმედების უმართლობას გამორიცხავს, ხოლო, ამისგან განსხვავებით, ბრალის არარსებობა – ინდივიდუალურ გასაკიცხაობას, თუმცა კვლავ ტოვებს ქმედების უმართლობას. მართალია, ორივე შემთხვევაში (მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობისას), ამსრულებელი არ შეიძლება დაისაჯოს, თუმცა ის საკითხი, მან მართლწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინა, თუ უბრალოდ ბრალი გამოერიცხა, ჩვენი სამართლებრივი წესრიგის არაერთ ადგილას გადამწყვეტ როლს ასრულებს, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული. კადნიერება იქნებოდა, პატივცემული იუბილარისთვის უმართლობისა და ბრალის გამიჯვნის მნიშვნელობა აგვეხსნა, რადგან ქართველ იურისტებს შორის თითქმის არავინ მოიძებნება ისეთი, ვინც *მერაბ ტურავას* მსგავსად ჩასწვდა გერმანული სისხლის სამართლის სტრუქტურებს. ის, რომ წარმოდგენილ სტატიაში აღნიშნული პრობლემა მაინც იქნება განხილული,

* სტატია გერმანულიდან თარგმნა ჟურნალის სამუშაო ჯგუფის წევრმა, *თამარ შავგულიძემ*.

¹ ამასთან დაკავშირებით, დაწვრილებით შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 81 ff.*

² თუმცა, უმართლობისა და ბრალის კატეგორიული გამიჯვნის წინააღმდეგია *Freund, Georg/Rostalski, Frauke, Strafrecht Allgemeiner Teil, Personale Straftatlehre, 3. Aufl., 2019, § 4 Rn. 20 ff.; Freund, Georg, Goldammer's Archiv für Strafrecht 2010, 193, 197; Jakobs, Günter, Der strafrechtliche Handlungsbegriff, 1992, S. 41 ff.; Pawlik, Michael, in: Otto-Festschrift 2007, S. 133; Walter, Tonio, Der Kern des Strafrechts, 2006, S. 1, 196 ff.*

განპირობებულია იმით, რომ ამ სტატიის მკითხველთა წრე სცილდება იუბილარს და მოიცავს სხვა ქართველ და გერმანულ იურისტებს. ამასთან, საკმაოდ საინტერესოა, კიდევ ერთხელ გავეხსენოთ სხვადასხვა პრობლემური სფერო, რომელიც უმართლობისა და ბრალის გამიჯვნას უკავშირდება.

II. ისტორიულად

წინათ არსებული დანაშაულის „კაუზალური“ სტრუქტურის ფარგლებში, დანაშაულის ყველა ობიექტური ელემენტი უმართლობას მიეკუთვნებოდა, ყველა სუბიექტური ნიშანი კი (თითქმის ამომწურავად³) ბრალს. ამასობაში, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან, „ფინალიზმის“ მოძღვრებაზე დაყრდნობით⁴, განვითარდა მოსაზრება, რომ ქმედების ობიექტური ნიშნების განხორციელების ქრილში, განზრახვა, როგორც ქმედების „სუბიექტური“ შემადგენლობა, ნებისმიერ შემთხვევაში, ქმედების

³ მიუხედავად ამისა, დანაშაულის კაუზალური სტრუქტურის წარმომადგენლები იძულებულნი გახდნენ, განსაკუთრებული სუბიექტური ელემენტები, რომლითაც კონკრეტული დელიქტი ხასიათდება, მაგალითად, ქურდობის შემთხვევაში, მისაკუთრების მიზანი, § 242 გსსკ, ან თაღლითობის შემთხვევაში, გამდიდრების მიზანი, § 263 გსსკ, ჯერ კიდევ, შესაბამისი დელიქტის შემადგენლობისთან მიმართებით გაეთვალისწინებინათ, რადგან ეს ქმედების განსაკუთრებულ უმართლობას განაპირობებს.

⁴ ფინალიზმის მთავარი წარმომადგენელი იყო *ველცელი*, შდრ. *Welzel, Hans, Das Deutsche Strafrecht, 11. Aufl., 1969, § 8 I; Welzel, Hans, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft Band 51 (1931), 703; Welzel, Hans, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft Band 58 (1939), 553; Welzel, Hans, Juristische Schulung 1966, 421; ამას გარდა Kaufmann, Armin, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft Band 70 (1958), 64; Stratenwerth, Günter, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft Band 71 (1959), 51; Stratenwerth, Günter/Kuhlen, Lothar, Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Aufl., 2011, § 6 Rn. 6 ff.; აგრეთვე, შეზღუდული ფორმით წარმოდგენილი იყო *Maurach, Reinhart/Zipf, Karl-Heinz, Strafrecht, Allgemeiner Teil, Teilband 1, 8. Aufl., 1992, § 16 Rn. 38 ff.**

შემადგენლობის ეტაპზე უნდა იქნეს გათვალისწინებული, ე.ი. ის ამოღებულ უნდა იქნას ბრალის ეტაპიდან და გადავიდეს უმართლობის კატეგორიაში.⁵ ამის საპირისპიროდ, მართლწინააღმდეგობის კუთხით, განზრახვა კლავ რჩება ბრალის ეტაპზე და სულ მცირე, დღეს არსებული გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სუბიექტურ შემადგენლობაში უმართლობის ეტაპზე არ აღმოჩნდება.⁶ აღნიშნული, დანაშაულის „ნეოკლასიკური“ (ზოგჯერ „პოსტ ფინალურად“ ან „თანამედროვედ“ წოდებული) სტრუქტურა დღეს გერმანიაში დომინანტურად შეიძლება იქნეს მიჩნეული.⁷

გერმანიაში დღეს არსებული გაბატონებული მოძღვრების მიხედვით, ბრალის ფარგლებში, ხუთი სხვადასხვა ელემენტია საყურადღებო,⁸ რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ გამომდინარეობს კანონიდან. პირველი ელემენტი არის ბრალუწარსახობა, რომელიც გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის⁹ §§ 19, 20 წესრიგდება. მეორე ელემენტია

⁵ დანაშაულის სტრუქტურის ისტორიული განვითარების კუთხით, მოკლე მიმოხილვისთვის შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 96 ff.*

⁶ თუმცა ე.წ. „ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების მოძღვრების“ წარმომადგენლებისგან განსხვავებულად; ეს მოსაზრება დასაბუთებულია *Merkel, Adolf, Lehrbuch des deutschen Strafrechts, 1889, S. 82*; გარდა ამისა, მათ შორის, წარმოდგენილია *Engisch, Karl, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft Band 70 (1958), 566, 583*; *Kaufmann, Arthur, Juristenzeitung 1954, 653*; *Kaufmann, Arthur, Juristenzeitung 1956, 353, 393 ff.*; *Kaufmann, Arthur, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft Band 76 (1964), 543, 562 ff.*; *Schlehofer, Horst, in: Münchener Kommentar zum StGB, 4. Aufl., 2020, Vor §§ 32 ff. Rn. 36 ff.*; *Puppe, Ingeborg/Grosse-Wilde, Thomas, in: Nomos Kommentar zum StGB, 6. Aufl., 2023, Vor §§ 13 ff. Rn. 12 ff.*; *Otto, Harro, Grundkurs Strafrecht, Allgemeine Strafrechtslehre, 7. Aufl., 2004, § 5 Rn. 23 ff.*; *Schröder, Horst, Zeitschrift für die gesamte Strafrechtswissenschaft Band 65 (1953), 178, 207*; ამ მოძღვრებასთან დაკავშირებით, აგრეთვე შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 107 ff.*

⁷ შდრ. მხოლოდ *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Aufl., 1996, § 21 III*; *Roxin, Claus/Greco, Luis, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I: Grundlagen: Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Aufl., 2020, § 7 Rn. 23 ff., § 10 Rn. 16 ff.*; ამ მოძღვრებასთან დაკავშირებით, აგრეთვე შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 101 ff.*

⁸ ამასთან დაკავშირებით, დანვრილებით შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 531 ff.*

⁹ შემდგომ შემოკლებულია, როგორც გსსკ.

ბრალის სპეციალური ნიშნები, რომელიც გსსკ-ის კერძო ნაწილის ზოგიერთ შემადგენლობაში გვხვდება, მაგალითად, როგორცაა „ბოროტი განზრახვით“ უპატივცემულობა § 90 აბზაცი 1 Nr. 1 გსსკ-ში, „ბოროტი განზრახვით“ უგულბელებულობა § 225 გსსკ-ში, ან (სულ მცირე, გაბატონებული მოსაზრებით) „წინდაუხედაობა“ § 315c გსსკ-ში. შემდეგ ელემენტად სახელდება უმართლობის შეგნება, რომელიც § 17 გსსკ-ის თანახმად, როგორც აკრძალვაში შეცდომის, ისე ნებართვაში შეცდომის¹⁰ შემთხვევაში გამოირიცხება. მეოთხე ელემენტია ბრალის ფორმა. აქ, წინათ არსებული კაუზალური მოძღვრების მიხედვით, სრულყოფილად მოწმდება განზრახვა და გაუფრთხილებლობა. დღეს არსებული მართებული მოსაზრების მიხედვით,¹¹ ამ ეტაპზე უნდა მოთავსდეს განზრახვა, კერძოდ, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი აღიარებული გარემოებების ფაქტობრივად არსებობის ქრილში, რომელთა არარსებობისასაც, § 16 გსსკ-ის ანალოგიით, სახეზეა ე.წ. ქმედების შემადგენლობის ნებართვაში შეცდომა.¹² ამის შემდგომ, გაუფრთხილებლობის დელიქტების ფარგლებში, მოწმდება სუბიექტური განჭვრეტადობა და თავიდან აცილების სუბიექტური შესაძლებლობა. მეხუთე და საბოლოო ელემენტად, ბრალის ეტაპზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებების არარსებობა. ბრალის გამომრიცხველი ასეთი საპატიებელი გარემოებების მაგალითია საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობა § 35 გსსკ, ან აუცილებელი მოგერიების ექსცესი, § 33 გსსკ.

III. უმართლობისა და ბრალის განსხვავების პრაქტიკული მნიშვნელობა

ქვემოთ ნაჩვენები იქნება პრაქტიკული გამოყენების რამდენიმე სფერო, რომელშიც უმართლობისა და ბრალის განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. აქ ცხადი გახდება, რომ ნამდვილად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს საკითხი, კონ-

¹⁰ ამ შეცდომასთან დაკავშირებით, შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 1142 ff.*

¹¹ ამასთან დაკავშირებით, შდრ. ქვემოთ III 1.

¹² ნებართვაში შეცდომასთან დაკავშირებით, შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 1128 ff.*

კრეტულ ვითარებაში (ჯერ კიდევ) უმართლობა გამოირიცხება, თუ ბრალი (მაშინაც კი, როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, განსხვავებული კატეგორიზაცია ამსრულებლის დასჯადობის ან მისგან გათავისუფლების კუთხით, რამე როლს არ ასრულებს).

1. აუცილებელი მოგერიების დასაშვებობა მხოლოდ ხელყოფის მართლწინააღმდეგობისას

უმართლობისა და ბრალის განსხვავებას, პირველ რიგში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხთან მიმართებით, სხვა პირის თავდასხმის წინააღმდეგ, საკუთარი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად, აუცილებელი თვითდაცვის თუ აუცილებელი დახმარების განხორციელება შეიძლება (§ 32 გსსკ). აუცილებელი თვითდაცვა გულისხმობს თავდამსხმელის წინააღმდეგ, საკუთარი უფლებების დასაცავად აუცილებელ მოგერიებას, ხოლო აუცილებელი დახმარება არის აუცილებელი მოგერიების განხორციელება სხვის სასარგებლოდ ისეთი პირის მიერ, რომელიც თავად არ იმყოფება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. აღნიშნულს აღწერს შემდეგი შემთხვევა:

შემთხვევა 1: კარლი ფსიქიკურად დაავადებულ რუდის რესტორანში სიგარეტის კოლოფიდან მოჰპარავს სიგარეტს. ამაზე გაბრაზებული რუდი იღებს რკინის ჯოხს და მოკვლის განზრახვით დაარტყამს კარს. რესტორნის მესაკუთრეს აინტერესებს, შეუძლია თუ არა კარლის დასახმარებლად დააკავოს რუდი.

ვინაიდან რუდის დაკავება ნებისმიერ შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთას, § 239 გსსკ და იძულებას, § 240 გსსკ, წარმოადგენს, ასევე შესაძლოა, სხეულის დაზიანებასაც, § 223 გსსკ, წარმოადგენდეს, იმისათვის, რომ რუდიმ აღარ გააგრძელოს კარლისთვის დარტყმა, უნდა შემონმდეს, აუცილებელი დახმარების საფუძველზე, § 32 გსსკ, გამართლებული იქნება თუ არა მესაკუთრის შესაძლო ჩარევა. აუცილებელი დახმარების, ისევე როგორც აუცილებელი თვითდაცვის წინაპირობაა მესამე პირის მხრიდან იმწუთიერი მართლწინააღმდეგო ხელყოფა. ამდენად, მესაკუთრეს მხოლოდ მაშინ

შეუძლია ჩაერიოს, თუ რუდის ქმედება „მართლწინააღმდეგო“ ხელყოფად შეფასდება. თუმცა, ეს გამოირიცხებოდა, თუ თავად რუდიც აუცილებელი თვითდაცვის დასაშვებ ფარგლებში, § 32 გსსკ, იმოქმედებდა, რადგან ბოლოს და ბოლოს კარლმა მას სიგარეტი მოპარა. ამიტომ, თუ ფსიქიკურად დაავადებული რუდი თავადაც აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედებს და, აქედან გამომდინარე, მართლწინააღმდეგობა გამოერიცხება, მესაკუთრეს არ შეუძლია ჩაერიოს. ამისგან განსხვავებით, თუ რუდი მართლწინააღმდეგოდ მოქმედებს, რადგან მისი მოქმედება (რაც ამ შემთხვევაში გონივრულია) აუცილებელი მოგერიების უფლებით არ (აღარ) არის მოცული, ფსიქიკური დაავადების გამო, მას მხოლოდ ბრალი გამოერიცხება. ეს მესაკუთრეს შესაძლებლობას მისცემს, აუცილებელი დახმარება განახორციელოს, რადგან სავსებით შესაძლებელია მართლწინააღმდეგოდ, მაგრამ არაბრალეულად მოქმედი პირის წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიების უფლების არსებობა (§ 32 გსსკ-ში სუბარია მხოლოდ მართლწინააღმდეგო, მაგრამ არა ბრალეულ იმწუთიერ ხელყოფაზე).

2. აუცილებელი მოგერიების დასაშვებობა, განსაკუთრებით, იმ პირთა მიმართ, რომლებიც ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში იმყოფებიან

უმართლობისა და ბრალის დიფერენცირება განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება, როდესაც თავდამსხმელი ე.წ. „ნებართვაში შეცდომის“ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან მისი კლასიფიკაცია უმართლობის ან დანაშაულის კატეგორიაშია სადავოა.

შემთხვევა 2: ანტონი ბრუნოს აკავებს მტკიცებულად ხელის მოჭერით, რადგან ფიქრობს, რომ მან ახლახან მოიპარა მისი საათი (რაც სინამდვილეს არ შეესაბამება). ამის საპირისპიროდ, ბრუნო თავს ანტონის ძირს დაგდებით იცავს.

დასახელებულ მაგალითში ბრუნომ ძირს დაგდების შედეგად, ანტონის მიმართ, სხეულის დაზიანების შემადგენლობა განახორციელა, § 223 გსსკ. მიუხედავად ამისა, ეს შეიძლება გამართლ-

ბული იყოს აუცილებელი მოგერიებით, რადგან იგი ანტონმა მტკივნეულად ხელის მოჭერით დააკავა. როგორც დავინახეთ, აუცილებელი მოგერიების წინაპირობაა „იმნუთიერი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა“. თუ ანტონი, როგორც თავდამსხმელი, ბრუნოს დაკავებით ქმედების შემადგელობას არ ახორციელებდა ან მართლსაწინააღმდეგობა გამოერიცხებოდა, ეს ხელყოფის მართლსაწინააღმდეგობასაც გამოერიცხავს (და ბრუნოს აღარ შეეძლება დაკავება ძალისმიერად მოიგერიოს). მაგრამ, თუ ანტონს მის მიერ დაშვებული შეცდომის გამო, მხოლოდ ბრალი გამოერიცხება, დაკავება მართლსაწინააღმდეგო ქმედებად განიხილება, რაც პირს, რომელსაც თავს დაესხნენ (ამ შემთხვევაში ბრუნოს), აუცილებელი მოგერიების უფლებას მიანიჭებს. ამდენად, გადამწყვეტია, ანტონის შეცდომა (მას სჯეროდა, რომ ბრუნომ საათი მოჰპარა) იმას იწვევს, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებდა, თუ შეცდომის შედეგად, მხოლოდ არაბრალეული იყო.

თუ ამსრულებელი ფაქტობრივ გარემოებებში ცდება, რომელიც მას არსებობის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგობის აღიარებული საფუძვლით აღჭურვავდა, სახეზეა ე.წ. „ნებართვაში შეცდომა“. ეს ამ შემთხვევაში წარმოდგენილია, ვინაიდან ანტონი თვლიდა, რომ მისი საათი ბრუნომ მოიპარა. თუ ეს ამგვარად იქნებოდა, მას შეეძლო, ბრუნო აუცილებელი მოგერიების დასაშვებ ფარგლებში, § 32 გსსკ, დაეკავებინა. როგორც უკვე აღინიშნა, ნებართვაში შეცდომის სამართლებრივი კლასიფიკაცია გერმანულ სამართალში სადავოა.¹³ გაბატონებული მოსაზრების (ბრალის „შეზღუდული“ თეორია) მიხედვით, საკუთარი ქმედების „მართლსაწინააღმდეგობასთან დაკავშირებული შეცდომისას“, მართალია, § 16 გსსკ-ის ანალოგია უნდა იქნას გამოყენებული, ე.ი. ქმედების შემადგენლობაში შეცდომასთან დაკავშირებული წესი, თუმცა ეს განზრახვას გამოერიცხავს არა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე (= ქმედების განზრახვას), არამედ მხოლოდ ბრალის ეტაპზე (რაც არასწორად მოიხსენიება „ბრალის განზრახვის“ ან „განზრახვის ბრალის“ ცნებებით). აღნიშნულს, მათ შორის, ის

უპირატესობაც გააჩნია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობა შესაძლებელია.¹⁴ საკითხს მსგავსად ხედავს გერმანიის ფედერალური სასამართლოც, რომელიც „ბრალის სამართლებრივი შედეგით შეზღუდულ თეორიას“ მიჰყვება და, მართალია, მის ფარგლებში, პირდაპირ არ იყენებს § 16 გსსკ-ის ანალოგიას, თუმცა განსახილველ შემთხვევებში § 16 გსსკ-ის სამართლებრივი შედეგების გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს, რაც შედეგობრივად, ფაქტობრივად იგივეა. გაბატონებული მოსაზრებისა და გერმანიის ფედერალური სასამართლოს დოგმატური კლასიფიკაცია იმ შედეგს იწვევს, რომ ნებართვაში შეცდომის შემთხვევაში მხოლოდ ამსრულებლის ბრალი გამოერიცხება. ამდენად, ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში მყოფი პირის მიერ ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ რჩება. აღნიშნულის შესაბამისად, დასახლებულ მაგალითში მხოლოდ დამკავებელი ანტონი იმოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ და არა ბრუნო, რომელმაც ხელის მოჭერისგან დაიცვა

¹⁴ შდრ. *Ambos, Kai/Rackow, Peter*, Juristische Ausbildung 2006, 943, 946; *Börker, Rudolf*, Juristische Rundschau 1960, 168; *Fischer, Thomas*, StGB und Nebengesetze, 71. Aufl., 2024, § 16 Rn. 32, 38; *Gallas, Wilhelm*, in: Bockelmann-Festschrift 1979, S. 155, 170; *Gropp, Walter/Sinn, Arndt*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 5. Aufl., 2020, § 13 Rn. 211 f.; *Heinrich, Bernd*, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 1139; *Helmrich, Jan*, Juristische Arbeitsblätter 2006, 351, 356; *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas*, Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil, 5. Aufl., 1996, § 41 IV 1d; *Krey, Volker/Esner, Robert*, Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 743 ff.; *Krumpelmann, Justus*, Goldammer's Archiv für Strafrecht 1968, 129; *Maurach, Reinhart/Zipf, Karl-Heinz*, Strafrecht, Allgemeiner Teil, Teilband 1, 8. Aufl., 1992, § 37 Rn. 43; *Mitsch, Wolfgang*, Juristische Arbeitsblätter 2006, 509, 512; *Noltensmeier, Silke/Henn, Arne*, Juristische Arbeitsblätter 2007, 772, 777; *Rengier, Rudolf*, Strafrecht. Allgemeiner Teil, 15., Aufl., 2023, § 30 Rn. 22; *Rengier, Rudolf/Brand, Christian*, Juristische Schulung 2008, 514, 518; *Schmelz, Christoph*, Juristische Ausbildung 2002, 391, 392; *Stiebig, Volker*, Juristische Ausbildung 2009, 274, 275; *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, Strafrecht, Allgemeiner Teil, 53. Aufl., 2023, Rn. 758; უნდა აღინიშნოს, რომ ამ შედეგამდე აგრეთვე მიდის (განზრახვის გამომრიცხველი) ბრალის შეზღუდული თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლის ფარგლებშიც, ისინი §§ 26, 27 გსსკ-ში განზრახვას § 16 გსსკ-სგან განსხვავებულად განმარტავენ; შდრ. მხოლოდ *Roxin, Claus*, in: Leipziger Kommentar zum StGB, 11. Aufl., 1992 ff., Vor § 26 Rn. 27; *Vogel, Joachim*, in: Leipziger Kommentar zum StGB, 12. Aufl., 2006 ff., § 16 Rn. 126.

¹³ ნებართვაში შეცდომის სამართლებრივი კლასიფიკაციის სადავო საკითხთან დაკავშირებით, შდრ. *Heinrich, Bernd*, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 1128 ff.

თავი (რადგან ბრუნო თავს იცავს „მართლსაწინააღმდეგო“ ხელყოფისგან). სხვა მოსაზრების თანახმად¹⁵ (აგრეთვე ბრალის შეზღუდული თეორიის საფუძველზე, ზოგჯერ მოიხსენიება „განზრახვის გამომრიცხველ ბრალის შეზღუდულ თეორიად“), ამისგან განსხვავებით, მთლიანად განზრახვა, ე.ი. განზრახვა (ასევე) ქმედების შემადგენლობის ეტაპზე და, შესაბამისად, ჯერ კიდევ, ქმედების უმართლობა გამოირიცხება. ეს გამოიწვევდა, რომ ნებართვაში შეცდომის ფარგლებში, ანტონი მართლსაწინააღმდეგოდ არ იმოქმედებდა და, აქედან გამომდინარე, ბრუნოს ხელის მტკიცებულად მოჭერის წინააღმდეგ, აუცილებელი მოგერიების გზით, თავდაცვა არ შეეძლებოდა.

თუ ბოლოს დასახელებულ შეხედულებას გავიზიარებთ (= ნებართვაში აკრძალვის მდგომარეობაში მყოფი ამსრულებელი ჯერ კიდევ უმართლობას არ ახორციელებს), მას წარმოადგენილ შემ-

თხვევაზე შემდეგი გავლენა ექნებოდა: ნებართვაში შეცდომიდან გამომდინარე, ანტონი ბრუნოს კანონიერად დააკავებდა, სახეზე აღარ იქნებოდა იმწუთიერი ხელყოფის „მართლწინააღმდეგობა“, რომლის შემდეგაც, ბრუნო აღარ იქნებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, § 32 გსსკ, რომ დაკავების წინააღმდეგ, თავი დაეცვა. მიუხედავად ამისა, ამ შემთხვევაში, თავდაცვის განზრახვით განხორციელებული დარტყმისას ბრუნო ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან მან საბოლოოდ ჩათვალა, რომ ის ანტონმა მართლსაწინააღმდეგოდ დააკავა. აღნიშნული შეცდომაც შესაბამისადვე გამოირიცხავდა დარტყმის უმართლობას. ამას გარდა, ჩვეულებრივ, იმავე შედეგამდე მივიდოდა ქმედების შემადგენლობის ნეგატიური ნიშნების მოძღვრებაც,¹⁶ რადგან „მართლწინააღმდეგობის თაობაზე განზრახვა“ ჯერ კიდევ ქმედების შემადგენლობის „ნეგატიური“ ნიშნების ეტაპზე (ე.ი. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ფარგლებში) და, შესაბამისად, უმართლობის სფეროში შემონმდებოდა. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ მოძღვრებას პირდაპირ შეუძლია § 16 გსსკ-ის გამოყენება. ვინაიდან ორივე, როგორც დამკავებელი ანტონი, ისე ბრუნო, რომელმაც დაარტყა, ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ არც ერთი არ ახორციელებს უმართლობას, გაბატონებული და მართებული მოსაზრების ფარგლებში, დამკავებელი ანტონი (რომელიც ნებართვაში შეცდომის მიუხედავად, მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს),

¹⁵ შდრ. *Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eisele, Jörg*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 13. Aufl., 2021, § 14 Rn. 77 ff.; *Bock, Dennis*, *Juristische Arbeitsblätter* 2007, 599, 600; *Dieckmann, Andreas*, *Juristische Ausbildung* 1994, 178, 179, 185; *Frister, Helmut*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 10. Aufl., 2023, 14. Kap. Rn. 30; *Geppert, Klaus*, *Juristenzeitung* 1988, 1024, 1028; *Geppert, Klaus*, *Juristische Ausbildung* 1997, 299, 302 f.; *Geppert, Klaus*, *Juristische Ausbildung* 2007, 33, 36 f.; *Graul, Eva*, *Juristische Schulung* 1995, 1049, 1050; *Hruschka, Joachim*, in: *Roxin-Festschrift* 2001, S. 441, 455 f.; *Joecks, Wolfgang/Jäger, Christian*, *Studienkommentar StGB*, 13. Aufl., 2021, § 27 Rn. 19; *Kelker, Brigitte*, *Juristische Ausbildung* 2006, 591, 595; *Kindhäuser, Urs/Zimmermann, Till*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 11. Aufl., 2024, § 29 Rn. 26; *Köhler, Michael*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 1997, S. 324; *Kühl, Kristian*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 8. Aufl., 2017, § 13 Rn. 73; *Kühl, Kristian/Hinderer, Patrick*, *Juristische Ausbildung* 2012, 488, 490; *Lackner, Karl/Kühl, Kristian/Heger, Martin*, *StGB mit Erläuterungen*, 30. Aufl., 2023, § 17 Rn. 14; *Mitsch, Wolfgang*, *Juristische Arbeitsblätter* 1995, 32, 36, 40 f.; *Joecks, Wolfgang/Kulhanek, Tobias*, in: *Münchener Kommentar zum StGB*, 4. Aufl., 2020, § 16 Rn. 132, Vor §§ 26, 27 Rn. 22 f.; *Roxin, Claus/Greco, Luís*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band I, *Grundlagen: Der Aufbau der Verbrechenslehre*, 5. Aufl., 2020, § 14 Rn. 64; *Scheffler, Uwe*, *Juristische Ausbildung* 1993, 617, 621 ff.; *Heine, Günter/Weißer, Bettina*, in: *Schönke, Adolf/Schröder, Horst*, *StGB*, 30. Aufl., 2019, Vorbem. §§ 25 ff. Rn. 29; *Sternberg-Lieben, Detlev/Schuster, Frank*, in: *Schönke, Adolf/Schröder, Horst*, *StGB*, 30. Aufl., 2019, § 15 Rn. 35, § 16 Rn. 18; *Simon, Eric*, *Juristische Schulung* 2001, 639, 641 f.; *Stratenwerth, Günter/Kuhlen, Lothar*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 6. Aufl., 2011, § 9 Rn. 165 f.; ამასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო დეტალურად შდრ. ქვემოთ II 3.

¹⁶ შდრ. *Kaufmann, Arthur*, *Juristenzeitung* 1954, 653; *Kaufmann, Arthur*, *Juristenzeitung* 1956, 353, 393; *Kaufmann, Arthur*, in: *Lackner-Festschrift* 1987, S. 185, 187; *Schaffstein, Friedrich*, *Monatsschrift für deutsches Recht* 1951, 196, 197; *Schroth, Ulrich*, *Vorsatz und Irrtum*, 1998, S. 116 ff.; *Schroth, Ulrich*, in: *Arthur Kaufmann-Festschrift* 1993, S. 595, 597 ff.; *Schünemann, Bernd/Greco Luís*, *Goldammer's Archiv für Strafrecht* 2006, 777, 790 f.; v. *Weber, Hellmuth*, *Neue Juristische Wochenschrift* 1953, 2, 6; შდრ. აგრეთვე *Schünemann, Bernd*, *Goldammer's Archiv für Strafrecht* 1985, 341, 349 f.; აგრეთვე შედეგობრივად *Herzberg, Rolf/Scheinfeld, Jörg*, *Juristische Schulung* 2002, 649, 651 f.; ამას გარდა, *Momsen, Carsten/Rackow, Peter*, *Juristische Arbeitsblätter* 2006, 654, 658 მათ მიერ წარმოდგენილი ე.წ. „უმართლობის თეორიის“ საფუძველზე; აგრეთვე *Exner, Thomas*, *Zeitschrift für das Juristische Studium* 2009, 516, 524, პრობლემას ქრის მართლწინააღმდეგობის ეტაპზე, თუმცა ამისთვის მსგავსად, მხოლოდ § 16 გსსკ-ის ანალოგიას იყენებს.

მაგრამ არა მტკივნეულად ხელის მოჭერის წინააღმდეგ თავდაცვის მდგომარეობაში მყოფი ბრუნო (რომელიც „მართლწინააღმდეგო“ ხელყოფას იგერიებს) იმოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ.

ამ ორ განსხვავებულ შეხედულებას, § 16 (ანალოგია) გსსკ-ის ფარგლებში, მაინც აქვს გავლენა ნებართვაში შეცდომის დროს გაუფრთხილებლობის შემდგომ შემონმებაზე. გაბატონებული მოსაზრების თანახმად, როდესაც დამკავებელი ანტონი ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში იმყოფება და, აქედან გამომდინარე, § 16 გსსკ-ის ანალოგიით შესაძლებელია (რამდენადაც მისი შეცდომა გულმოდგინების ვალდებულების დარღვევას ეფუძნება) გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანება (§ 229 გსსკ), ბრუნოს შემთხვევაში გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა განსახილველი არ იქნებოდა, რადგან ის მართლზომიერად, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ანტონის მართლწინააღმდეგო (თუმცა არაბრალეული) ხელყოფისგან იცავდა თავს (და ამგვარად არ იმყოფებოდა შეცდომაში). საპირისპირო მოსაზრების მიხედვით, ვინაიდან § 16 გსსკ-ის ანალოგიის გამოყენების შედეგად, ისინი განზრახვის გამომრიცხველ ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში იმყოფებიან, საფიქრალი იქნებოდა ორივეს გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ შემდეგი: გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მხოლოდ დამკავებელი ანტონი და არა ბრუნო, რომელიც დარტყმით იცავს თავს, ახორციელებს უმართლობას. აქედან გამომდინარე, განსახილველი ხდება მხოლოდ ანტონის გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა. საპირისპირო მოსაზრების მიხედვით, მართალია, არც ერთი არ ახორციელებს განზრახ უმართლობას, თუმცა, ნებართვაში შესაბამისი შეცდომის საფუძველზე, ორივე შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ბრუნოსთან მიმართებით, რომელსაც მართლწინააღმდეგო ხელყოფის წინააღმდეგ, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში შეუძლია თავი დაიცავს, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედების შემონმების ფარგლებში, აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია: თუ ბრუნო აღმოაჩენს, რომ დამკავებელი ანტონი მტკივნეულად ხელის მოჭერისას შეცდომაში იმყოფება, მას აუცილებელი მოგერი-

ების უფლება სრული მოცულობით აღარ ექნება. მას უპრობლემოდ შეუძლია, ანტონს შეცდომის შესახებ აუხსნას, მაგრამ არ შეუძლია ხელის მოჭერა დარტყმით მოიგერიოს. ასეთ შემთხვევაში, ის შეგნებულად გადააცილებს აუცილებელი მოგერიების უფლებას და დაისჯება სხეულის განზრახ (!) დაზიანებისთვის. იმავე შედეგამდე მიდის განსახვავებული მოსაზრებაც: ვინაიდან ანტონი მისი დაკავებისას განზრახ არ მოქმედებს და, შესაბამისად, უმართლობას არ ახორციელებს, ბრუნოსთან მიმართებით, რომელიც ურტყამს, (ნებართვაში) შეცდომა სახეზე არ იქნებოდა, თუ ის ამ გარემოებას (რომ ანტონმა შეცდომა დაუშვა) ამოიცნობდა. საბოლოოდ, შემდეგ გამოსავლამდე მივიღივართ:

მე-2 შემთხვევის ამოხსნა (ბრალის შეზღუდული თეორიის პირველი ვარიანტის მიხედვით, რომელიც ნებართვაში შეცდომისას განზრახვას მხოლოდ ბრალის ეტაპზე გამორიცხავს):

ანტონი აკავებს ბრუნოს, რადგან ფიქრობს, რომ მან საათი მოჰპარა. იგი იმყოფება ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში, რომელიც მხოლოდ მის ბრალს, მაგრამ არა უმართლობას გამორიცხავს (§ 16 გსსკ-ის ანალოგია). მართალია, მისი მსჯავრდება არ შეიძლება მოხდეს სხეულის განზრახ დაზიანებისთვის, თუმცა შესაძლებელია გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა, როდესაც მისი შეცდომა გულმოდგინების ვალდებულების დარღვევას ეფუძნება. ძირს დადგების მეშვეობით, ბრუნო არ ახორციელებს სხეულის გაზრახ დაზიანებას, რადგან ეს აუცილებელი მოგერიებით გამართლებულია. აქედან გამომდინარე, აგრეთვე გამოირიცხება გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა. თუმცა, თუ ის აღმოაჩენს, რომ ანტონი შეცდომაში იმყოფება, უკიდურესობის არარსებობის გამო, მისი აუცილებელი მოგერიების უფლება შეზღუდულია. ამასთან, აუცილებელი მოგერიების უფლება გამოირიცხება, თუ მას უპრობლემოდ შეეძლო, ანტონისთვის შეცდომის შესახებ აეხსნა. ამ შემთხვევაში იგი დაისჯებოდა სხეულის განზრახ დაზიანებისთვის. საბოლოოდ მოქმედებს შემდეგი: თუ ორივე მათგანი უშვებს შეცდომას და ეს არც ერთისთვის არ იყო შეცნობადი, არამართლზომიერად მოქმედებს ანტონი და არა ბრუნო. გულმოდგინების ვალდებულების დარღვევით გამომწვეული შეცდომის სა-

ფუძველზე, შესაძლებელია, ანტონი სხეულის განზრახ დაზიანებისთვის დაისაჯოს (ბრალის სამართლებრივი შედეგით შეზღუდულ თეორიაზე დაყრდნობით, იმავე შედეგამდე მიდის გერმანიის ფედერალური სასამართლო, რომლის ფარგლებშიც, იგი ნებართვაში აკრძალვის მდგომარეობაში მყოფ ამსრულებელზე § 16 გსსკ-ის შესაბამის სამართლებრივ შედეგებს ავრცელებს.

მე-2 შემთხვევის ამოხსნა (ბრალის შეზღუდული თეორიის მე-2 ვარიანტის მიხედვით, რომელიც ნებართვაში შეცდომისას განზრახვას უმართლობის ეტაპზე გამორიცხავს): ანტონი ბრუნოს აკავებს, რადგან ფიქრობს, რომ მან საათი მოჰპარა. ის იმყოფება ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში, რომელიც ჯერ კიდევ, ქმედების უმართლობას გამორიცხავს (§ 16 გსსკ-ის ანალოგია). მართალია, მისი მსჯავრდება არ შეიძლება მოხდეს სხეულის განზრახ დაზიანებისთვის, თუმცა შესაძლებელია გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა, როდესაც მისი შეცდომა გულმოდგინების ვალდებულების დარღვევას ეფუძნება. ძირს დადგების მეშვეობით, ბრუნო იმედროულად ახორციელებს სხეულის დაზიანებას, რომელიც აუცილებელი მოგერიებით ვერ იქნება გამართლებული (რადგან ანტონი მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს). ისიც იმყოფება ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში, რომელიც ჯერ კიდევ, ქმედების უმართლობას გამორიცხავს (§ 16 გსსკ-ის ანალოგია). მსგავსადვე არ შეიძლება, იგი სხეულის განზრახ დაზიანებისთვის დაისაჯოს, მაგრამ შესაძლებელია გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა, როდესაც მისი შეცდომა გულმოდგინების ვალდებულების დარღვევას ეფუძნება. თუ ის აღმოაჩენს, რომ ანტონი შეცდომაში იმყოფება, მან უკვე იცის, რომ ანტონი უმართლობას არ ახორციელებს. ბრუნო აღარ ივარაუდებს, რომ ხელყოფა მართლსაწინააღმდეგოა, ამიტომ ნებართვაში შეცდომა გამოირიცხება. თუმცა, თუ ის ანტონს მაინც დაარტყამს, სახეზე იქნებოდა სხეულის განზრახ დაზიანება. საბოლოოდ მოქმედებს შემდეგი: თუ ორივე მათგანი უშვებს შეცდომას და ეს არც ერთისთვის არ იყო შეცნობადი, ორივესთან მიმართებით, არამართლობითი

ქმედება არ არსებობს. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ორივე მათგანის გაუფრთხილებლობისთვის დასჯადობა.

3. თანამონაწილეობაზე გავლენა

ამას გარდა, განსხვავება, სახეზეა (მთავარი) ამსრულებლის მართლსაწინააღმდეგოდ, მხოლოდ საპატიებელი თუ არაბრალეული ქმედება, გადამწყვეტ როლს ასრულებს ამ დანაშაულში წამქეზებლის ან დამხმარის თანამონაწილეობის საკითხზე.

შემთხვევა 3: გუსტავს დაემუქრა ტონი. შემთხვევითი გამვლელი პაული გუსტავს აწვდის ჯოხს, რათა თავი დაიცვას. იგი იღებს ჯოხს და უგონო მდგომარეობაში მიყვანამდე ურტყამს ტონის.

შემთხვევა 4: აქედან მალევე, პაული წააქეზებს 12 წლის ფრიდას, რომ უგონო მდგომარეობაში მყოფ ტონის ჯოხი დაარტყას, რასაც ფრიდა გააკეთებს.

ორივე შემთხვევაში დასადგენია, უნდა დაისაჯოს თუ არა პაული სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელი სხეულის დაზიანებაში წაქეზების, ან დახმარების გამო, §§ 223, 224 აბზაცი 1, Nr. 2, 26, ან 27 გსსკ. §§ 26, 27 გსსკ-ის მიხედვით, წაქეზების ან დახმარებისთვის აუცილებელია, მართლსაწინააღმდეგოდ (ძირითადი) დანაშაული განზრახ იყოს ჩადენილი. ეს სახეზე არაა მე-3 შემთხვევასთან მიმართებით, რადგან გუსტავი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებაში მოქმედებდა, § 32 გსსკ. როგორც გუსტავი, ისე ფრიდა, არ შეიძლება მის მიერ ჩადენილი სხეულის დაზიანების გამო დაისაჯოს, რადგან § 19 გსსკ-დან გამომდინარე, ფრიდა ბრალუუნაროა. თუმცა, ამ შემთხვევაში სახეზეა ფრიდას მეშვეობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგოდ ქმედება (მცირე ასაკიდან გამომდინარე, ის მხოლოდ ბრალეული არ იყო). ფრიდას მარტოოდენ არაბრალეული ქმედების გათვალისწინებით, შესაძლოა, განხორციელებულ იქნას, როგორც წაქეზება, ისე დახმარება.¹⁷

¹⁷ მიუხედავად ამისა, აქ საკითხავია პაულის შუალაობითი ამსრულებლობა. თუმცა, შუალაობითი ამსრულებლობისა და წამქეზებლობისა გამიჯვნა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება იქნეს განხილული, რაც დადგინდება, წარმოდგენილ შემთხვევაში წამქეზებლობა საერთოდ არის თუ არა

შესაძლო თანამონაწილეობის შეფასება რთულდება, როდესაც მოქმედი ამსრულებელი, როგორც ეს მე-2 შემთხვევაშია, ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში იმყოფება, რაც გარეშე პირის მიერ იყო გამოწვეული. საილუსტრაციოდ, მე-2 შემთხვევა შემდეგნაირად მოდიფიცირდება:

შემთხვევა 5: ანტონი აკავებს ბრუნოს მტკიცენულად ხელის მოჭრით, რადგან მისი მეგობარი პაული ატყობინებს, რომ ბრუნომ მას საათი მოჰპარა (რაც სინამდვილეს არ შეესაბამება).

ამ შემთხვევაში ანტონი ახორციელებს სხეულის დაზიანების შემადგენლობას, § 223 გსსკ, თუმცა, როგორც ზემოთ დავინახეთ,¹⁸ ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში იმყოფება. გაბატონებული მისაზრების მიხედვით, მასთან მიმართებით, მხოლოდ ბრალი გამოირიცხება,¹⁹ ხოლო საპირისპირო მოსაზრების ფარგლებში, ჯერ კიდევ, განზრახ ჩადენილი უმართლობაა უარყოფილი.²⁰ ეს გავლენას ახდენს თანამონაწილეობაზე. თუ პაული ანტონს ქეშმარიტი ფაქტების ცოდნით ნააქეზებს დანაშაულის ჩადენაში, გაბატონებული მოსაზრების თანახმად, იგი დასჯად ნაქეზებას ჩადის, რადგან, ანტონთან მიმართებით, სახეზეა მართლსაწინააღმდეგო ქმედება (რომელიც მხოლოდ საპატიებელია). ისევ და ისევ გაბატონებული მოსაზრების მიხედვით,²¹ §§ 26, 27 გსსკ-ის მოთხოვნა „განზრახ“ მართლსაწინააღმდეგო ქმედების თაობაზე, მხოლოდ ქმედების შემადგენლობის განზრახვას მიემართება და არა განზრახვას, მართლსაწინააღმდეგობის კუთხით, ბრალის ეტაპზე. ვინაიდან სხვა პირის შეცდომაში

კონსტრუქციულად შესაძლებელი (რაც აქ წარმოდგენილი მოსაზრების მიხედვით, გონივრულია, ვივარაუდოთ).

¹⁸ შდრ. ზემოთ III 1.

¹⁹ შდრ. ზემოთ სქოლიო 14.

²⁰ შდრ. ზემოთ სქოლიო 15.

²¹ მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ განზრახვის გამოირიცხველი ბრალის თეორიის ფარგლებში, ასევე არსებობს შეხედულებები, რომელიც, მართალია, ნებართვაში შეცდომის არსებობისას განზრახვას უმართლობის ეტაპზე გამოირიცხავს, თუმცა დასაშვებად მიიჩნევა ამ დანაშაულში თანამონაწილეობას, რადგან §§ 26, 27 გსსკ-ში განზრახვა § 16 გსსკ-სგან განსხვავებულად განიმარტება; შდრ. მხოლოდ *Roxin, Claus*, in: *Leipziger Kommentar zum StGB*, 11. Aufl., 1992 ff., Vor § 26 Rn. 27; *Vogel, Joachim*, in: *Leipziger Kommentar zum StGB*, 12. Aufl., 2006 ff., § 16 Rn. 126.

შეყვანის (= შეცდომაზე ბატონობა) შემთხვევებში შუალობით ამსრულებლობაზეც საფიქრალია,²² ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ნამქეზებლობა და შუალობითი ამსრულებლობა. საპირისპირო მოსაზრება, რომელიც უმართლობის ეტაპზე ჯერ კიდევ, განზრახვას გამოირიცხავს, არ შეიძლება, ნამქეზებლობას დაეთანხმოს. ვინაიდან ნებართვაში აკრძალვის მდგომარეობაში მყოფი ამსრულებლის მიერ „განზრახ ჩადენილი ქმედება“, წარმოდგენილი არ არის, აქედან გამომდინარე, ამ შემთხვევაში არც ნაქეზება და არც დახმარება შესაძლებელი არ არის. მხოლოდ რჩება შუალობითი ამსრულებლობის შესაძლებლობა. რადგან ეს, მაგალითად, საკუთარი ხელით ჩადენილი ან სპეციალური დელიქტების შემთხვევაში შესაძლებელი არ არის, უკან მდგომი ადამიანის დასჯადობა გამოირიცხებოდა, რაც რთულად მისაღებია. გარდა სისტემური განხილვისა, უკვე აღნიშნულიც მიუთითებს გაბატონებული მოსაზრების სასარგებლოდ, რომელიც ნებართვაში შეცდომისას მხოლოდ ბრალს გამოირიცხავს. ამგვარი კონსტელაციებისთვის ნათელი მაგალითია შემდეგი შემთხვევა:

შემთხვევა 6: დედა, მართა ხედავს, რომ მისი ქალიშვილი ანა მავთულის ლობეში ჩაიხლართა და როდესაც მისგან გათავისუფლებას ცდილობს, მუდმივად ხელახალ დაზიანებებს იღებს. ამის გამო, მართას სურს მისი ქალიშვილის გასათავისუფლებლად მივიდეს. მეზობელ ნორბერტს სურს ეს შეაჩეროს და მართას ატყუებს, თითქოს გულის ინფარქტი მიიღო და ანას გადარჩენის ნაცვლად, ის სასწრაფოდ უნდა წაიყვანოს საავადმყოფოში, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიღუპება. ნორბერტის სიცოცხლის გადასარჩენად, მართა ამას გააკეთებს. ამის მეშვეობით, ანა დამატებით დაზიანებებს მიიღებს.

ის, რომ, მიუხედავად შესაძლებლობისა, მართა მის ქალიშვილს არ დაეხმარა, მან, როგორც დაცვის გარანტი,²³ უმოქმედობით სხეულის დაზიანების

²² შუალობითი ამსრულებლობის წინაპირობებთან დაკავშირებით, დაწვრილებით შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2022, Rn. 1243 ff.

²³ ბუნებრივი კავშირიდან წარმომდგარი გარანტის მოვალეობასთან დაკავშირებით, შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2022, Rn. 930 ff.

შემადგენლობა განახორციელა, §§ 223, 13 გსსკ.²⁴ § 34 გსსკ-ის მიხედვით, მართლწინააღმდეგობა გამოირიცხებოდა, რადგან ნორბერტის საავადმყოფოში წაყვანით, მის სიცოცხლეს გადარჩენდა.²⁵ ამ შემთხვევაში, ნორბერტის სიცოცხლე ანას ფიზიკური ხელშეუხებლობის (მცირე) დაზიანებას არსებითად გადაწონის.²⁶ რადგანაც ნორბერტმა გულის ინფარქტთან დაკავშირებით მოიტყუა, § 34 გსსკ-ის გაგებით, იმნუთიერი საფრთხე არ არსებულა, შესაბამისად, მართას მართლწინააღმდეგობა არ გამოირიცხებოდა. მიუხედავად ამისა, ვინაიდან მართა ტყუილის გამო საფრთხის იმნუთიერობას შეცდომით ვარაუდობდა, თუ საფრთხე ფაქტობრივად იარსებებდა, § 34 გსსკ-დან გამომდინარე, მართლწინააღმდეგობა გამოირიცხებოდა. ამდენად, კვლავ სახეზეა ნებართვაში შეცდომა. როგორც უკვე დავინახეთ, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, აღნიშნული შეცდომა მხოლოდ ბრალს გამოირიცხავს, ხოლო მართას მართლწინააღმდეგობა განზრახი ქმედება კვლავ არსებობს, რომელზეც მას, § 26 გსსკ-ის მიხედვით, ნორმბერტმა ასევე შეიძლება წააქეზოს. საპირისპირო მოსაზრების მიხედვით, როგორც უკვე წარმოდგენილი იყო, ამგვარი ნამქეზებლობა გამოირიცხება. შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ შუალობითი ამსრულებლობის დაშვება, რომელიც ამ შემთხვევაში იმიტომ გამოირიცხებოდა, რომ, ანასთან მიმართებით, გარანტის მოვალეობის არარსებობის გამო, ნორბერტი არ შეიძლება იყოს უმოქმედობის მეშვეობით სხეულის დაზიანების შუალობითი ამსრულებელი.²⁷ ნორბერტი დარჩებოდა

პასუხისმგებლობის მიღმა, რაც ნაკლებად ლოგიკურია (თუ მას თავად შეეძლებოდა ანასთვის დახმარების განევა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მისი, როგორც ამსრულებლის დასჯადობა დაუხმარებლობის გამო, § 323c გსსკ-ის შესაბამისად).

4. იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა

საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სპეციალურ შემთხვევას, § 35 გსსკ, წარმოადგენს იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა, რომელიც მართებული მოსაზრების მიხედვით, § 34 გსსკ-ის შესაბამისად, არა მართლწინააღმდეგობას გამოირიცხავს, არამედ ბრალის ეტაპზე გასათვალისწინებელი.²⁸ იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა

²⁸ ასეა *Hassemer, Winfried*, in: *Lenckner-Festschrift 1998*, S. 97, 105, 115; *Heinrich, Bernd*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2022, Rn. 580; *Jäger, Christian*, *Examens-Repetitorium, Strafrecht Allgemeiner Teil*, 10. Aufl., 2021, Rn. 230; *Jescheck, Hans-Heinrich/Weigend, Thomas*, *Lehrbuch des Strafrechts, Allgemeiner Teil*, 5. Aufl., 1996, § 44 II 3; *Kühl, Kristian*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 8. Aufl., 2017, § 8 Rn. 128 ff.; *Marxen, Klaus*, *Kompaktkurs Strafrecht, Allgemeiner Teil*, 2003, Fall 9a; *Engländer, Armin*, in: *Matt, Holger/Renzikowski, Joachim, StGB*, 2. Aufl., 2020, § 34 Rn. 41; *Meyer, Frank*, *Goldammer's Archiv für Strafrecht 2004*, 356, 367; *Perron, Walter*, in: *Schönke, Adolf/Schröder, Horst, StGB*, 30. Aufl., 2019, § 34 Rn. 41b; *Wessels, Johannes/Beulke, Werner/Satzger, Helmut*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 53. Aufl., 2023, Rn. 699; ამას გარდა, სასამართლო პრაქტიკიდანაც (თუმცა ძველ სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით) *RGSt 64*, 30, 31; *RGSt 66*, 98; *RGSt 66*, 397; *BGHSt 5*, 371; განსხვავებულად (ამ შემთხვევაში § 34 გსსკ-ის გამოყენება მისაღებია) *Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eisele, Jörg*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 13. Aufl., 2021, § 15 Rn. 106; *Brand, Christian/Lenk, Maximilian*, *Juristische Schulung 2013*, 883, 884 f.; *Freund, Georg/Rostalski, Frauke*, *Strafrecht Allgemeiner Teil, Personale Straftatlehre*, 3. Aufl., 2019, § 4 Rn. 54 f.; *Frister, Helmut*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 10. Aufl., 2023, Kap. 17 Rn. 18 ff.; *Jakobs, Günter*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 2. Aufl., 1991, 13/14; *Joecks, Wolfgang/Jäger, Christian*, *Studienkommentar StGB*, 13. Aufl., 2021, § 34 Rn. 48; *Kindhäuser, Urs/Zimmermann, Till*, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 11. Aufl., 2024, § 17 Rn. 36; *Krey, Volker/Esner, Robert*, *Deutsches Strafrecht, Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2022, Rn. 613 f.; *Kudlich, Hans*, *Juristische Arbeitsblätter 2009*, 185, 187; *Hirsch, Hans-Joachim*, in: *Leipziger Kommentar zum StGB*, 11. Aufl., 1992 ff., § 34 Rn. 69a; *Zieschang, Frank*, in: *Leipziger Kommentar zum StGB*, 12. Aufl., 2006 ff., § 34 Rn. 69a; *Erb, Volker*, in: *Münchener Kommentar zum StGB*, 4. Aufl., 2020, § 34 Rn. 194; *Neumann, Volker*,

²⁴ უმოქმედობის დასჯადობასთან დაკავშირებით, ზოგადად *Heinrich, Bernd*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2022, Rn. 852 ff.

²⁵ § 34 გსსკ-ის წინაპირობებთან დაკავშირებით, დანვრილებით *Heinrich, Bernd*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2022, Rn. 401 ff.

²⁶ § 34 გსსკ-ის ფარგლებში, სიკეთეებისა და ინტერესების აუცილებელ აწონ-დაწონვასთან დაკავშირებით, შდრ. *Heinrich, Bernd*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2022, Rn. 422 ff.

²⁷ ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ სპეციალურ დელიქტებთან მიმართებით, რომელშიც არანამდვილი უმოქმედობის დელიქტებიც შედის, შუალობითი ამსრულებლობა შესაძლებელი არ არის; ამასთან დაკავშირებით, შდრ. *Heinrich, Bernd*, *Strafrecht Allgemeiner Teil*, 7. Aufl., 2022, Rn. 1196.

გულისხმობს ვითარებას, რომელშიც ამსრულე-ბელი სხვა პირის ძალადობით ან მუქარით გამოხატული ჯამრთელობის, სიცოცხლის ან თავისუფლებისთვის იმნუთიერი, გარდაუვალი საფრთხის გამო, იძულებულია, ჩაიდინოს მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ამდენად, ამსრულეული თავად იძულების მსხვერპლია, § 240 გსსკ).

შემთხვევა 7: ანტონი გაიტაცებს ბერტას და მის მამას, ბრუნოს, მოსტხოვს, ცეცხლი წაუკიდოს მისი მეზობელი ნორბერტის მანქანას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბერტას მოკლავდა. ბრუნო ამას მისი ქალიშვილის სიცოცხლის გადასარჩენად გააკეთებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბერტას სიცოცხლე ნორბერტის საკუთრებას მნიშვნელოვნად გადაწონის, ბრუნოს ქმედებასთან მიმართებით, სახეზე არ არის უკიდურესი აუცილებლობა, § 34 გსსკ, რომელიც მართლწინააღმდეგობას გამორიცხავს, რადგან იძულებით უკიდურეს აუცილებლობაში მოქმედი პირი (თუნდაც იძულებული იყოს) უმართლობის მხარეს იკავებს (რამდენადაც აკლია „პროპორციულობა“, § 34 აბზაცი 1, წინადადება 2 გსსკ²⁹). აღნიშნული იმავდროულად არ გამომდინარეობს შემდეგი მსჯელობიდანაც: ამ შემთხვევაში, თუ § 34 გსსკ-ს გამოვიყენებდით, მაშინ ანტონს მართლწინააღმდეგობა გამორიცხებოდა, ხოლო, თავის მხრივ, ნორბერტს არ შეეძლებოდა, აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, § 32 გსსკ, მისი ავტომობილი ცეცხლის წაკიდებისგან დაეცვა, რადგან, როგორც დავინახეთ, აუცილებელი მოგერიების, § 32 გსსკ-ის წინაპირობაა იმნუთიერი მართლწინააღმდეგო ხელყოფა. ამგვარი „მართლწინააღმდეგო“ ხელყოფა სახეზე არაა, როდესაც ხელყოფის მართლწინააღმდეგობა გამოირიცხება. აღნიშნული შედეგი არჯეროვანია იძულებით უკიდურეს აუცილებლობასთან

Juristische Arbeitsblätter 1988, 329 (334); Neumann, Volker, in: Nomos Kommentar zum StGB, 6. Aufl., 2023, § 34 Rn. 55; Rengier, Rudolf, Strafrecht. Allgemeiner Teil, 15. Aufl., 2023, § 19 Rn. 54, § 26 Rn. 15; Roxin, Claus/Greco, Luis, Strafrecht, Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen: Der Aufbau der Verbrechenslehre, 5. Aufl., 2020, § 16 Rn. 68; Stratenwerth, Günter/Kuhlen, Lothar, Strafrecht, Allgemeiner Teil, 6. Aufl., 2011, § 9 Rn. 105; Zieschang, Frank, Juristische Arbeitsblätter 2007, 679, 683.

²⁹ ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით, შდრ. Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 427 f.

მიმართებით, რადგან გამოიწვევდა, რომ მსხვერპლს (ამ შემთხვევაში მანქანის მესაკუთრეს) მისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანებისგან დაცვა არ შეეძლებოდა.³⁰ ამდენად, ეს რჩება იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში, ხელყოფის მართლწინააღმდეგობასთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, § 35 გსსკ, ბრუნოსთან მიმართებით, მხოლოდ ბრალის ეტაპზე იმოქმედებს, თუ საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის წინაპირობები იქნება წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ასეც იქნება, რადგან ის იმგვარად მოქმედებდა, რომ საკუთარი ქალიშვილის სიცოცხლე გადაერჩინა, ხოლო საფრთხის სხვაგვარად აცილება არ შეეძლო. ამდენად, ნივთის დაზიანებისთვის ბრუნოს დასჯადობა, § 303 გსსკ, გამოირიცხება. მიუხედავად ამისა, ნორბერტს შეეძლო, უკიდურესობით გამოწვეული აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, მისი ავტომობილი ცეცხლის წაკიდებისგან დაეცვა.

5. (ოდნავ შეცვლილი) კარნეადესის ფიცარი

უმართლობისა და ბრალის პრობლემემატიკის გამიჯვნისა და განმარტებისთვის ხშირად ხდება ჩაძირული გემის ორი მგზავრის შემთხვევის მოხმობა, რომელთაგან ორივე ზღვაში მიცურავს და მხოლოდ სხვისი სიცოცხლის ხარჯზე შეუძლია გადარჩენა, ვინაიდან მხოლოდ ერთი მაშველი ფიცარია ხელმისაწვდომი.³¹ ქვემოთ ეს შემთხვევა ოდნავ შეიცვლება, რათა მასთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო ცხადად წარმოჩნდეს.

³⁰ თუმცა, საყურადღებოა, რომ აქ მსხვერპლის აუცილებელი მოგერიების უფლება უკიდურესობის ნიშნითაა შემოსაზღვრული, რადგან აუცილებელი მოგერიება არაბრალეულად მოქმედი პირის წინააღმდეგაა მიმართული; ამასთან დაკავშირებით, შდრ. Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 383.

³¹ ამ შემთხვევას საფუძვლად უდევს „კარნეადესის ფიცარის“ კლასიკური შემთხვევა; ამასთან დაკავშირებით, შდრ. Baumann, Jürgen/Weber, Ulrich/Mitsch, Wolfgang/Eisele, Jörg, Strafrecht Allgemeiner Teil, 13. Aufl., 2021, § 18 Rn. 9 ff.; Hruschka, Joachim, Goldammer's Archiv für Strafrecht 1991, 1; აგრეთვე, შდრ. შემთხვევას Mitsch, Wolfgang, in: Weber-Festschrift 2004, S. 49; Otto, Harro, Juristische Ausbildung 2005, 470, 475 f.; Köhler, Michael, Strafrecht, Allgemeiner Teil, 1997, S. 331; Koriath, Heinz, Juristische Arbeitsblätter 1998, 250; Kühl, Kristian, Strafrecht, Allgemeiner Teil, 8. Aufl., 2017, § 8 Rn. 2 ff.; Maultzsch, Felix, Juristische Arbeitsblätter 1999, 429.

შემთხვევა 8: ჩაძირული გემის ორი მგზავრი, ძლიერი ანტონი და შედარებით სუსტი ბრუნო, გემის ჩაძირვის შემდეგ, მცურავ ხის ფიცარს ერთად ეჭიდებიან. საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ანტონი ბრუნოს ხელიდან ართმევს ფიცარს და მას მარტო, ძლიერად ეჭიდება. ამის შემდეგ, ბრუნო ამოიღებს დანას და ანტონს დაარტყამს, რათა ის თავად (და მარტო) ისევ ჩაეჭიდოს ფიცარს და ამის მეშვეობით, შეუძლია, უსაფრთხო ნაპირს მიაღწიოს. ორივე მართებულად ვარაუდობს, რომ ფიცარს მხოლოდ ერთი მათგანის ტარება შეუძლია და, შესაბამისად, ფიცრის „დაპატრონება“ ერთადერთი შესაძლებლობაა, თავად რომ გადარჩენს.

ანტონმა, ბრუნოსთვის ფიცრის წართმევის შედეგად, განზრახ მკვლელობის მცდელობის შემადგენლობა, §§ 212, 22 გსსკ, განხორციელა, რადგან მან ბრუნოს გადარჩენისთვის მიზეზობრივი კავშირი (ხის ფიცრისთვის მიყოლა) განწყვიტა. თუნდაც ის, რომ მას არ სურდა ბრუნოს სიკვდილი, „მყარი ცოდნის გამო“, ამ შემთხვევაში მაინც განზრახ მოქმედებს.³² მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სპეციალური გარემოება მოცემული არ არის. მხოლოდ ფიცარზე (ერთდროული) მყარად ჩაჭიდება არ წარმოადგენს ბრუნოს მიერ ანტონის სიცოცხლეზე თავდასხმას (§ 32 გსსკ). აგრეთვე, უნდა დადგინდეს, რომ ანტონის მიერ, ბრუნოს მკვლელობასთან მიმართებით, დაცვის ღირსი ინტერესი არ არსებობს. ერთი ადამიანის სიცოცხლე ისეთივე ღირებულია, როგორც სხვა ადამიანის სიცოცხლე, არ შეიძლება წარმართოს განხილვა, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლე სხვა ადამიანის სიცოცხლეს ოდესმე გადაწონის.³³ აქედან გამომდინარე, ანტონის ქმედება მართლწინააღმდეგო იყო. განსაკუთრებული ვითარებით გამო, მისი ქმედება შეიძლება დანახულ იქნას მხოლოდ საპატიებლად, რადგან მისი სიცოცხლე მხოლოდ იმგვარად შეიძლება გადარჩენილიყო, რომ ბრუნოს სიცოცხლე ხელეყო (§ 35 გსსკ).

თუ ბრუნო დანას ამოიღებდა და ანტონს მოკლავდა, განზრახ მკვლელობის შემადგენლობას,

§ 212 გსსკ, განახორციელებდა. ანტონისგან განსხვავებით, მისი ქმედება აუცილებელი მოგერიებით, § 32 გსსკ, იქნებოდა გამართლებული. რადგან ანტონმა ის ფიცრიდან ჩამოაგდო, როგორც დავინახეთ, ამით დაიწყო განზრახ მკვლელობის მცდელობის შემადგენლობის, §§ 212, 22 გსსკ, მართლწინააღმდეგოდ განხორციელება, რომელიც § 35 გსსკ-ის მიხედვით, მხოლოდ საპატიებელია. ამდენად, სახეზეა ანტონის მიერ ბრუნოს სიცოცხლეზე მართლწინააღმდეგოდ თავდასხმა, რომლის მიმართაც, ბრუნოს (თუნდაც თავდამსხმელის მკვლელობით) შეეძლო თავი დაეცვა. ერთი შეხედვით, ეს შედეგი გასაკვირია, რადგან დაინტერესებულ პირს აუცილებელი მოგერიების შესაძლებლობას მხოლოდ მას შემდეგ სთავაზობს, როდესაც შესაბამის შემთხვევაში ფიცარს წართმევენ. აქედან წარმომდგარი შედეგი ასევე პრობლემურია შესაძლო „დამკვირვებლისთვის“: თუ ამ მოვლენას სხვა ხის ფიცარზე მყოფი ჩაძირული გემის სხვა მგზავრი შეესწრება, მას, მართალია, (მაგალითად, გამიზნული სროლით) შეუძლია, ანტონი შეაჩეროს, რომ ბრუნოს ფიცარი არ წართმევას (რადგან, როგორც დავინახეთ, ფიცრის წართმევა ბრუნოს სიცოცხლეზე მართლწინააღმდეგოდ თავდასხმაა, რომლის მიმართაც, აუცილებელი დახმარება, § 32 გსსკ, დასაშვებია), მაგრამ მას არ შეუძლია ჩერიოს, თუ ბრუნო ანტონის მოსაკლავად დანას ამოიღებს (რადგან, როგორც დავინახეთ, ეს დასაშვები თავდაცვაა და მართლწინააღმდეგოდ ქმედებას არ წარმოადგენს).

6. სხვა შედეგები

გარდა დასახელებული პრობლემური შემთხვევებისა, პრაქტიკაში კიდევ სხვა მნიშვნელობა ენიჭება საკითხს, ქმედება გამართლებულია, თუ მხოლოდ საპატიებელი. მაგალითად, შეიძლება არაბრალეული (მაგრამ მართლწინააღმდეგოდ მოქმედი) ამსრულებელი მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის არ დაისაჯოს, თუმცა მას შეეფარდოს უსაფრთხოებისა და გამასწორებელი ღონისძიებები (შდრ. § 61 გსსკ), მაგალითად როგორიცაა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება, § 63 გსსკ, ან, როგორც ნარკომომხმარებელს ან ალკოჰოლდამოკიდებულს, სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსება შეეფარდოს, § 64 გსსკ. აგრეთვე, §§ 66 გსსკ-ის

³² განზრახვის შესაძლო ფორმებთან დაკავშირებით, დაწერილებით შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 275 ff.*

³³ ამასთან და ლიტერატურაში განხილულ გამოწვევებს განხილვით შდრ. *Heinrich, Bernd, Strafrecht Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 425.*

და შემდეგი პარაგრაფების მიხედვით, პრევენციული პატიმრობა მაშინ შეიძლება იქნეს გამოყენებული, როდესაც ეს ეხება მხოლოდ არაბრალეულ, მაგრამ არა ისეთს ამსრულებელს, რომელსაც მართლმართლმდგომობა გამოერიცხა. სხვა ღონისძიებებს, რომლებიც არაბრალეული ამსრულებლის წინააღმდეგ შეიძლება იქნას შეფარდებული, შეიცავს დამატებითი სისხლის სამართალი, მაგალითად, შდრ. § 41 ფედერალური ნადირობის კანონი და § 20 ცხოველთა დაცვის კანონი.

IV. დასკვნა

როგორც დავინახეთ, საკითხი, (ჯერ) უმართლობა გამოირიცხება თუ ბრალი, ჩვენი სამართლებრივი ნესრიგის არაერთ ადგილას გადამწყვეტ როლს ასრულებს. განსაკუთრებით თვალნათელ მაგალითს წარმოადგენს ნებართვაში შეცდომის მდგომარეობაში მყოფი ამსრულებლის მიმართ აუცილებელი მოგერიება და ნაქეზების ან დახმარების გზით, სხვა პირის შესაძლო თანამონაწილეობის საკითხი. იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში, აგრეთვე არსებით მნიშვნელობას იძენს საკითხი, (ჯერ) უმართლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ბრალი. მიუხედავად იმისა, შესაბამის პირს ჯერ უმართლობა გამოერიცხება, თუ ბრალი, თანამონაწილის დასჯადობის კუთხით, როგორც წესი, იმავე შედეგამდე მიდის, თუმცა მომიჯნავე სფეროებსა და სპეციალურ შემთხვევებში შედეგი შეიძლება სრულიად განსხვავებული აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, უმართლობისა და ბრალის გამიჯვნა არ წარმოადგენს მხოლოდ წმინდა თეორიულ-აბსტრაქტულ მსჯელობას (*Glasperlenspiel*), არამედ ჩვეულებრივ შეიძლება ჰქონდეს პრაქტიკული შედეგები. იუბილარისთვის, რომელიც, არა მხოლოდ, როგორც უნივერსიტეტის პროფესორი განსაკუთრებით აფასებს დოგმატიკას, არამედ, როგორც მოსამართლემ, მისი საქმიანობის ფარგლებში, დოგმატური კლასიფიკაციების პრაქტიკულ შედეგები შეიმეცნა და კვლავ შეიმეცნებს, წარმოდგენილი მსჯელობები, აქედან გამომდინარე, გარკვეულად საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს.

ნარკოდანაშაულის ზომიერითი სამართლებრივი პრობლემა სასამართლო პრაქტიკაში

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. *ლავრენტი მალაქელიძე*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

I. შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია ნარკოტიკული დანაშაულისათვის. კანონის აღნიშნული თავი კი, თავის მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის¹ მე-9 კარის შემადგენელი ნაწილია, რომელშიც გაერთიანებულია ის დანაშაულები, რომლებიც მიმართულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ.

კანონის ამ თავში პერიოდულად ცვლილებები ხორციელდებოდა, რომლებიც, როგორც წესი, უკავშირდებოდა ცალკეულ ნორმათა სანქციას, მისი გამკაცრების, თუ შემსუბუქების კუთხით. ნიშანდობლივია, რომ ძირითად დანაშაულთა შემადგენლობის აღწერილობით/დესკრიფციულ და ნორმატიულ ნიშნებს ამგვარი ცვლილება არ შეხებია.² მოცემულ შემთხვევაში კი საუბარია ისეთ კლასიკური ტიპის ნარკოდანაშაულზე, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო შექმნა, შენახვა ან გასაღება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით.

წინამდებარე სტატიაში კვლევის მიზანს წარმოადგენს ზემოთ მითითებული ქმედებების – უკანონო შექმნის, შენახვის ან გასაღების – განხორციელება თანამონაწილეობით. უფრო კონკრეტულად, წინამდებარე სტატია პროფესორ *მერაბ ტურავას* მიერ თავის ნაშრომებში ჩამოყალიბებულ და განვითარებულ ისეთ სისხლისსამართლებრივ პრობლემას უკავშირდება როგორცაა დანაშაულში თანამონაწილეობა. სახელდობრ, რამდენადაა შესაძლე-

ბელი თანამონაწილეთა მეშვეობით ნარკოტიკული საშუალებების შექმნის, შენახვის ან გასაღების ჩადენა, მაშინ როცა, ადგილი აქვს პოლიციის ე.წ. ფარული აგენტის დახმარებით გამოვლენილ ასეთი სახის დანაშაულს. ნაშრომში მიმოხილული იქნება ასევე ე.წ. ფარული აგენტის როლი ამგვარი ქმედების განხორციელების დროს და დადგინდება ის განმასხვავებელი ნიშნები, რითაც ეს უკანასკნელი შეიძლება გაიმიჯნოს დანაშაულში თანამონაწილეთაგან. წინამდებარე სტატიაში, პროფესორ მერაბ ტურავასა და ზოგიერთი სხვა მეცნიერის ნაშრომებში გამოთქმული შეხედულებებისა და მოსაზრებების, ასევე საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, დეტალურად განხილული იქნება ზემოთ დასმული სამართლებრივი პრობლემა და გაკეთდება შესაბამისი დასკვნა.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პროფესორ მერაბ ტურავას ხანგრძლივი სამოსამართლო თუ სამეცნიერო საქმიანობისა, რომელიც უდიდეს ძალისხმევასა და დროს მოითხოვს, იგი კვლავ აქტიურად აგრძელებს მუშაობას მომავალი ქართველი იურისტების აღზრდისა და მათი უკეთესი მომავლის გზამკვლევის კუთხით. ამ იმედით კი მსურს მის მიმართ ამ ყველაფრისთვის დიდი მადლიერება გამოვხატო და ღრმა პატივისცემით მივუძღვნა წარმოდგენილი ნაშრომი.

II. ნარკოდანაშაულის ჩადენა თანამონაწილეობით და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა

1. პრობლემის მოკლე ანალიზი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, დანაშაულში თანამონაწილეობა

¹ შემდგომში შემოკლებული, როგორც სსკ.

² თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ საგამონაკლისო შემთხვევას, ასე, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი ნორმა 2731 მუხლის სახით.

ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში. იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ თანამონაწილეობას ფართო და ვიწრო გაგებით.³ თანამონაწილეობა ფართო გაგებით ნიშნავს დანაშაულში თანამონაწილეობას როლების დაუნაწილებლად. ამ განსაზღვრების მიხედვით, თანამონაწილეობაც თანამონაწილეობაა.⁴ თანამონაწილეობა ვიწრო გაგებით კი გულისხმობს დანაშაულის მონაწილეთა შორის როლების დანაწილებას (ორგანიზატორი, წამქეზებელი, დამხმარე).⁵ საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა აღიარებს თანამონაწილეობას ვიწრო გაგებით.⁶ ამაზე მიუთითებს სსკ-ის 24-ე მუხლიც, რომლის თანახმად: (ა) ორგანიზატორია ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას; (ბ) წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად; (გ) დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას.

თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველია თანამონაწილეთა მიერ ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელება.⁷ თავის მხრივ, სისხლისსამართლებრივი უმართლობა ნიშნავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ

ჩადენას.⁸ აღნიშნულზე არაპირდაპირ მიუთითებს სსკ-ის 25-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესაბამისად, ამსრულებლისა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.

თანამონაწილეობა თავისი ბუნებიდან გამომდინარე, აქცესორული ხასიათისაა.⁹ ეს ნიშნავს იმას, რომ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია სწორედ ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე, მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე. ასე, მაგალითად, თუ ამსრულებლის ქმედება მომზადების ან მცდელობის ეტაპზე შეჩერდა, თანამონაწილეს პასუხს აგებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის მონაწილეობისათვის, ხოლო თუ ამსრულებელმა დაასრულა დანაშაული, თანამონაწილეს დამთავრებულ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის დაისჯება.¹⁰

ნარკოდანაშაულში თანამონაწილეობის დასაბუთება, ერთი შეხედვით, პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ისევე როგორც, ნებისმიერ სხვა განზრახ დანაშაულში, ამ შემთხვევაშიც თანამონაწილეობით ამგვარი ქმედების ჩადენა შესაძლებელია. უფრო კონკრეტულად, ნარკოტიკული საშუალების შექმნა/შენახვაში, ისევე როგორც გასაღებაში დახმარება, წაქეზება ან ორგანიზება დასაბუთდება, თუკი, რა თქმა უნდა, შესაბამისი მტკიცებულებები იარსებებს სისხლის სამართლის საქმეში.¹¹ თუმცა, საერთო სასამართლოების ბოლოდროინდელმა პრაქტიკამ გარკვეული პრობლემები წარმოაჩინა ამ კუთხით. ამ მხრივ კი, საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი.

³ შდრ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 324; *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2008, გვ. 191-192; *მჭედლიშვილი-ჰედრისი, ქეთევან*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 138-140.

⁴ იხ. *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2008, გვ. 192.

⁵ *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2008, გვ. 192; ასევე შდრ. *თოდუა, ნონა*, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის კომენტარი, 2021, გვ. 372-376.

⁶ ზოგიერთი ავტორი მას მოიხსენიებს თანამონაწილეობის ე.წ. დუალისტურ სისტემად, რა დროსაც როლები დანაწილებულია პირებს შორის. ამის შესახებ იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 324.

⁷ იხ. *Okhanashvili, Anri*, Die Strafbarkeit des Organisations-täters und des Organisators in Deutschland und Georgien, 2021, გვ. 311-314.

⁸ შდრ. უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება #537აპ-22.

⁹ შდრ. უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება #98კოლ.

¹⁰ შდრ. *თოდუა, ნონა*, გურამ ნაჭყებია 75, საიუბილეო კრებული, 2016, გვ. 23-38.

¹¹ შდრ. *თოდუა, ნონა*, ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი II, მე-6 გამოცემა, 2020, გვ. 36-37.

2. პრობლემის განხილვა ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდებოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნას, შენახვასა და გასაღებას (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით), შეცვალა კვალიფიკაციის ნაწილში. კერძოდ, მსჯავრდებულის (ამსრულებლის) ქმედება შეაფასა, როგორც ნარკოტიკული საშუალების შექმნაში დახმარებად, ხოლო გასაღების ნაწილში იგი გაამართლა.¹² შესაბამისად, მსჯავრდებული სასამართლომ დამნაშავედ ცნო მხოლოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე და 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.¹³ საქმის ფაქტობრივი გარემოება კი მდგომარეობდა შემდეგში:

ბრალდების დადგენილებით, 2020 წლის 14 აგვისტოს, დღის საათებში, მარნეულში, ომარ ხაიამის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავთომ,¹⁴ 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის სანაცვლოდ შალვაზე უკანონოდ გაასალა მის მიერ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შექმნილი და შენახული განსაკუთრებით დიდი ოდენობით 2,0022 გრამი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება იმავე დღეს ამოღებული იქნა შსს-ის ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შალვასთან ჩატარებული ამოღების შედეგად.

¹² იყო თუ არა ამ შემთხვევაში გასაღების ფაქტი ჩადენილი პირის მიერ, ცალკე მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს.

¹³ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე № 1ბ/1079-21. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო სააპელაციო სასამართლომ სხვა სისხლის სამართლის საქმეზეც, ამის შესახებ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე №1ბ/1080-21, ასევე, შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე №1ბ/1843-23.

¹⁴ მაგალითში მოყვანილი სახელები გამოგონილია.

ნიშანდობლივია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში, პასუხისგებაში მიცემული იქნა მხოლოდ ავთომ, ხოლო შალვა, როგორც პოლიციის ე.წ. ფარული აგენტი, გათავისუფლებული იქნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბრალდებულ ავთოს ქმედება შეაფასა, როგორც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა და გასაღება.¹⁵ თუმცა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებული იყო არა გამსაღებელი, არამედ იგი რეალურად ეხმარებოდა ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექმნაში პოლიციის ე.წ. ფარულ აგენტს შალვას,¹⁶ რის გამოც, ამსრულებლის (ავთოს) ქმედება შეაფასა დახმარებად, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-ე და 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მაშინ როდესაც, მოცემულ საქმეში დანაშაულის ჩამდენი უშუალო ამსრულებელი საერთოდ არ ფიგურირებდა.

სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა: „...დადგენილია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ ა-მ შ-ს, მისივე თხოვნით ხელი შეუწყო ნარკოტიკული საშუალების შექმნაში, კერძოდ, შ-ს თხოვნით ერთად წავიდნენ მარნეულში ნარკოტიკის საყიდლად და მასაც დაეხმარა შექმნაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის მესამე ნაწილით, დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მესამე ნაწილით, დამხმარის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, ამ მუხლზე მითითებით“.¹⁷

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს ეს მსჯელობა გაიზიარა და, შესაბამისად, ქვედა ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უცვლელი

¹⁵ იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილება იმავე სისხლის სამართლის საქმეზე (№1/4428-20).

¹⁶ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე № 1ბ/1079-21.

¹⁷ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე № 1ბ/1079-21.

დატოვა.¹⁸ საკასაციო პალატის მიერ მიღებულ განჩინებაში მითითებულია: „საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებას, რომ ა-ს არ ჩაუდენია ნარკოტიკული საშუალების გასაღება, ვინაიდან მას არ გააჩნდა რაიმე ინტერესი, რომ დახმარებოდა ნარკოტიკული საშუალების გამყიდველს ნარკოტიკების გასაღებაში და არც კი იცნობდა მას, მაგრამ ამავე დროს დადგენილია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ა-მ შ-ს მისივე თხოვნით, ხელი შეუწყო ნარკოტიკული საშუალების შექენაში, რაც გამოიხატა იმაში, რომ ისინი, შ-ს თხოვნით, ერთად ნავიდნენ ნარკოტიკული საშუალებების შესაძენად, რა დროსაც მასაც დაეხმარა შექენაში“.¹⁹

სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზიდან გამომდინარე, როდესაც საუბარია შექენაში დახმარებაზე, უშუალო ამსრულებლისგან განსხვავებით, დამხმარე, ისე როგორც სხვა თანამონაწილე, ქმედებაზე არ ბატონობს.²⁰ შესაბამისად, ამ ლოგიკით არც შექენაში დახმარება გამოდის, რადგან ამ გადაწყვეტილებაში ნათლად ჩანს, რომ შალვამ ავთომ „ნააქეზა“ ნარკოტიკის შესაძენად, რომელმაც ნარკოტიკი უშუალოდ შეიძინა. ჰიპოთეტურად, დახმარება ავთოს მხრიდან მხოლოდ მაშინ იქნებოდა, როდესაც შალვა უშუალოდ ე.წ. ძირითადი გამსაღებლისგან შეიძენდა ნარკოტიკს ანუ იბატონებდა ქმედებაზე, ხოლო ავთო ხელს შეუწყობდა შექენას, ე.ი. უშუალოდ კი არ განახორციელებდა ნარკოტიკის გამორთმევას და ფულის გადაცემას, არამედ დახმარებას გაუწევდა ისეთი ქმედებით, რაც ფულის უშუალოდ გადაცემაში და გამორთმევაში არ გამოიხატებოდა.

მეორე, ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ როდესაც პირმა ფულის გადაცემით ნარკოტიკი შეიძინა, მან უკვე ნარკოტიკის შექენა დაასრულა. შესაბამისად, გაუგებარია, როგორ შეიძლება დამხმარის ქმედებაზე იყოს დამოკიდებული დანაშაულის

დასრულება. როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნება გულისხმობს იმას, რომ ამსრულებლის ქმედებაზე დამოკიდებული თანამონაწილის პასუხისმგებლობა, და არა პირიქით.

მესამე, ნარკოტიკული საშუალების შექენა-გასაღებისას, სადაც ერთი მხარე შემძენია, ხოლო მეორე მხარე გამსაღებელი, ადგილი აქვს ყოველთვის ე.წ. აუცილებელი თანამონაწილეობის ერთ-ერთ სახეს, კონვერგენციულ დელიქტს,²¹ რომლის განსახორციელებლად საჭიროა რამდენიმე ადამიანის ერთობლივი ძალისხმევა (მაგ.: სსკ-ის 338-ე და 339-ე მუხლები, ქრთამის აღება და ქრთამის მიცემა). მოცემულ საქმეში ნარკოტიკული საშუალების გასაღების ინიციატორი (დამყოლიებელი) არის შალვა, რომელიც სსკ-ის 260-ე მუხლით შემძენია, ხოლო ავთო გამსაღებელია.

მეოთხე, სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, ნათლად ჩანს, რომ შალვამ ავთოს სთხოვა ნარკოტიკი და საერთოდ არ ირკვევა, რომ იგი სადმე გააგზავნა ნარკოტიკის შესაძენად. დაშვების დონეზეც ასეც რომ იყოს, შალვა უნდა იყოს ნარკოტიკული საშუალების შექენის ნამქეზებელი.

მეხუთე, როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, შალვა და ავთო შეთანხმდნენ ნარკოტიკის შექენა-გასაღებაზე, რა დროსაც შალვა ავთოსგან ითხოვს ნარკოტიკულ საშუალებას. შალვა როგორც ე.წ. ფარული აგენტი, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ახორციელებს საკონტროლო შესყიდვას, რაც იმას ნიშნავს, რომ მას სურს გამოავლინოს ნარკოტიკის გამსაღებელი. შესაბამისად, მისი ქმედება სწორედ ამ კანონის თანახმად, არ და ვერ ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგო ქმედებად. ამდენად, მოცემულ მაგალითში დასახელებული ე.წ. ფარული აგენტი შალვა არა თუ დანაშაულს საერთოდ არ სჩადის, არამედ სისხლისსამართლებრივ უმართლობასაც კი არ ახორციელებს, რაც მინუმუმ საჭიროა თანამონაწილეობის დასასაბუთებლად (ე.წ. ლიმიტირებული აქცესორულობის თეორია).²²

¹⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 7 მარტის #120აპ-22 გადაწყვეტილება.

¹⁹ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 7 მარტის #120აპ-22 გადაწყვეტილება.

²⁰ ქმედებაზე ბატონობის შესახებ იხ. *Roxin, Claus, Täterschaft und Tatherrschaft*, 2006, გვ. 684. ქართულ ენაზე იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 151-157; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 335-340.

²¹ იხ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 201-202.

²² შდრ. *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან*, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 205-206; *ტურავა, მერაბ*,

ამრიგად, მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში, როგორც ეს ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, საერთო ჯამში ფიგურირებს სამი პირი: (1) პოლიციის ე.წ. ფარული აგენტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებლის მხილება; (2) თავად ამ აგენტის მიერ დასახელებული „გამსაღებელი“; (3) ასევე ე.წ. ძირითადი გამსაღებელი (გამოძიებით დაუდგენელი პირი), რომელიც ნარკოტიკულ საშუალებას აწვდის ე.წ. ფარული აგენტის მიერ დასახელებულ „გამსაღებელს“.

ნარკოდანაშაულის ამგვარი სქემა, ერთი შეხედვით, მარტივი გამოსაძიებელია. თუმცა, სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოვლენილია ამ სქემის მხოლოდ ე.წ. შუა რგოლის მონაწილე პირი – ე.ი. პირი, ვისაც პოლიციის ე.წ. ფარული აგენტი ასახელებს, ხოლო მთავარი, ძირითადი გამსაღებელი, რომელიც რეალურად აწვდის და ასაღებს სხვებზე ნარკოტიკულ საშუალებებს, არათუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაშია მიცემული, არამედ გამოვლენილიც კი არ არის გამოძიების მიერ. ამის მიზეზი შეიძლება ბევრი იყოს, მათ შორის, არასრულყოფილად ჩატარებული გამოძიება ან პირების პოლიციასთან თანამშრომლობაზე უარი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლომ ასეთ შემთხვევაში არასწორი შეფასება მისცეს თითოეული პირის ქმედებას წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. აღნიშნული საკითხი კიდევ ერთხელ ქვემოთ იქნება გაანალიზებული, მანამდე კი უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი გადაწყვეტილება იქნება მიმოხილული, რომელიც უშუალოდ ამ პრობლემას უკავშირდება.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ასახული მსჯელობა,²³ ერთგვარი პრეცედენტი გახდა ასევე სხვა საქმეებზეც. ამ მხრივ, კი საინტერესოა უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 აპრილის განაჩენი, სადაც ანალოგიურ ნარკოდანაშაულებრივ სქემასთან გვაქვს საქმე.

უფრო კონკრეტულად, ამ შემთხვევაშიც, პოლიციის ე.წ. ფარული აგენტი ამხელდა ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელს და ამ მიზნით დაიწყო

თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან. თავის მხრივ, „მხილებულმა“ გამსაღებელმა ნარკოტიკული ნივთიერებები შეიძინა გამოძიებით დაუდგენელი მესამე პირისგან, რის შემდგომაც შეძენილი ნივთიერება გადააწვდა პოლიციის ფარულ აგენტს.

ამ შემთხვევაშიც, უზენაესი სასამართლო კვლავ იზიარებს იმ პოზიციას, რომ პოლიციის ე.წ. ფარული აგენტის მიერ მხილებული „გამსაღებელი“, არის არა რეალურად გამსაღებელი, არამედ წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დამხმარეს ანუ იმ პირის თანამონაწილეს, რომელიც არის პოლიციის ე.წ. ფარული აგენტი და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებული სუბიექტი.²⁴

საკასაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მიხედვით: „საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარის მტკიცებას, რომ: ი-ის მიერ შ-თვის ნარკოტიკული საშუალების გადაცემა ავტომატურად ნიშნავს, რომ მან ნარკოტიკული საშუალება გაასაღა; ნარკოტიკული საშუალების ხელიდან ხელში გადაცემა გამორიცხავს – ნარკოტიკული საშუალების შეძენაში დამხმარებას...“.²⁵

საკასაციო პალატა იქვე მიუთითებს: „საკასაციო სასამართლო, იმავდროულად, ითვალისწინებს, რომ ბრალდების მხარეს არ დაუდგენია თუ ვინ არის ის პირი, ვისთანაც მივიდა ი-ი შ-სთან ერთად ნარკოტიკული საშუალების შესაძენად...“.²⁶ თუმცა, უზენაესი სასამართლოს პოზიციით, „... გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ი-მ შ-ს, მისივე თხოვნით, ხელი შეუწყო და მასაც დაეხმარა ნარკოტიკული საშუალების შეძენაში, კერძოდ, მასთან ერთად წავიდა ფონიჭალაში ნარკოტიკების საყიდლად“.²⁷

²⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 აპრილის #844აპ-22 გადაწყვეტილება.

²⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 აპრილის #844აპ-22 გადაწყვეტილება.

²⁶ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 აპრილის #844აპ-22 გადაწყვეტილება.

²⁷ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 აპრილის #844აპ-22 გადაწყვეტილება. ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც, ამის შესახებ იხ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 2 ნოემბერი #477აპ-23 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 2 ნოემბრის #589აპ-23 გა-

სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 333.

²³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 7 მარტის #120აპ-22 გადაწყვეტილება.

ანალოგიურად ამ გადაწყვეტილებაშიც ბუნდოვანი და გაუგებარია სასამართლოს მსჯელობა იმ ნაწილში, სადაც საკასაციო პალატა მიუთითებს: „... მისივე თხოვნით, ხელი შეუწყო და მასაც დაეხმარა ნარკოტიკული საშუალების შექენაში“.²⁸ გაურკვეველია, რატომ არის ამ შემთხვევაშიც მსჯავრდებულის ქმედება შეფასებული შექენაში დახმარებად. უდავოა, რომ დანაშაულს სჭირდება უშუალო ამსრულებელი, ქმედების ობიექტური შემადგენლობის ცალკეული ნიშნების შემსრულებელი პირი, რაც მოცემულ გადაწყვეტილებაში, ისევე როგორც სხვა ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებებშიც, საერთოდ არ არის ნახსენებიც კი.

3. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ე.წ. ფარული აგენტების შესახებ

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო, ზოგადად, ეთანხმება სისხლის სამართლის საქმეებში ფარული აგენტების გამოყენებას, როგორც ლეგიტიმურ საგამოძიებო საშუალებას მძიმე დანაშაულებთან წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, სასამართლო იმავდროულად მოითხოვს, რომ თვითნებობის წინააღმდეგ სათანადო საპროცესო გარანტიები იყოს გამოყენებული, რადგან პროვოკაციით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას ვერასდროს ვერ ამართლებს საჯარო ინტერესი.²⁹ ევროპული სასამართლოს მიდგომა ამასთან დაკავშირებით არის შემდეგი: „მართლმსაჯულება არ უნდა შეენიროს მიზანშეწონილობას“.³⁰

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია არ ეწინააღმდეგება გამოძიებაში ისეთ წყაროებზე დაყრდნობას, როგორიცაა ანონიმური კონფიდენტები. თუმცა, სხვა საკითხია

საქმის არსებითად განხილვის დროს სასამართლოს მიერ ასეთი წყაროების შემდგომი გამოყენების დასაბუთება პირის მსჯავრდებისათვის და დასაშვებია მხოლოდ თვითნებობის საწინააღმდეგო სათანადო და საკმარისი გარანტიების არსებობისას. კერძოდ, აქ იგულისხმება შესატყვისი საგამოძიებო მოქმედებების სანქციონების, განხორციელებისა და ზედამხედველობის ცხადი და წინასწარგანჭვრეტადი სამართალწარმოება.³¹

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ განსაკუთრებული საგამოძიებო მეთოდები, კერძოდ, ფარული ოპერაციების ჩატარების ტექნიკა თავისთავად არ არღვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას.³² მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ პოლიცია უფლებამოსილია, ჩაატაროს ფარული ოპერაციები, მაგრამ მან არ უნდა წააქეზოს დანაშაული.³³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე *Miliniene v. Lithuania* ასევე განმარტებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ გავლენა იქონია მოვლენების მსვლელობაზე იმით, რომ კერძო პირს ტექნიკური აღჭურვილობა გადასცა საუბრების ჩასანერად და ხელს უწყობდა მომჩივანისთვის ფინანსური შეთავაზების გაკეთებას, პოლიციის ქმედებები კვალიფიცირებულ იქნა, როგორც დანაშაულებრივ საქმიანობასთან „მიერთება“ და არა როგორც ამ საქმიანობის ინიცირება, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, ინიციატივა კერძო პირისგან მოდიოდა.³⁴ შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე არ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა.

ნიშნდობლივია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ ამ სტან-

დაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 18 იანვრის #817აპ-23 გადაწყვეტილება.

²⁸ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 26 აპრილის #844აპ-22 გადაწყვეტილება.

²⁹ იხ. *Teixeira de Castro v. Portugal*, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, განაცხადი no. 25829/94, პუნქტი 34-36.

³⁰ იხ. *Teixeira de Castro v. Portugal*, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს 1998 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, განაცხადი no. 25829/94, პუნქტი 36.

³¹ იხ. *Ramanauskas v. Lithuania*, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება, განაცხადი no. 74420/01, პუნქტი 53.

³² იხ. *Ramanauskas v. Lithuania*, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება, განაცხადი no. 74420/01, პუნქტი 51.

³³ იხ. *Khudobin V. Russia*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, განაცხადი no. 59696/00, პუნქტი 128.

³⁴ იხ. *Miliniene v. Lithuania*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, განაცხადი no. 74355/01, პუნქტები 37-38, 41.

დარტს ასევე იზიარებს ეროვნული სასამართლო-ბი. საქართველოს უზენაესი სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში ერთმანეთისაგან მართებულად მიჯნავს დანაშაულის პროვოკატორსა და ე.წ. ფარულ აგენტს. კერძოდ, საკასაციო პალატამ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მიუთითა: „საკასაციო სასამართლო არ იზიარებს დაცვის მხარის მოსაზრებას, რომ აგენტ-პროვოკატორმა მსჯავრდებულს მოუწყო დანაშაულის პროვოკაცია და მიუთითებს, რომ საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მონმე ხ. დ-ის სავარაუდო უკანონო ქმედებას, მსჯავრდებულის ცრუ დასმენის/მსჯავრდების ფარულ განზრახვას, კონკრეტულად, ლ. გ-ის მიმართ ისეთი სახის დაინტერესებას, რაც საეჭვოს გახდიდა მისი ჩვენების სანდოობას; საქმის მასალებით გამოკვეთილია, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ხელი არ შეუწყვიათ დანაშაულის ჩადენაში, ისინი შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის პასიური გამოძიებით და ამ გამოძიების პროცესში მტკიცებულებების მოძიებით; საქმეში დანაშაულის ნაქეზების ერთი ელემენტიც არ იკვეთება“.³⁵

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, როგორც ეს ყველა შემთხვევაში განხილულ მაგალითებიდან იკვეთება, პოლიციის ე.წ. ფარული აგენტების მიერ გამსაღებლებისათვის ფინანსური შეთავაზების გაკეთება და საკონტროლო შესყიდვა, ხდება სწორედ გამოძიებასთან თანამშრომლობისა და სამართალდამცავი ორგანოს მეთვალყურეობის ფარგლებში.³⁶ შესაბამისად, ყველა ამ ე.წ. ფარულ

აგენტს, სამართლიანად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განხორციელებული ქმედებისათვის არ დაკისრებია და, ბუნებრივია, ვერც დაეკისრებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არცერთ ასეთ პირს არ გაუჩნდებოდა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობისა და ვინმეს მხილების სურვილი.

III. დასკვნა

ზემოაღნიშნულ საქმეებში საერთო სასამართლოების ზემდგომ ინსტანციებში არასწორად ხდება ნარკოდანაშაულების დროს თანამონაწილეობის პრობლემის სამართლებრივი კვალიფიკაცია. აღიარებულია, რომ თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველია თანამონაწილეთა მიერ ერთიანი სისხლისსამართლებრივი უმართლობის განხორციელება. სისხლისსამართლებრივი უმართლობა კი ნიშნავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების მართლსაწინააღმდეგოდ ჩადენას.³⁷ შესაბამისად, ამსრულებელსა და თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ საკუთარი ბრალისათვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით. იქიდან გამომდინარე, რომ თანამონაწილეობა თავისი ბუნებით აქცესორული ხასიათისაა,³⁸ თანამონაწილის მოქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია ამსრულებლის ქმედების კვალიფიკაციაზე, მის მიერ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაზე. თანამონაწილის პასუხისმგებლობა ყოველთვის დამოკიდებულია ამსრულებლის მიერ ჩადენილ განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებაზე. შესაბამისად, განხილულ მაგალითებშიც, პოლიციის ე.წ. ფარულის აგენტების ქმედება არ შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე ტიპის დანაშაულს, უფრო მეტიც, იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასაც კი არ ახორციელებს (სისხლისსამართლებრივი

³⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 9 ნოემბრის #833აპ-23 გადაწყვეტილება. ანალოგიური მსჯელობა განავითარა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც, ამის შესახებ იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 26 თებერვლის #935აპ-23 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 25 ივნისის #78აპ-20 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 თებერვლის #541აპ-18 გადაწყვეტილება.

³⁶ დანვრილებით დანაშაულის პროვოკაციის შესახებ იხ. *დვალისძე, ირაკლი*, ავტორთა კოლექტივი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, 2019, გვ. 222-249; *დვალისძე, ირაკლი*, „სულიერი გახრწნის“ პრობლემა სისხლის სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამა-

რთლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შრომები, 2011, გვ. 23-46.

³⁷ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 2 ნოემბრის #537აპ-22 გადაწყვეტილება.

³⁸ შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 29 იანვრის #98 კოლ გადაწყვეტილება.

უმართლობა). ამიტომ ასეთ პირებს სამართლიანად არ ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ე.ი. სახეზე არ არის დანაშაულის ამსრულებელი). გამომდინარე აქედან, ნებისმიერ სხვა პირთა ქმედების შეფასება, როგორც დანაშაულში დახმარებად ან ნაქეზებად, მაშინ როცა, დანაშაულის ძირითადი ამსრულებელი მინიმუმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასაც არ სჩადის, ვერ იქნება სამართლებრივად გამართლებული და ლოგიკური.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამგვარი ტიპის შემთხვევებში, თუკი შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ დადასტურდება პოლიციის ე.წ. ფარული აგენტის მიერ მხილებული პირის მიერ უკანონო გასაღების ფაქტი, ის ცალსახად ბრალდების ამ ნაწილში უნდა გამართლდეს, ხოლო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა/შენახვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს არა როგორც თანამონაწილეს (დამხმარეს, წამქეზებელს ან ორგანიზატორს), არამედ როგორც ამ ქმედების ჩამდენის უშუალო ამსრულებელს (შეძენა/შენახვისათვის). პოლიციის ე.წ. ფარული აგენტი კი არ წარმოადგენს თანამონაწილის არცერთ სახეს, თანამონაწილეობის არც ვინრო და არც მისი ფართო გაგებით, რადგან მისი ქმედება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მართლზომიერია.

ბრალის გამომრიცხველი გარემოებების რამდენიმე საკითხისათვის მედიცინის სისხლის სამართალში

ასოცირებული პროფ. სამართლის დოქ. *ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხი*, სამართლის მაგისტრი (იენა), საქართველოს უნივერსიტეტი

I. შესავალი

ბრალის პრობლემა სხვა სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტებთან ერთად *მერაბ ტურავას* მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენს. მრავალ სიახლესთან ერთად, რაც მან ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში დანერგა, მისი დამსახურება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხვის ორსაფეხურიანი სისტემის (მართლწინააღმდეგობა და ბრალი) შემდგომი განვითარება და გერმანულ სისხლის სამართალზე ორიენტირებულ ბრალის გამომრიცხველ მრავალფეროვან ზეკანონურ გარემოებათა გამონვლილვითი ანალიზია. აღნიშნული სტატიაც მის ინტერესთა სფეროს, ბრალის გამომრიცხვავ გარემოებებს ეხება.

ქართულ სისხლის სამართალში ბრალი გამოირიცხება ასაკის და ფსიქიკური დაავადების გამო შეურაცხაობის (სისხლის სამართლის კოდექსის¹ 33-ე და 34-ე მუხლები), აკრძალვაში შეცდომის (სსკ 36-ე მუხლი), ბრძანების ან განკარგულების შესრულების (37-ე მუხლი) და ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებების გამო (სსკ 38-ე მუხლი). მედიცინის მუშაკი, გასაგები მიზეზებიდან გამომდინარე, არ შეიძლება იყოს ბრალუწუნარო ასაკის (სსკ 33-ე მუხლი), ან ჭკუასუსტობის გამო (სსკ 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მე-3 ალტერნატივა), მაგრამ იგი შეიძლება საგამონაკლისო შემთხვევებისას სსკ 34-ე მუხლით გათვალისწინებული ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის ... ან სხვა ფსიქიკური დაავადებისას მოქმედებდეს (სსკ 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მედიცინის სისხლის სამართალში ბრალის გამომრიცხველ გარემოებებზე მსჯელობისას განსაკუთრებული ყურადღება აკრძალვაში შეცდომაზე (სსკ 36-ე მუხლი), ბრძანების ან განკარგულების შესრულებასა (სსკ 37-ე მუხლი) და ბრალის გამომრიცხველ ზეკანონური გარემოებებზე (სსკ 38-ე

მუხლი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს) უნდა გამახვილდეს.

II. შეცდომა აკრძალვაში (სსკ 36-ე მუხლი)

სსკ 36-ე მუხლით, პირი არ დაისჯება აკრძალვაში მისატყვევებელი შეცდომისას, ანუ მაშინ, როდესაც მან შექმნილ ვითარებაში არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ აკრძალულ ქმედებას სჩადიოდა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი მიუთქვეველ შეცდომას გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობა მოსდევს. აკრძალვაში შეცდომის ანალიზისათვის საჭიროა მივმართოთ განზრახვის დეფინიციასაც (სსკ მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები), რომლის მიხედვითაც განზრახვა სამი ნიშნისაგან, ცოდნის, ნებელობის და მართლწინააღმდეგობის შეცნობისაგან (ბოროტი განზრახვა, *dolus malus*) შედგება. ქართულ სისხლის სამართალში დღეისათვის გაბატონებული მოსაზრებით, დანაშაულის სისტემაში განზრახვის ნიშნები ორ სხვადასხვა საფეხურზეა განლაგებული: განზრახვის ორი ნიშანი, განზრახვის ფაქტობრივი გარემოებები, ცოდნა და ნებელობა, მოთავსებულია ქმედების შემადგენლობაში, ქმედების სუბიექტურ მხარეში, მესამე, განზრახვის შეფასებითი ნიშანი, მართლწინააღმდეგობის შეგნება კი – ბრალში. ქმედების შემადგენლობის სუბიექტური მხარის ეტაპზე განხილვისას განზრახვა თავისი ორი ნიშნით ფაქტობრივი, შეფასებისაგან თავისუფალი ცნებაა, ბრალის ეტაპზე კი იგი მართლწინააღმდეგობის შეგნების მიერთებით ბოროტ განზრახვად გადაიქცევა. განზრახვის ასეთი გაგება ქართულ სისხლის სამართალში *მერაბ ტურავას* დამსახურებას წარმოადგენს.² განზრახვის ნიშნების ამგვარი გადანაწილება დანა-

¹ შემდგომში შემოკლებულია როგორც სსკ.

² ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *ტურავა, მერაბ*, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. ველი 1060.

შაულის სისტემაში დანაშაულის ფინალური აგებულების ქართულ, *ტურავასეულ* ვარიანტს აფუძნებს და ქართულ სისხლის სამართალში განზრახვის ცნების მომავალ განვითარებას უდებს საფუძველს.

ქართულ სისხლის სამართალში განზრახვის მესამე ნიშნის, მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა ბრალის ეტაპზე ბოროტ განზრახვას გამოორციხავს. თუ შეცდომა მისატყვევებელია, გამოორციხება გაუფრთხილებლობა, მიუტყვევებელი შეცდომისას კი პირი გაუფრთხილებლობისათვის აგებს პასუხს (შეცდომა, სსკ 36-ე მუხლი). მედიცინის სისხლის სამართალში აკრძალვაში შეცდომის განხილვისას ყურადსაღებია შეცდომა გამამართლებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობაში (*Erlaubnistatbestandsirrtum*) და შეცდომა ნებართვის არსებობაში (*Erlaubnisirrtum*).

გამამართლებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობაში შეცდომა სახეზეა, როდესაც მედიცინის მუშაკს არასწორი წარმოდგენა აქვს იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობაზე, რომლებიც მის ქმედებას მართლზომიერ ხასიათს მიანიჭებდა: როდესაც ექიმს შეცდომით ჰგონია, რომ სახეზეა პაციენტის ინფორმირებული თანხმობა, რაც სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან პაციენტი არაა გადანყვეტილებაუნარიანი, ექიმი კი საწინააღმდეგოს ვარაუდობს; მას ასევე არასწორად ჰგონია, რომ პაციენტის სრულყოფილი ინფორმირება მის ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს მიაყენებს (პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი) და პაციენტს ინფორმაციას არ აწვდის; ექიმი არასწორად აფასებს პაციენტის ნების საწინააღმდეგო ჩარევის შესაძლებლობის ფაქტობრივ წინაპირობებს, მაგ., მას არასწორად ჰგონია, რომ მოშიმშილე პაციენტი სულიერადაა დაავადებული, შესაბამისად, გადანყვეტილებაუნაროა და მისი უარი საკვების მიღებაზე არაა ნამდვილი, ამიტომაც მოშიმშილე პაციენტის მიმართ იგი არანებაყოფლობითი ღონისძიებებს ახორციელებს, რომელიც „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონშია გათვალისწინებული.³ ნებართვის ფაქტობრივი გარემოებების არსებობაში შეცდომა სახეზეა ასევე მაშინაც,

³ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №169, 04.07.2013, მოშიმშილის მომართ მოპყრობის წესი და მისი ყოფნის პირობები, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი.

როდესაც ექიმს არასწორად ჰგონია, რომ პაციენტის სავარაუდო თანხმობის პირობებია სახეზე, სინამდვილეში კი ოპერაცია არაა გადაუდებელი.⁴

ნებართვის არსებობაში შეცდომა (*Erlaubnisirrtum*) ფაქტობრივი გარემოებების სრული გაცნობიერებისას მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არარსებული გარემოების არსებობაში ან არსებული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ფარგლებში დაშვებული შეცდომაა და მას აკრძალვაში არაპირდაპირ შეცდომასაც უწოდებენ.⁵ ამგვარ შეცდომას ადგილი აქვს მაგალითად, მაშინ, როდესაც მედიცინის მუშაკს ჰგონია, რომ მას განსაკუთრებული საგამონაკლისო წინაპირობების არსებობისას, პაციენტის ძლიერი ფიზიკური ტანჯვისაგან გასათავისუფლებლად, მისი დაჟინებული თხოვნისას და ნამდვილი ნების შესაბამისად აქტიური ევთანაზიის უფლება აქვს, რადგან ამ დროს სიცოცხლე განკარგავს სამართლებრივ სიკეთედ გადაიქცევა, შესაბამისად, დაზარალებულის თანხმობა მართლწინააღმდეგობას გამოორციხავს და იგი პაციენტს ზედოზირებით მოკლავს.⁶

მედიცინის სისხლის სამართალში ასახელებენ ასევე ნებართვის არსებობაში სხვა შეცდომებსაც: ნებართვის არსებობაში შეცდომა სახეზეა ასევე მაშინ, როდესაც (1.) ექიმს ჰგონია, რომ ოპერაციის გაფართოებისათვის მას პაციენტის თანხმობა არ სჭირდება, (2.) რომ მშიშარა პაციენტს ინფორმაცია არ უნდა მიეწოდოს; (3.) გადანყვეტილებაუნარო პაციენტისათვის სამედიცინო ჩარევის განსახორციელებლად არაა საჭირო კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა, (4.) პაციენტის მოტყუებით მიღებული თანხმობა ნამდვილი ინფორმირებული თანხმობაა, (5.) დამხმარე პერსონალზე სამედიცინო ჩარევის გადამისამართება დასაშვებია. რაც შეეხება სავარაუდო თანხმობას, შეცდომას ნებართვის არსებობაში ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ექიმს არასწორად ჰგონია, რომ იგი პაციენტის სავარაუდო ნების მიხედვით მოქმედებს.⁷

⁴ შდრ. *Waßmer, Martin Paul, Medizinstrafrecht, 2022, § 4/Rn. 85.*

⁵ შდრ. *Heinrich Bernd, Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 1142; Waßmer, Martin Paul, Medizinstrafrecht, 2022, § 4/Rn. 88.*

⁶ მაგალითი ჰაინრიხის მიხედვით, *Heinrich, Bernd, Strafrecht, Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2022, Rn. 1142, Bsp. 1.*

⁷ შდრ. *Waßmer, Martin Paul, Medizinstrafrecht, 2022, § 4/Rn. 88.*

როგორც გამამართლებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობაში შეცდომა, ასევე ნებართვის არსებობაში შეცდომა სსკ 36-ე მუხლით გათვალისწინებული შეცდომა აკრძალვაში:⁸ მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა განზრახვას გამორიცხავს და როდესაც ეს შეცდომა მისატყვევებელია, გაუფრთხილებლობისათვის პასუხისმგებლობაც არ დადგება. აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია სწორად ასახავს კანონმორჩილად მოქმედი პირი (აქ ექიმის) ქმედების არსს.⁹

შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ასევე ორმაგ შეცდომასაც, როგორც შეცდომას ნებართვის გარემოებების არსებობაში, ასევე შეცდომას ნებართვის არსებობაში, ანუ, ექიმს არასწორი წარმოდგენა ჰქონდეს გამამართლებელი გარემოებების ფაქტიურად არსებობასა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ფარგლებზე. მაგ., როდესაც ექიმი არასწორად ჰგონია, რომ პაციენტი გადაწყვეტილებაუნარიანია, სინამდვილეში კი იგი გადაწყვეტილებაუნაროა და მას ასევე არასწორად ჰგონია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პაციენტისაგან ინფორმირებული თანხმობის მიღება საჭირო არაა, რადგან იგი მეტად მშიშარაა და ამგვარ შემთხვევაში ინფორმირებული თანხმობის მიღება სავალდებულო არაა.¹⁰ ამგვარი შეცდომაც აკრძალვაში შეცდომად სსკ 36-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს.

III. ბრძანების ან განკარგულების შესრულება

ქართულ სისხლის სამართალში ბრძანების ან განკარგულების შესრულება (სსკ 37-ე მუხლი) ბრა-

ლის გამომრიცხველ დამოუკიდებელ გარემოებად კი არაა აღიარებული, არამედ, როგორც პატივცემული იუბილარი სწორად მიუთითებს, შეცდომას უკავშირდება.¹¹ სსკ 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ხელქვეითის ბრალი გამომრიცხება, თუ მან სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას სამართლებრივი სიკეთე დააზიანა. ასეთი ზიანისათვის პასუხს სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების გამცემი აგებს. სავალდებულო ბრძანება ან განკარგულება შესაძლებელია გაიცეს როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სამსახურში, ამასთან, სავალდებულო ბრძანების გამცემი შესაბამისი უფლებით საგანგებოდ აღჭურვილი პირია. მართალია, ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას სამოქალაქო სამსახურში მყოფი პირი უფრო თავისუფალია, ვიდრე სამხედრო მოსამსახურე,¹² მაგრამ ჯანდაცვის სფეროში ქვემდგომი სამედიცინო პერსონალის მიერ ბრძანების შესრულების თავისუფლება გასაწევი სამედიცინო დახმარების სპეციფიკიდან გამომდინარე, იბოჭება. ექიმი თავისი აღმატებული ცოდნიდან გამომდინარე, ვაცემს სავალდებულო ბრძანებას ქვემდგომი სამედიცინო პერსონალის მიმართ („შრომის ვერტიკალური განაწილება“¹³). შრომის ვერტიკალური დანაწილებისას ვაცემული ბრძანების შესრულების სავალდებულობა (ოპერაციის დროს ქირურგი-ოპერატორის სავალდებულო ბრძანება მედის მიმართ¹⁴) ქვემდგომ სამედიცინო პერსონალს ბრძანების შესრულებისას ნდობის პრინციპის საფუძველზე ექიმის მიერ წინდახედულობის ნორმის პერსონალური გადამონმების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს და ამასთან, მას ბრძანების შესრულების თავისუფლებასაც ართმევს. ბრძანების შესრულებისას დამდგარი მავნე შედეგისათვის პასუხს განზრახ მოქმედი ბრძანების გამცემი ზემდგომი სამედიცინო პერსონალი აგებს, ქვემდგომი სამედიცინო პერსონალი, მაგ., მედდა კი, რომელიც ვალდებულია, შეასრულოს ბრძანება,

⁸ განსხვავებით გერმანიის სისხლის სამართლისაგან, რომლის მიხედვითაც მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის დამოუკიდებელი ნიშანია, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 17 აკრძალვაში მისატყვევებელი შეცდომისას ბრალს გამორიცხავს და მიუტყვევებელმა კი, შესაძლებელია, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის § 49 I-ის მიხედვით, სასჯელი შეამსუბუქოს.

⁹ შესაბამისად, ქართულ სისხლის სამართალში განზრახვის თეორიაა გაბატონებული, რომელიც გამამართლებელი ფაქტობრივი გარემოებების არსებობაში შეცდომა (ნებართვაში შეცდომის) სამართლიანი კვალიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

¹⁰ შდრ. *Walßer, Martin Paul, Medizinstrafrecht, 2022, § 4/ Rn. 88.*

¹¹ შდრ. *ტურავა, მერაბ, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 914.*

¹² შდრ. *გამყრელიძე, ოთარ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2008, გვ. 256.*

¹³ შდრ. *Walßer, Martin Paul, Medizinstrafrecht, 2022, § 7/ Rn. 48.*

¹⁴ მაგალითი იხ. *თოდუა, ნონა, ნიგნში: ნაჭყებია/თოდუა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, 2024, გვ. 378.*

«ცოცხალი იარაღია» და არ დაისჯება.¹⁵ *მერაბ ტურავას* სწორი მითითების მიხედვით, ბრძანების შესრულებისას მისატყვევებელი შეცდომის სპეციალურ შემთხვევაა სახეზე.¹⁶ ბრძანების/განკარგულების გამცემის გაუფრთხილებლად მოქმედებისას კი შუალობითი ამსრულებლობა გამოორციხულია, რადგან სსკ 22-ე მუხლით შუალობითი ამსრულებლობა მარტოდენ განზრახ შეიძლება განხორციელდეს. ამ შემთხვევაშიც გაუფრთხილებელი ქმედებისათვის მარტოდენ ბრძანების გამცემმა ზემდგომმა ექიმმა უნდა აგოს პასუხი, ქვემდგომი მედიცინის მუშაკი კი არ დაისჯება და სახეზე არ გვექნება გაუფრთხილებელი პარალელური ამსრულებლობა.

ქვემდგომი მედიცინის მუშაკის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი არც მისატყვევებლად და არც მიუტყვევებლად არ ცდება, ანუ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას (სსკ 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

IV. ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოებები

მერაბ ტურავა მხარს უჭერს საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის სამართლებრივი ინსტიტუტს, როგორც ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებას (სსკ 38-ე მუხლი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა არაბრალეული ქმედების დროს).¹⁷ მისი აზრით, საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის დროს ორი თანაბარი ღირებულების სამართლებრივი სიკეთეა კოლიზიაში და თუ იმნუთიერ საფრთხეში მყოფი საკუთარი ან ახლობლის სამართლებრივი სიკეთე სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხარჯზე გადარჩება, ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ რადგან პირზე ფსიქიკური ზენოლა და

სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მოტივაცია იმდენად ძლიერია, რომ ტრაგიკული კოლიზიის მდგომარეობა წარმოიშობა, ნორმის შესაბამისი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა არ არსებობს და პირს ამ ქმედების ჩადენა უნდა ეპატიოს.¹⁸

მერაბ ტურავა საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის შემდეგ პირობებს აყალიბებს: (1). უკიდურესი მდგომარეობა, ანუ სამართლებრივი სიკეთისათვის არსებული იმნუთიერი საფრთხე, (2). უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება, ანუ საფრთხის სხვაგვარად თავიდან აცილების შეუძლებლობა, (3). სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის ნება და (4). საფრთხის თავის თავზე მიღების ვალდებულების არარსებობა, ანუ პირი არ უნდა მიეკუთვნებოდეს იმ პირთა წრეს, რომლებსაც, „ჩვეულებრივი ადამიანებისაგან განსხვავებით, განსაკუთრებული პროფესიული თუ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, მოეთხოვება, მიიღოს საფრთხე საკუთარ თავზე.“¹⁹

საპატიებელი უკიდურესი აუცილებლობის საკითხმა შესაძლებელია, მედიცინის სისხლის სამართალში, ტრიაჟის პრობლემის განხილვისას ჩინოს თავი. ტერმინი ტრიაჟი ფრანგულიდან მომდინარეობს, სამხედრო მედიცინის ტერმინია, დამკვიდრებულია გადაუდებელი და საგანგებო სიტუაციის მედიცინაში და დახარისხებას, არჩევას ნიშნავს. ტრიაჟის მიზანი შეზღუდული რესურსების პირობებში რაც შეიძლება მეტი პაციენტის გადარჩენაა,²⁰ თუმცა, სამედიცინო პერსონალი შესაძლებელია, სამედიცინო აღჭურვილობის ნაკლებობისას არჩევანის წინაშეც დადგეს, იძულებული იყოს, რამდენიმე დაზიანებულიდან, რომელთაც თანაბრად სჭირდებათ გადაუდებელი დახმარება, ერთი პაციენტი შეარჩიოს, რომელიც სამედიცინო დახმარებას მიიღებს და გადარჩება.²¹ ერთმანეთისაგან განასხვავებენ პრევენციულ, *ex ante* და *ex post* ტრიაჟს.

პრევენციული ტრიაჟისას რესურსების დაზოგვის მიზნით ექიმი კონკრეტული პაციენტის მკურ-

¹⁵ შდრ. *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2008, გვ. 257.

¹⁶ შდრ. *ტურავა, მერაბ*, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. ველი 915.

¹⁷ ბრალის გამომრიცხველ უკიდურეს აუცილებლობას ითვალისწინებდა *ოთარ გამყრელიძის* სისხლის სამართლის კოდექსის ალტერნატიული პროექტის 36-ე მუხლი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის სამთავრობო პროექტში გადავიდა და რომელიც პარლამენტის მიერ არ დაკანონდა. *გამყრელიძე, ოთარ*, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, 2008, გვ. 259.

¹⁸ შდრ. *ტურავა, მერაბ*, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. ველი 951.

¹⁹ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *ტურავა, მერაბ*, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. ველი 962.

²⁰ შდრ. *Waßmer, Martin Paul*, *Medizinstrafrecht*, 2022, § 8/ Rn. 33.

²¹ *მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან*, საიუბილეო კრებულში: რევაზ გოგმელიძე, საიუბილეო კრებული, 2022, გვ. 21, 22.

ნალობისათვის ინტენსიური მედიცინის ღონისძიებები არ გამოიყენებს და მას სამომავლოდ, სხვა პოტენციური პაციენტისათვის ინახავს.²² პრევენციული ტრიაჟი ბრალის გამომრიცხავ გარემოებას არ წარმოადგენს და ექიმი სისხლისსამართლებრივად აგებს პასუხს შერეული უმოქმედობით ჩადენილი მკვლევლობისათვის მაშინაც კი, როდესაც ეს პოტენციური პაციენტი მისი ახლობელია, რადგან სახეზე არაა საპატივებელი უკიდურესი აუცილებლობის მნიშვნელოვანი ნიშანი – საფრთხის იმუთიერება. *ex ante* ტრიაჟისას კი, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი მოვალეობათა კოლიზიაა სახეზე.²³

ex post ტრიაჟისას პაციენტისათვის ინტენსიური ღონისძიებებით დაწყებული მკურნალობა მისი ნების საწინააღმდეგოდ, სხვა, გადარჩენის უკეთესი შანსის მქონე პაციენტისათვის ამგვარი ჩარევის გამოყენების მიზნით წყდება. ლეტალური შედეგის დადგომა ამ დროს ექიმის განზრახვი მკვლევლობისათვის პასუხისმგებლობას იწვევს;²⁴ *ex post* ტრიაჟისას განსაკუთრებულ განხილვას იმსახურებს ის შემთხვევა, როდესაც პაციენტი, რომლის სასარგებლოდაც პაციენტის მკურნალობა შეწყდა, ექიმის ახლო ნათესავია, მაგ., მისი შვილია.

ქართულ სისხლის სამართალში გამოთქმული ერთი მოსაზრების მიხედვით, საკუთარი ან ახლობლის სიცოცხლის გადარჩენა სხვისი სიცოცხლის ხარჯზე ბრალის, და შესაბამისად, სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებაა. ამ შეხედულებას მნიშვნელოვანი კრიმინალპოლიტიკური არგუმენტი ამაგრებს: პირის დაუსჯელობისას მსხვერპლის ახლობლები ღინჩის იუსტიციას მიმართავენ.

დამატებითი არგუმენტი მოცემული კონსტელაციისათვის შესაძლებელია გერმანული სისხლის სამართლიდან ვისესხოთ: განსაკუთრებულ პროფესიულ თუ სამსახურებრივ მდგომარეობაში მყოფი პირი, რომელსაც საზოგადოების დაცვა ევალება,

ვალდებულია, საფრთხე თავის თავზე მიიღოს და საზოგადო ინტერესი არ დააზიანოს მაშინაც კი, როდესაც ეს საფრთხე მას კი არა, მის ახლობელს ემუქრება.²⁵ ამ შეხედულებას *ex post* ტრიაჟისას ექიმის დასჯადობამდე მივყავართ.

თუ მერაბ ტურავას მიერ ქართულ სისხლის სამართალში განვითარებულ საპატივებელი უკიდურესი აუცილებლობის სამართლებრივ ინსტიტუტს დავეყრდნობით, ექიმს ჩადენილი ქმედება, საკუთარი შვილის გადარჩენისას სხვისი მოკვდინება, ეპატიება,²⁶ რადგან ამგვარი შემთხვევებისას სისხლის სამართალი თავის პრევენციულ ფუნქციას კარგავს, რადგან მშობელს, რომლის შვილიც სიცოცხლის გადამრჩენ გადაუდებელ დახმარებას საჭიროებს, სისხლის სამართალი სანქციით, ხვალინდელი საპატიმრო სასჯელით ვერ შეაშინებს, ამიტომაც ამგვარი ქმედებები ბოროტსა და კეთილს მიღმაა და არც ეთიკურ და არც სამართლებრივ შეფასებას უკვე აღარ ექვემდებარება.

V. დასკვნა

ბრალის გამომრიცხველი გარემოებები, რომელთა არსებობისასაც პირის ქმედების გასაკიცხაობა და შესაბამისად, მისი დასჯადობა გამოირიცხება, თავის გამოხატულებას მედიცინის სისხლის სამართალშიც ჰპოვებენ. მედიცინის მუშაკი შესაძლებელია, მოქმედებდეს როგორც აკრძალვაში შეცდომის, ასევე სავალდებულო ბრძანების შესრულების, ანდა ტრიაჟის დროს ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოების არსებობისას (სადავოა). მედიცინის მუშაკი შესაძლებელია უშვებდეს როგორც მისატყვებელ, ასევე მიუტყვებელ შეცდომას, შეცნობილი ჰქონდეს ბრძანების დანაშაულებრივი ხასიათი, ანდა ვალდებული იყოს, თავის თავზე მიიღოს საფრთხე. ამიტომაც, მედიცინის მუშაკის ცალკეული ქმედების კვალიფიკაციისას დოგმატიკურად სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად ყოველი ცალკეული შემთხვევა დანვრით უნდა იქნას გაანალიზებული.

²² მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქეთევან, საიუბილეო კრებულში: რევაზ გოგშელიძე, საიუბილეო კრებული, 2022, გვ. 21, 27; ტურავა, მერაბ, სამართლის მაცნე, 6 (2022), გვ. 30, 32; Heinrich, Bernd, Herald of Law, 6 (2022), 12, 13; Rönnau, Thomas/Wegner, Killian, JuS 5/2020, 403, 407.

²³ შდრ. ტურავა, მერაბ, სამართლის მაცნე, 6 (2022), გვ. 30, 32; Heinrich, Bernd, Herald of Law, 6 (2022), 12, 15.

²⁴ შდრ. ტურავა, მერაბ, სამართლის მაცნე, 6 (2022), გვ. 30, 44; ხაზალია, ვიორგი, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი, 1 (2022), გვ. 21, 26.

²⁵ შდრ. Roxin, Claus/Greco, Luís, Strafrecht AT I, 5. Aufl, 2020, S. 1109, Rn. 43.

²⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე ტურავა, მერაბ, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. ველი 951.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების საუნივერსიტეტო სწავლების ძირითადი მახასიათებლები და მისი მნიშვნელობა კონსტიტუციური კონტროლის ეფექტიანობისთვის საქართველოში*

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. **გიორგი თევდორაშვილი**, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, სასამართლოს მდივანი

**წინამდებარე სტატიას საუკეთესო სურვილებით ვუძღვნი მერაბ ტურავას,
60 წლის იუბილესთვის.**

I. შესავალი

ადამიანის უფლებებით და თავისუფლებებით რეალური უზრუნველყოფა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის მიზანი და გამართლებაა. საქართველოს კონსტიტუცია ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და ხაზგასმით ადგენს, რომ „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“¹. სწორედ უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლის აღიარებით, კონსტიტუცია ხელისუფლების განხორციელების პროცესში

* წინამდებარე სტატია წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზებით 2024 წლის 22 იანვარს გამართული საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების პირველ ფორუმზე დაწყებული დისკუსიის გამომხაურებას და მიზნად ისახავს ფორუმზე გამოთქმული მოსაზრებების განზოგადებას. ფორუმის მიზანს წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და აკადემიურ წრეებს შორის საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების აქტუალურ საკითხებზე განგრძობადი დიალოგისთვის სივრცის შექმნა, სწავლების პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესება და მისი რეალურ, პრაქტიკულ საჭიროებებზე ორიენტირება.

¹ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

ხალხის და სახელმწიფოს ზღვარდამდებად და, იმავდროულად, ხელისუფლების შტოების საქმიანობის შეფასების საზომად გვევლინება.

ძირითადი უფლებები, მათი დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმების გარეშე, კარგავს თავის აზრს და დანიშნულებას. კონსტიტუცია არა მხოლოდ აღიარებს უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტს, არამედ სწორედ ის უნდა იყოს ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტი ადამიანის თავისუფლების სამსახურში ხელისუფლების ჩაყენებისათვის². ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ინსტიტუტი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოა, რომელიც „თავისი ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე, ზოგადად, ორ მიზანს ემსახურება – ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირების უზრუნველყოფას (ხელშეწყობას) და ადამიანის უფლებების დაცვას ხელისუფლების მხრიდან არათანაზომიერი ჩარევისაგან (უფლების დარღვევისაგან)“³.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამარ-

² ერემაძე, ქეთევან, თავისუფლების დამცველი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში, 2018, გვ. 51.

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18. (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=542>, ბოლოს ნანახია: 30.04.2024).

თლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.⁴ მაშასადამე, უფლების ეფექტური დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, სამართალწარმოების მონაწილეების მხრიდან საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების მარეგულირებელი აქტების, სასამართლოს რეგულაციური პრაქტიკის, სტანდარტებისა და განმარტებების საფუძვლიან ცოდნას, სტუდენტებისთვის საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების იმგვარი ფორმის და მეთოდების შერჩევას, რომელიც ასაზრდოებს მომავალ იურისტთა სწრაფვას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეშვეობით დაიცვან ძირითადი უფლებები, განჭვრიტონ სამართალწარმოების თავისებურებები, დინამიკა, უფლების დაცვის რეალური საჭიროებები, პერსპექტივები, პრინციპული მნიშვნელობა აქვს როგორც იურიდიული პროფესიისათვის, აგრეთვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ქმედითობისთვის, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

II. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების მიზნები და მისი როლი საკონსტიტუციო კონტროლის გაუმჯობესების პროცესში

ზოგადად საკონსტიტუციო სამართალწარმოების სალექციო კურსი საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს, თუმცა წინა წლებისგან განსხვავებით, 2020 წლიდან სამართლის დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით⁵ საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესწავლა კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლების შედეგების მინიმალურ მოთხოვნად იქცა, რაც, როგორც მინიმუმ, მოიაზრებს

⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის პირველი პუნქტი.

⁵ სასწავლო დისციპლინის სწავლება განისაზღვრება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მიღებული სამართლის დარგობრივი მახასიათებლების (რაც აღწერს სწავლის მინიმალურ შედეგებს, რომლებსაც შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელმა უნდა მიაღწიოს) საფუძველზე. (ხელმისაწვდომია: <<https://t.ly/3rZTf>>, ბოლოს ნანახია: 20.03.2024).

სასწავლო დისციპლინის საგანმანათლებლო პროგრამებში აუცილებელ ინტეგრირებას ან დამოუკიდებელ, სავალდებულო საგნად სწავლებას. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, უნივერსიტეტთა უმეტესობამ სწორედ ამ უკანასკნელ მიდგომას მიანიჭა უპირატესობა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სამართალწარმოების სავალდებულო საგნად მიჩნევა, ერთი მხრივ, შესაძლებლობაა, სწავლების პროცესი თავიდანვე სწორად, ერთიან პრაქტიკულ საჭიროებაზე ორიენტირებით წარიმართოს, მეორე მხრივ, კი გამოწვევაა მეტ-ნაკლებად უნიფიცირებული მიმართულების განსაზღვრის ნაწილში.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების დისციპლინის სასწავლო პროცესში სავალდებულოდ ინტეგრირება არ არის ვინაობა საგანმანათლებლო მიზანი, არამედ ფართო შედეგის მომტანია ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ზოგადად, კონსტიტუციური კონტროლის გზით კონსტიტუციურ ღირებულებათა სისტემის განმტკიცების თვალსაზრისით. ამ დისციპლინის სწავლების მნიშვნელობაზე საკონსტიტუციო კონტროლის არსებული მოდელის ეფექტიანობის ხელშეწყობის პერსპექტივიდან გამომდინარე, მოკლედ მიგვაჩნია, რომ:

- სასწავლო დისციპლინის სწავლებამ უნდა გააუმჯობესოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების და, ზოგადად, ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი უკანასკნელ წლებში გაზრდილი მიმართვიანობის ფონზე, კვლავ დიდია სასამართლოს მხრიდან კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შემთხვევები, რაც ძირითადად სასამართლოს იურისპრუდენციითა და კანონმდებლობით დადგენილი სარჩელის დასაშვებობის სტანდარტების არასაკმარისი ცოდნით და ამით გამოწვეული სარჩელების დაუსაბუთებლობის მიზეზით შეიძლება აიხსნას. შედეგად, ასეთ დროს, მოსარჩელეს, მიუხედავად სარჩელში დასმული პრობლემის აქტუალურობის და რეალურობისა, უწევს ახალი კონსტიტუციური სარჩელის წარმოდგენა, ადამიანური და მატერიალური რესურსის დამატებით დახარჯვა, რაც, იმავდროულად, იწვევს მოსარჩელის უფლების დაცვის დროში გაჭიანურებას, კონკრეტული საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით კი, შე-

საძლოა, მოსარჩელისათვის აზრიც დაეკარგოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის განმეორებით მიმართვას; იმავდროულად, კანონმდებლობით დადგენილი დასაშვებობის ცალკეული საკითხების, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის არასათანადო ცოდნის პირობებში იზრდება დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო სარჩელები, რაც მნიშვნელოვნად ტვირთავს სასამართლოს და აფერხებს იმ საქმეთა დროულ გადანყვეტას, რომლებშიც შესაძლოა ირღვეოდეს ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

- სწავლება ხელს შეუწყობს საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისა და საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკის განვითარებას, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტების გაუმჯობესებას, მეტად დასაბუთებული გადანყვეტების მიღებას. საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკითხებზე სათანადოდ ინფორმირებული მხარეები კონცენტრირდებიან მხოლოდ საქმისთვის რელევანტურ გარემოებებზე/პრობლემატიკაზე, რითაც ზოგავენ სასამართლოს რესურსს. საქართველოში არსებული კონსტიტუციური კონტროლის მოდელის პირობებში მოსარჩელე საკონსტიტუციო სამართალწარმოების ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტია და სწორედ ის განსაზღვრავს კონსტიტუციურ-სამართლებრივი შეფასების მასშტაბის ფარგლებს. კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების ავტორი თავისი არგუმენტაციით ეხმარება სასამართლოს და აძლევს პრაქტიკის განვითარების შესაძლებლობას.⁶
- ვფიქრობთ, რომ საგანი, მისი შინაარსისა და პრაქტიკული მნიშვნელობის გათვალისწინებით, აქტუალურია ყველა დარგის იურისტისთვის, მიუხედავად იმისა სტუდენტი სამომავლოდ აპ-

ირებს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას, საჯარო დაწესებულებაში თუ საერთო სასამართლოების სისტემაში დასაქმებას ან სხვა მიმართულებით მოღვაწეობას. მომავალ ადვოკატებთან ერთად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგნის სპეციფიკა კარგად შეისწავლონ იმ პირებმა, რომლებიც საერთო სასამართლოთა სისტემაში აპირებენ დასაქმებას, რადგან ქართულ კონსტიტუციურ დიზაინში, საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოს შორის ურთიერთთანამშრომლობა არის უფლებათა ეფექტიანად დაცვის გარანტი. სადღეისოდ კონსტიტუციური წარდგინებების შედარებითი სიმცირე, შესაძლოა, გარკვეული თვალსაზრისით, სამართალწარმოებასთან დაკავშირებული სპეციფიკის სისტემური ცოდნის ნაკლოვანებებით აიხსნებოდეს. საგნის სწავლება აქტუალურია აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში დასაქმებით დაინტერესებული სტუდენტებისათვისაც, ვინაიდან სწორედ საჯარო დაწესებულებების იურისტები, როგორც შესაბამისი უწყების წარმომადგენლები, ხშირად მონაწილეობენ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის არსებითი განხილვის ეტაპზე.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში საკონსტიტუციო სამართალწარმოების სათანადო სწავლება, ორმხრივი სარგებლიანობის მომტანია, როგორც აკადემიური, აგრეთვე სამართალწარმოების პრაქტიკული მიზნებისათვის. სტუდენტი აღიჭურვება საკონსტიტუციო სამართალწარმოების საკითხებზე თეორიული ცოდნით და სათანადო პრაქტიკული უნარებით, რაც დადებითად იმოქმედებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების ეფექტიანობაზე.

III. სასწავლო დისციპლინის სწავლების მახასიათებლები და შინაარსი

ზოგადად, სასწავლო დისციპლინის შინაარსის განსაზღვრა საქართველოს კონსტიტუციით დაცული აკადემიური თავისუფლების არსებითი მახასიათებელია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ საგნის სწავლების პროცესში თავისთავად მოიაზრება ცალკეული თემები, რომლებიც ფუნდამენტური მნიშვნელობისაა და თავად საგნის არსს განსაზღვრავს.

⁶ აღნიშნულის ერთ-ერთ მაგალითად გამოდგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2022 წლის 8 ივლისის საოქმო ჩანაწერი #3/6/1547 საქმეზე *ვახტანგი მიმინოშვილი, ინვერი ჩოკორაია და ჯემალი მარკოზია* საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ (ხელმისაწვდომია: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13933>, ბოლოს ნანახია: 30.04.2024). სწორედ, მოსარჩელე მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ შეცვალა მანამდე არსებული პრაქტიკა და რიგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლებლად მიიჩნია განმწესრიგებელ სხდომამდე სადავო ნორმის ცვლილების მიუხედავად სარჩელის არსებითად განსახილველად მიღება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკონსტიტუციო სამართალწარმოების სასწავლო დისციპლინის შინაარსი, მისი სტრუქტურა, სამართლის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით, თავად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის მიერ უნდა განისაზღვროს და მისი დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საჯარო სამართლის სხვა სასწავლო დისციპლინების სილაბუსები (მაგალითად, რამდენად და რა მოცულობით ითვალისწინებს სხვა სასწავლო დისციპლინები კონსტიტუციური კონტროლის არსის, მისი სახეების, მოდელების, საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოების ფორმირების, უფლებამოსილების თაობაზე სწავლებას). ამ თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საერთო ტენდენცია უნდა იყოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების პროცესში იმ თემატიკის ინკორპორირების შემცირება, რომლებიც შინაარსობრივად სხვა, დამოუკიდებელი დისციპლინის ნაწილია (მაგალითად, საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართლის, ადამიანის უფლებათა სამართლის და ა.შ.). თუმცა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების სასწავლო დისციპლინის ზუსტი დასახელების და, აქედან გამომდინარე, შინაარსის განსაზღვრა თავად უმაღლესი სასწავლებლის ამოცანად უნდა მივიჩნიოთ, საბაკალავრო სწავლების საფეხურზე საჯარო სამართლის სხვა სასწავლო დისციპლინების სალექციო კურსების სტრუქტურის გათვალისწინებით (მაგალითად, სხვადასხვა უნივერსიტეტში მოცემულ დისციპლინას „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება“ ან „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოება“ ეწოდება და შესაბამისად განისაზღვრება მისი შინაარსი).

საბოლოო ჯამში, სალექციო კურსის მიზანი უნდა იყოს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავება – იქნება ეს სამართლებრივი აზროვნების, ანალიზის, დასაბუთების უნარი თუ საკონსტიტუციო სამართალწარმოების პროცესში სხვადასხვა სამართლებრივი მექანიზმების სწორად გამოყენების შესაძლებლობა. შესაბამისი უნარჩვევების გამომუშავება კი მნიშვნელოვნად გამარტივდება სწავლების პროცესში სამართალწარმოების პრაქტიკული ელემენტების ინტეგრაციით. მაგალითად, კონსტიტუციური სარჩელის მომზადება, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების პროექტის შედგენა ან/და იმიტირებული პროცე-

სების ორგანიზება დაეხმარებათ სტუდენტებს თეორიულ ცოდნასთან ერთად, სწორედ გაიაზრონ სამართალწარმოების პროცესი, განავითარონ და გაუმჯობესონ ისეთი პრაქტიკული უნარები, როგორებიცაა სამართლებრივი წერა, კრიტიკული აზროვნება და იურიდიული დასაბუთება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საყურადღებოა საკონსტიტუციო სამართალწარმოების სასწავლო დისციპლინის სილაბუსზე მუშაობისას გახლავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ინკორპორირების აუცილებლობა სწავლების პროცესში. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სასწავლო დისციპლინის უპირველესი დანიშნულებაა სტუდენტებს მიაწოდოს შესაბამისი ცოდნა და განუვითაროს ის უნარები, რომლებიც მათ დაეხმარებათ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის გზით ძირითადი უფლებების დაცვაში, აუცილებელია, რომ მათ სტრუქტურირებულად გაანალიზებული ჰქონდეთ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და სტანდარტები კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის საკითხებთან თუ ძირითადი უფლებების შინაარსთან, ფარგლებთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საფუძვლებთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სარჩელის/წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხს, რომელიც, გარკვეულწილად, განსაზღვრავს სასამართლოს მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების ეფექტიანობასა და დროულობას.⁷ ამ მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს საკმაოდ განვითარებული პრაქტიკა და მყარად დადგენილი სტანდარტები, რომელთა გააზრებაც სტუდენტებს დაეხმარებათ, მაგალითად, სადავო ნორმების სწორად იდენტიფიცირებაში, სარჩელის დასაბუთებაში, რაც შედეგად განაპირობებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების დასაშვებობის ეტაპის წარმატებით გავლას. ამასთან, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული,

⁷ ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2017 წელი, გვ. 8.

რომ კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების სასამართლოს მიერ განხილვის პერსპექტიულობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, არა მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის დავის საგნის სწორად ფორმულირებაზე, არამედ სადავო ნორმასა და კონსტიტუციის დებულებებს შორის შინაარსობრივი მიმართების დასაბუთებაზეც. ამდენად, მიზანშეწონილია საგნის სწავლებისას გარკვეული დროის დათმობა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით ძირითადი უფლებების დაცული სფეროების გამიჯვნისა თუ უფლების შინაარსის სწორად იდენტიფიცირების საკითხზე, მით უმეტეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა დინამიურად ვითარდება, ახლებურად ხდება ძირითადი უფლებების ფარგლებისა და შინაარსის გააზრება და იცვლება თავად სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ არ უნდა მოხდეს სხვა მატერიალური ძირითადი უფლებების სასწავლო დისციპლინის გადაფარვა და გამეორება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე საბაკალავრო საფეხურზე საკონსტიტუციო სამართალწარმოების დისციპლინის სწავლებისთვის ოპტიმალურად მისაღები დროის შერჩევა. საკონსტიტუციო სამართალწარმოება თავისი არსით მჭიდროდაა დაკავშირებული საჯარო სამართლის სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებთან – საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა სამართალთან და, ზოგადად, მოითხოვს ფართო, კომპლექსური ცოდნის აკუმულირებას. ამიტომაც, შესაძლოა სტუდენტებს იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დაწყებიდან მალევე არ განუვითარდეთ შესაბამისი ცოდნა/უნარები საგნის სპეციფიკის სრულად ასათვისებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგნის სწავლებისათვის შედარებით ეფექტიანი შეიძლება იყოს მესამე-მეოთხე სემესტრის შემდგომი პერიოდი, როდესაც სტუდენტებს შექმნილი აქვთ საბაზისო სამართლებრივი ცოდნა და გავლილი აქვთ ამ საგნის სწავლების წინაპირობად მიჩნეული სხვა სასწავლო დისციპლინები (მაგალითად, იგივე ადამიანის უფლებათა სამართალი).

ყოველივე ზემოაღნიშნულის და, აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ ეს სასწავლო დისციპლინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ისწავლება „საკონსტიტუციო კონტროლი და სამართალწარმოების“ სახელწოდებით, სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების შედარებით სრულად

წარმოსაჩინად მიზანშეწონილია სანიმუშოდ მივუთითოთ ის ძირითადი თემები, რომლებიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ამ სალექციო კურსის სილაბუსში იყოს წარმოდგენილი⁸:

- **საკონსტიტუციო კონტროლის არსი, ისტორიული განვითარება და მოდელები. საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელის ფორმირება:** კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობა და საკონსტიტუციო კონტროლის არსი. ძირითადი ტერმინების მნიშვნელობა. საკონსტიტუციო კონტროლის განვითარების ისტორია. საკონსტიტუციო კონტროლის მოდელები: ანგლო-საქსური მოდელი, ევროპული მოდელი და საკონსტიტუციო კონტროლის შერეული მოდელი. საკონსტიტუციო კონტროლის სახეები. საკონსტიტუციო კონტროლის ქართული მოდელი და მისი ფორმირება.
- **საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების სტატუსი და ორგანიზაცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტრუქტურა:** საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების ფორმირება, სტატუსი, ორგანიზაცია, უფლებამოსილების ვადები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის სისტემა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსი და გარანტიები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობა, სტრუქტურა და თანამდებობის პირები. შიდა ორგანიზაცია და აპარატი.
- **საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს (საკონსტიტუციო სასამართლოს) ადგილი სახელისუფლებო სისტემაში:**

⁸ ჩამოთვლილი სალექციო თემები შერჩეულია საკონსტიტუციო მართლმსაჯულებისა და სამართალწარმოების სალექციო კურსისთვის ამჟამად არსებული სახელმძღვანელო ლიტერატურის სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით და აერთიანებს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე სამართალწარმოების პროცესუალურ თემებს (იხ. *ლოლაძე, ბესიკ/ მაჭარაძე, ზურაბ/ ფირცხალაშვილი, ანა*, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება, 2021; *ბარამაშვილი, თამარ/ მაჭარაშვილი, ლელა*, კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021).

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი სახელისუფლებო სისტემაში. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები. საკონსტიტუციო სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლება; საკონსტიტუციო სასამართლო როგორც ნეგატიური კანონმდებელი. საკონსტიტუციო სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოების სისტემა.

- **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები:** ძირითადი უფლებების შეზღუდვის კონსტიტუციურობის კონტროლი; ნორმათა აბსტრაქტული კონტროლი; საერთო სასამართლოს წარდგინება; დავა უფლებამოსილების შესახებ (კომპეტენციური დავების გადაწყვეტა); საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობის კონტროლი; დასკვნა იმპიჩმენტის თაობაზე; დეპუტატის მანდატის კონსტიტუციურობის კონტროლი; პოლიტიკური პარტიების კონსტიტუციურობის კონტროლი; რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის კონტროლი; მუნიციპალური კონსტიტუციური სარჩელი; დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის კონტროლი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება.
- **საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპები; კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება; საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები; სამართალწარმოების ვადები:** საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრინციპები – კანონიერების, კოლეგიალობის, საქვეყნოობის, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები, მოსამართლის დამოუკიდებლობა, ხელშეუხებლობა და შეუცვლელობა; კონსტიტუციური სარჩელი და კონსტიტუციური წარდგინება – სარჩელის რეკვიზიტები; საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები – სუბიექტები, მათი უფლება-მოვალეობები. სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (*Amicus Curiae*). საკონსტიტუციო სამართალწარმოების ვადები.
- **კონსტიტუციური სარჩელის განხილვის პროცე-**

დურა და ეტაპები საქართველოში: საკონსტიტუციო სამართალწარმოების დაწყება და საქმეთა განაწილება: დასაშვებობის ფორმალური საფუძვლები; კონსტიტუციური სარჩელის და წარდგინების რეგისტრაცია; კოლეგიისთვის ან პლენუმისთვის საქმის გადაცემა; მომხსენებელი მოსამართლის დანიშვნის წესი; განმწესრიგებელი სხდომის დანიშნულება; კონსტიტუციური სარჩელის და კონსტიტუციური წარდგინების არსებითად გადაწყვეტა; არსებითი განხილვის სხდომა (დისტანციური სხდომა).

- **სარჩელისა და წარდგინების არსებითად მიღება – სარჩელის დაუშვებლობის საფუძვლები:** კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნა – მატერიალური დასაშვებობის საფუძვლები (მოქმედი ნორმატიული აქტის გასაჩივრების მოთხოვნა; სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრა და უფლებაშემზღუდველი წესის იდენტიფიცირება; ნორმატიულ აქტში გამოყენებულ „ტერმინთა განმარტების“, სიტყვათა ერთობლიობის, რაიმე წესის გავრცელების გამომრიცხავი ნორმის ან მიმთითებელი ნორმის გასაჩივრება; სადავო ნორმის გასაჩივრება მისი ბუნდოვანების საფუძვლით; კონსტიტუციური უფლებასთან სადავო ნორმის მიმართების დამდგენი სტანდარტები: უფლების შეზღუდვის არაკონსტიტუციურობის მტკიცების ვალდებულება; კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიური მნიშვნელობა; უფლების შეზღუდვისა და მისი გვერდითი ეფექტის გამიჯვნა; სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც არ ადგენენ ძირითად უფლებას); კონსტიტუციური უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა; უფლებამოსილი სუბიექტის საკითხი; საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა; საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე დადგენილი პრაქტიკის შეცვლა; კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადის დარღვევა; ზემდგომი ნორმის გასაჩივრება; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმებთან დაკავშირებით.⁹

⁹ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის მატერია-

- **უფლების შეზღუდვის ფორმალური კანონიერება:** კონსტიტუციის მოთხოვნა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ უფლებათა შეზღუდვაზე და ამ უფლებამოსილების დელეგირების სტანდარტები; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა დელეგირების სტანდარტებთან დაკავშირებით.
- **უფლების დაცვის პრევენციული მექანიზმი და საქმის შეწყვეტის საფუძვლები** სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით). საქმის შეწყვეტის საფუძვლები; პრაქტიკის დამძლველი ნორმების არაკონსტიტუციურად გამოცხადება განმმსწერიგებელ სხდომაზე.
- **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები, მათი იურიდიული ძალა, სავალდებულო მოქმედება და აღსრულება:** საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები: გადწყვეტილება, დასკვნა, განჩინება, საოქმო ჩანაწერი; განსხვავებული და თანმხვედრი აზრი; მათი მიღების წესი; საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების გამოცხადება და გამოქვეყნება; საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ძალაში შესვლა; სასამართლოს აქტების იურიდიული ძალა, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების აღსრულება.

IV. დასკვნა

სალექციო კურსის ძირითადი თემების სანიმუშო ჩამონათვალიდანაც ვფიქრობთ, კარგად ჩანს საკონსტიტუციო სამართალწარმოების სასწავლო დისციპლინის საუნივერსიტეტო სწავლების მნიშვნელობა და პრაქტიკული დანიშნულება. სწავლების ამ მოკლე პერიოდშიც კი სახეზეა ხელშეახები შედეგები, რომელიც, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმ

სტუდენტთა მიერ საკუთარი თუ სხვათა უფლებების საკონსტიტუციო სასამართლოს გზით დაცვის შემთხვევებში ვლინდება, რომლებმაც წარმატებით გაიარეს საკონსტიტუციო სამართალწარმოების კურსი. საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების შედეგად სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა აქტიური სწრაფვა და დაინტერესება კონსტიტუციური კონტროლის პროცესში მონაწილეობაზე ცხადყოფს, რომ ძალისხმევა მიმართული საგნის სწავლებისკენ შედეგიანია. აღნიშნული სასწავლო დისციპლინის სწავლების რამდენიმე წლიანმა გამოცდილებამ გარკვეული გამოწვევებიც გამოაშკარავა. მათ შორის, სისხლის და სამოქალაქო საპროცესო დარგების პარალელურად სტუდენტების მხრიდან საკონსტიტუციო სამართალწარმოების სწავლების მნიშვნელობის არასათანადო გაცნობიერება, ამ საგნისათვის საჭირო საფუძვლების/წინაპირობების სათანადოდ არცოდნა, ლიტერატურის სიმწირე და საკონსტიტუციო სასამართლოს დინამიური პრაქტიკის გათვალისწინებით არსებული წყაროების განახლების საჭიროება, სასწავლო სილაბუსებში სასამართლოს იურისპრუდენციის არასაკმარისი ინკორპორირება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საუნივერსიტეტო წრეების თანამშრომლობით საკონსტიტუციო სამართალწარმოების აქტუალური საკითხების ირგვლივ აკადემიური დისკუსია გაგრძელდება, რაც სასწავლო სილაბუსების განახლებას, მათ სრულყოფას, სამეცნიერო და სახელმძღვანელო ლიტერატურის შემდგომ შემუშავებას შეუწყობს ხელს და საბოლოო ჯამში საკონსტიტუციო კონტროლის და სამართალწარმოების ეფექტიანობის ზრდას განაპირობებს.

ლური საფუძვლების მნიშვნელობიდან და საკითხების მოცულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ამ თემის შედარებით ვრცელი სწავლება სალექციო კურსის ფარგლებში. დანვრილებით იხ. *ბარამაშვილი, თამარ/ მარჯარაშვილი, ლელა*, კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2021.

აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძვლები და უდანაშაულობის პრეზუმფცია

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქ. **გიორგი თუმანიშვილი LL.M.**
(ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

I. შესავალი

სისხლის სამართლის პროცესში ერთმანეთს უპირისპირდება ბრალდებულის კონსტიტუციური გარანტიებისა და ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველყოფის ინტერესები. ინტერესთა კონფლიქტი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბრალდებულის მიმართ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისას, როდესაც ჯერ კიდევ უდანაშაულო პირს ეზღუდება თავისუფლება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიებათა შორის, პატიმრობა წარმოადგენს პირის თავისუფლებისა და სხვა კონსტიტუციურ გარანტიებში სახელმწიფოს მხრიდან ყველაზე უფრო უხეში ჩარევის ფორმას. პატიმრობის შედეგად ბრალდებულს თავისუფლებასთან ერთად ეზღუდება პირადი, ოჯახური, სოციალური და შრომითი ურთიერთობები. ხშირად პატიმრობას თან სდევს ასევე სოციალურ გარემოსა და საზოგადოებაში ბრალდებულის მძიმე დისკრიმინაციის ეფექტი. ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენება საზოგადოებაში, როგორც წესი აღიქმება როგორც მინიშნება პირის ბრალეულობაზე, რასაც შეუძლია გაართულოს ბრალდებულის სრული რეაბილიტაცია მაშინაც კი, თუ იგი მოგვიანებით გამართლდება წარდგენილ ბრალდებაში.¹

პატიმრობის თანმდევ შეზღუდვებზე ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და მიუთითებს იმაზე, რომ „...პატიმრობაში ყოფნა მოითხოვს პირის ინტეგრაციას ახალ და ზოგჯერ მტრულ გარემოში ასევე სხვა პატიმრებთან ერთად აქტივობების განხორციელებას, ან რესურსების გაზიარებას, დისციპლინის დაცვას, ადმინისტრაციის მხრიდან ყოველდღიურად, ოცდაოთხი საათის განმავლობაში ზედამხედველობას და კონტროლს. მაგალითად, დაკავებულს არ შეუძლია თავისუფლად აირჩიოს, როდის წავიდეს დასაძინებლად, მიიღოს საკვები, დაიკმაყოფილოს პირადი ჰიგიენის საჭიროებები, გავიდეს სუფთა ჰაერზე ან განახორციელოს სხვა აქტივობები.“² ამრიგად, ბრალდებულის პატიმრობასა და მსჯავრდებულისთვის თავისუფლების აღკვეთას შორის თავისი შედეგებით არსებობს დიდი მსგავსება. ამ შემთხვევაში კი საყურადღებოა უდანაშაულობის პრეზუმფციის გარანტია, რომელიც პირის მიმართ სასჯელის ან სასჯელის მსგავსი ღონისძიების გამოყენებას უკავშირებს ამ უკანასკნელისთვის ბრალის დამტკიცებას და კანონიერ ძალაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის შესვლას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე სტატიის ძირითადი მიზანია, პატიმრობის გამოყენების საფუძვლების უდანაშაულობის პრეზუმფციის ქრილში შეფასება. ამ მხრივ, განსაკუთრებულ მსჯელობას საჭიროებს ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის თავიდან არიდების მიზნით პატიმრობის გამოყენების შემთხვევა, რომელიც თავისი ბუნებით წარმოადგენს პრევენციულ-სამართლებრივ ღონისძიებას და ნაკლებად არის კავშირში სისხლის სამართლის პროცესის ლეგიტიმურ მიზნებთან.

უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური გარანტია არის ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი, რომელსაც პატივცემული იუბილარი, პროფესორი,

უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური გარანტია არის ერთ-ერთი იმ საკითხთაგანი, რომელსაც პატივცემული იუბილარი, პროფესორი,

¹ იხ. ასევე Weiland, Bernd, Einführung in die Praxis des Strafverfahrens, 2. Aufl., 1996, S. 41; Langner, Stefan, Untersuchungshaftanordnung bei Flucht- und Verdunkelungsgefahr, 2003, S. 21-22.

² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ბუზადჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ“, განაცხადის N 23755/07, ველის ნომერი 112. (ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-164928%22%7D>), ბოლოს ნანახია: 04.08.2024).

დოქტორი მერაბ ტურავა შეეხო თავისი ფართო სამეცნიერო მოღვაწეობის განმავლობაში. სწორედ მას ეკუთვნის საქართველოს კონსტიტუციის კომენტარებში³ უდანაშაულობის პრეზუმფციის თაობაზე კვლევა. მაქვს პატივი, მივულოცო მას 60 წლის იუბილე და მივუძღვნა წარმოდგენილი სტატია. ამასთან, მსურს გამოვხატო მის მიმართ ჩემი პატივისცემა და მადლიერება, სტუდენტობისას და მას შემდეგაც ჩემთვის განუღიმიე დიდი მხარდაჭერისთვის.

II. უდანაშაულობის პრეზუმფცია და მისი ზეგავლენა სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენებაზე

უდანაშაულობის პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის საკვანძო პრინციპსა და უმნიშვნელოვანეს პროცესუალურ გარანტიას, რომელიც სათავეს იღებს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. უდანაშაულობის პრეზუმფციას, როგორც საქმის სამართლიანი წარმოების პრინციპის გამოხატულებას, ვხვდებით აგრეთვე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციაში, რომლის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში დააკონკრეტა ზემოაღნიშნული კონსტიტუციური გარანტიის შინაარსი. მისი განმარტებით, „უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც მათ შორის გულისხმობს, ყველას მოექცნენ იმ დაშვებით, რომ ის უდანაშაულოა მანამ, ვიდრე

ჯეროვანი პროცედურის გავლით სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა“.⁴ ამასთან, „უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუნდამენტური პროცესუალური პრინციპის აღიარებით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, უზრუნველყოს სახელმწიფოს როგორც სისხლის სამართლის პროცესში ინსტიტუციურად ძლიერი მხარის გონივრული შეკავება. იგი კანონმდებელს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც შეძლებს სისხლისსამართლებრივ პროცესს დაქვემდებარებული პირის ინტერესების ჯეროვან დაცვას, არ ჩააყენებს მას არათანაბარ (არასამართლიან) პირობებში და გამორიცხავს სახელმწიფო ორგანოთა მიერ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკს“.⁵ ამასთან, უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს მთლიანი პროცესის განმავლობაში და იგი გასათვალისწინებელია როგორც, გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის სასამართლო განხილვის დროს,⁶ მათ შორის საქმის სააპელაციო და საკასაციო წარმოებისას.⁷ აღსანიშნავია, რომ გამოძიების ეტაპზე უდანაშაულობის პრეზუმფციამ ბრალდებული უნდა დაიცვას განსაკუთრებით თვითნებური და გაუმართლებელი საპროცესო მოქმედებებისგან, რომელშიც მოიაზრება აგრეთვე აღკვეთის ღონისძიებები.⁸

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-62. (ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=431>, ბოლოს ნანახია: 04.08.2024).

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33. (ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1123>, ბოლოს ნანახია: 04.08.2024).

⁶ იხ. ტურავა, მერაბ, წიგნში: ტურავა (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, გვ. 487.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N2/7/636 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31. (ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1123>, ბოლოს ნანახია: 04.08.2024).

⁸ შეად. Schubert, Sindy, Die Untersuchungshaft und Untersuchungshaftvollzug im Lichte der Unschuldsvermutung,

³ იხ. ტურავა, მერაბ, წიგნში: ტურავა (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, გვ. 486-დან.

უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, პირს სასჯელი შეიძლება მხოლოდ მაშინ დაენიშნოს, თუკი სამართლიანი პროცესის პირობებში დადასტურდება მის მიერ დანაშაულის ჩადენა. იგივე ეხება აგრეთვე ისეთი სახის ღონისძიებებსაც, რომლებიც თავისი სიმძიმიდან და ეფექტიდან გამომდინარე უთანაბრდებიან სასჯელს. უდანაშაულობის პრეზუმფცია ზოგადად უზრუნველყოფს ბრალდებულის დაცვას სასჯელის მსგავსი იმგვარი დამაზიანებელი ზემოქმედებისგან, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობილი პირების შემთხვევაში.⁹ ამავდროულად, პირის გასამართლება და მისთვის ბრალის დამტკიცება უნდა მოხდეს სამართლებრივსახელმწიფოებრივი და სამართლიანი პროცესის შედეგად, სადაც მათ შორის, უზრუნველყოფილი იქნება ბრალდებულის დაცვის უფლებები.¹⁰

მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური გარანტიისა, ნებადართულია გამოძიების ეტაპზე ბრალდებულის მიმართ იმგვარი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც არსებითად ზღუდავენ მის ფუნდამენტურ უფლებებს. როდესაც საუბარია ბრალდებულის კონსტიტუციურ უფლებებში სისხლისსამართლებრივი მექანიზმებით ჩარევაზე, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ უფლებათა შეზღუდვა ზოგადპრევენციული მიზნებით და უფლებებში ჩარევა, როდესაც გამიზნულია სისხლის სამართლის პროცესის მიზნების რეალიზება. ისეთი ჩარევა, რომელიც უშუალოდ ემსახურება ზოგადპრევენციული მიზნების მიღწევას (მაგალითად, სასჯელის შემთხვევაში) დასაშვებია მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე და სხვაგვარად ადამიანის უფლებებში ასეთი ჩარევა ვერ იქნება გამართლებული.¹¹ ზოგადპრევენციული ბუნების სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების უშუალო მიზანია, საზოგადოების

წევრების მხრიდან სამართლისადმი პატივისცემის შეგრძნების გამყარებასთან ერთად, მათი ერთგვარად დაშინება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სხვა დანაშაულებრივი ქმედებები.¹² ამიტომ, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებს, რომლებიც უშვებენ ადამიანის უფლებებში ჩარევის შესაძლებლობებს, არ შეიძლება გააჩნდეთ უშუალო ზოგადპრევენციული მიზნები, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ნორმები პირდაპირ მოვლენ წინააღმდეგობაში კონსტიტუციასთან.¹³ ამისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ისეთი საპროცესო იძულების ღონისძიებები, რომლებმაც სისხლის სამართლის პროცესის განხორციელება და სასჯელის აღსრულება უნდა უზრუნველყონ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნენ მხოლოდ მომეტებული საჯარო ინტერესების გათვალისწინებით და თანაზომიერების პრინციპის დაცვით.¹⁴ სისხლის სამართლის პროცესი მხოლოდ მაშინ შეიძლება წარმართოს ჯერონად და გაირკვეს პირის დამნაშავეობის საკითხი, თუკი საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს ექნებოდათ დანაშაულის გასხნისთვის და მტკიცებულებების მოპოვებისთვის ვარგისი საპროცესო მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობები. ამიტომ, უდანაშაულობის პრეზუმფცია ზოგადად არ აბრკოლებს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენებას, თუკი ასეთი ღონისძიების გამოყენება არ ხდება დაუსაბუთებლად და თანაზომიერების პრინციპის უგულვებელყოფით.¹⁵

სისხლის სამართლის პროცესი გამოძიების ეტაპზე იცნობს სხვადასხვა იძულებით ღონისძიებებს, რომლებიც ბრალდებულის მიმართ გამოიყენება. ნაწილი ასეთი ღონისძიებებისა ხორციელდება მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით და პირისთვის წარდგენილი ბრალდების გასამყარებლად. სხვა მხრივ, არსებობს აგრეთვე აღკვეთის

unter besonderer Berücksichtigung des Thüringer Untersuchungshaftvollzugs, 2016, S. 18.

⁹ იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1991 წლის 12 ნოემბრის N 2 BvR 281/91 და ასევე 1990 წლის 29 მაისის N 2 BvR 254/88 გადაწყვეტილებები.

¹⁰ Stuckenberg, Carl-friedrich, Untersuchungen zur Unschuldsvermutung, 1997, S. 50.

¹¹ შეად. Frister, Helmut, Schuldprinzip, Verbot der Verdachtsstrafe und Unschuldsvermutung als materielle Grundprinzipien des Strafrechts, 1988, S. 92-93.

¹² შეად., ტურავა, მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 45.

¹³ Frister, Helmut, Schuldprinzip, Verbot der Verdachtsstrafe und Unschuldsvermutung als materielle Grundprinzipien des Strafrechts, 1988, S. 93.

¹⁴ შეად. Stuckenberg, Carl-friedrich, Untersuchungen zur Unschuldsvermutung, 1997, S. 101.

¹⁵ შეად. Schubert, Sindy, Die Untersuchungshaft und Untersuchungshaftvollzug im Lichte der Unschuldsvermutung, unter besonderer Berücksichtigung des Thüringer Untersuchungshaftvollzugs, 2016, S. 96.

ლონისძიებებიც, რომლებიც გამოიყენება იმისათვის, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, ალიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და უზრუნველყოფილი იქნეს განაჩენის აღსრულება.¹⁶ რამდენადაც სახელმწიფოს გააჩნია ქმედითი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის კონსტიტუციური ვალდებულება, ალიკვეთის ღონისძიებებმა ამ მხრივ ხელი უნდა შეუწყოს სისხლის სამართლის პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას ბრალდებულის არასათანადო ქცევის აღკვეთის გზით. ასეთ ღონისძიებათა რიცხვს მიეკუთვნება ასევე პატიმრობაც, რომელიც თავისი ბუნებიდან და ბრალდებულზე ზემოქმედების მოხდენის ფორმიდან გამომდინარე სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს უკიდურესად მკაცრ პროცესუალურ ღონისძიებასა და ბრალდებულის უფლებებში ჩარევის ყველაზე უფრო ინტენსიურ საშუალებას.¹⁷ ბრალდებულისთვის თავისუფლების აღკვეთას, დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისა და ქმედითი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად, მაშინ, როდესაც ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის მხოლოდ ვარაუდები არსებობს, გააჩნია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან კონფლიქტის მნიშვნელოვანი პოტენციალი.¹⁸ სწორედ ამიტომ, პატიმრობის თმენა მიიჩნევა იმ „განსაკუთრებულ მსხვერპლად“, რომელიც ბრალდებულმა უნდა გაიღოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური გარანტიიდან გამომდინარე, პატიმრობის გამოყენება, როგორც განსაკუთრებული მსხვერპლის გაღების ფორმა, უნდა მოექცეს ვინრო ჩარჩობებში და დაყვანილ იქნეს იგი უკანასკნელ საშუალებამდე (*ultima ratio*).¹⁹

იმის გათვალისწინებით, რომ ალიკვეთის ღონის-

ძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში ხდება ბრალდებულის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიის ძვირფას ფორმით შეზღუდვა და ამავდროულად, გააჩნია მას ბრალდებულის პიროვნებისთვის საზიანო შედეგები და ეფექტი, არ შეიძლება მარტივად იქნეს უარყოფილი მისი სასჯელთან გარკვეული სიახლოვე. თუკი პატიმრობას სასჯელის ან სასჯელის მსგავსი ღონისძიებისთვის დამახასიათებელი ელემენტებით დავასაბუთებდით, მაშინ უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნიდან გამომდინარე, შეუძლებელი იქნებოდა მისი ბრალდებულის სასამართლოს დამნაშავედ ცნობამდე გამოყენება. შესაბამისად, სამსჯელოა იმ კონკრეტულ კრიტერიუმებზე, რაც განასხვავებს ალიკვეთის ღონისძიებას სასჯელისაგან.²⁰

როგორც აღინიშნა, სასჯელი და ბრალი არიან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული. სასჯელი ენიშნება პირს მხოლოდ მაშინ, როდესაც დამტკიცდება მის მიერ ქმედების ბრალეულად ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიზანია, დაიცვას ბრალდებულის სასჯელისა და სხვა „რეპრესიული ხასიათის“ მოპყრობისგან, ვიდრე არ დამტკიცდება მისი ბრალეულობა. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო იძულების ღონისძიება შეიძლება დაკავშირებული იყოს პირისთვის თავისუფლების აღკვეთასთან, იგი ვერ განიხილება სასჯელად, ან სასჯელის მსგავს ღონისძიებად, თუკი ასეთ ღონისძიებას არ გააჩნია პირის „სადამსჯელო“ ხასიათი და ფუნქცია. ამ მხრივ საინტერესოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება, რომელიც პატიმრობას, როგორც საპროცესო იძულების ღონისძიებას ცალკეულ ფაქტორებზე დაყრდნობით მიჯნავს სასჯელისაგან და მიუთითებს, რომ საპროცესო იძულების ღონისძიებად პატიმრობა ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით. სასამართლო ბრალდებულისთვის თავისუფლების აღკვეთას გამართლებულად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მხრივ, ბრალდებულის უდანაშაულობაში ეჭვის შეტანის კონკრეტული ფაქტორივი გარემოებებით გამყარებული საფუძვლიანი

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომ შემოკლებულია, როგორც სსსკ) 198-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁷ იხ. ასევე *Herrmann, David*, ნიგნში: *Satzger/Schluckebier (Hrsg.), Strafprozessordnung mit GVG und EMRK, 3. Aufl., 2018, § 112, Rn. 1.*

¹⁸ შეად. *Schubert, Sindy*, *Die Untersuchungshaft und Untersuchungshaftvollzug im Lichte der Unschuldsvermutung, unter besonderer Berücksichtigung des Thüringer Untersuchungshaftvollzugs*, 2016, S. 131.

¹⁹ *Herrmann, David*, ნიგნში: *Satzger/Schluckebier (Hrsg.), Strafprozessordnung mit GVG und EMRK, 3. Aufl., 2018, § 112, Rn. 3.*

²⁰ ასევე შეად. *Schubert, Sindy*, *Die Untersuchungshaft und Untersuchungshaftvollzug im Lichte der Unschuldsvermutung, unter besonderer Berücksichtigung des Thüringer Untersuchungshaftvollzugs*, 2016, S. 132.

ვარაუდი არსებობს და მეორემხრივ, დანაშაულის სრულფასოვნად გახსნისა და დამნაშავის დასჯის ლეგიტიმური საჯარო ინტერესი სხვაგვარად ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუ არა ბრალდებულის დროებით დაპატიმრების გზით. ამავდროულად, სასამართლო გამორიცხავს ზემოხსენებულის გარდა ბრალდებულის სხვა მიზნების მისაღწევად დაპატიმრებას.²¹

ამრიგად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება არ მოვა წინააღმდეგობაში უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებთან, თუკი აღნიშნული განხორციელება **თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით** იმ პირის მიმართ, ვისაც კონკრეტული გარემოებები **ამკარად ამხელენ დანაშაულის ჩადენაში**. ამასთან, სასამართლო ხაზს უსვამს პატიმრობის გამოყენების მიზანს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა მდგომარეობდეს **სისხლის სამართლის პროცესის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფაში**. ამ მხრივ საინტერესოა პატიმრობის თაობაზე ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების შეფასება, თუ რამდენად პასუხობენ ისინი ზემოთ განხილულ კრიტერიუმებს და სტანდარტებს.

III. პატიმრობის გამოყენების წესი და უდანაშაულობის პრეზუმფცია

სსსკ-ით დადგენილია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები და საფუძვლები. სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. აქვე კანონმდებელი ზღუდავს

²¹ იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1965 წლის 15 დეკემბრის N1 BvR 513/65 გადაწყვეტილება; იგივე პოზიცია აქვს განვითარებული სასამართლოს მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებებშიც, იხ. ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის N2 BvR 644/12 გადაწყვეტილება.

ბრალდებულისთვის პატიმრობის ან სხვა მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, თუკი მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით. ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად განსაზღვრავს დასაბუთებული ვარაუდის არსებობას, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

რაც შეეხება პატიმრობას, როგორც აღკვეთის ღონისძიებას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განიხილავს მას, როგორც ყველაზე მკაცრ ზომად და მის გამოყენებას უშვებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს **ერთადერთი საშუალებაა**, რათა თავიდან იქნეს აცილებული: ა) ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბ) ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა; გ) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა. ამრიგად, პატიმრობა გამოიყენება, როდესაც სახეზეა ამისთვის კანონით დადგენილი როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლები. ზემოთ მითითებული ფორმალური საფუძვლები ფაქტობრივი გარემოებებით უნდა იყოს გამყარებული. ამასთან საგულისხმოა, რომ პატიმრობა, ისევე როგორც სხვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ბრალდებულად ცნობილი პირის მიმართ, ანუ იმ პირის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც არსებობს **დასაბუთებული ვარაუდი**, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. მაშასადამე, პატიმრობის გამოყენებისთვის საკმარისია სსსკ-ით გათვალისწინებული **ყველაზე უფრო სუსტი მტკიცებულებითი სტანდარტი** – „დასაბუთებული ვარაუდი“.²²

ის გარემოება, რომ ყველა აღკვეთის ღონისძიებასთან მიმართებით ერთი და იგივე მტკიცებითი

²² სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილით დასაბუთებული ვარაუდი განმარტებულია როგორც, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.

სტანდარტია კანონმდებლობით დადგენილი, აჩენს ასეთი მიდგომის სისწორესთან დაკავშირებით კითხვებს. პატიმრობა, რომელიც სხვა აღკვეთის ღონისძიებებთან შედარებით, ყველაზე მკაცრ ზომას და ბრალდებულის თავისუფლების კონსტიტუციურ გარანტიაში ჩარევის უკიდურეს საპროცესო სამართლებრივ ღონისძიებას წარმოადგენს, რამდენად შეიძლება მისი გამოყენება გამართლებული იქნეს იმ ბრალდებულის მიმართ, რომლის დამნაშავეობასთან დაკავშირებითაც მაღალი ალბათობა არ არსებობს და ამის თაობაზე სისხლის სამართლის საქმის მასალები მხოლოდ „მარტივი ვარაუდის“ საფუძველს იძლევიან. რამდენად მართებულია, ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით ერთი და იგივე ხარისხის ვარაუდის საფუძველზე, პირს აღკვეთ ღონისძიებად შეეფარდოს პატიმრობაც და პირადი თავდებობაც. ამგვარი მიდგომა პატიმრობის *ultima ratio* ბუნებას ეჭქვეშ აყენებს და მას უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებთანაც აპირისპირებს.²³

იმისათვის, რომ სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მისაღწევად პირს აღკვეთის თავისუფლება, საჭიროა მინიმუმ არსებობდეს კონკრეტული სამხილებით გამყარებული მოლოდინები პირის დამნაშავეობისა და ამ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობის შესახებ, რასაც სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი ვერ აკმაყოფილებს. ცხადია, აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ხდება სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ ეტაპზე და არასწორი იქნებოდა ამისათვის ისეთივე მკაცრი მტკიცებულებითი სტანდარტის მოთხოვნა, რაც დადგენილია საქმის არსებითი განხილვის დროს მოსამართლის მიერ განაჩენის გამოტანისთვის. ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ პირის თავისუფლების კონსტიტუციურ გარანტიაში ასეთი ინტენსიური ჩარევისთვის დადგენილი მტკიცებულებითი სტანდარტი უნდა აკმაყოფილებდეს უფრო მკაცრ მოთხოვნებს ვიდრე ეს „დასაბუთებული ვარაუდის“ სტანდარტია. მხოლოდ ამ გზით იქნებოდა პატიმრობის უკანასკნელ საშუალებად გამოყენება

და ბრალდებულის კონსტიტუციური გარანტიების დაცვა უზრუნველყოფილი.

სუსტი მტკიცებულებითი სტანდარტი ბრალდებულებს თავიდან ვერ აარიდებს თავისუფლების კონსტიტუციურ გარანტიაში მასიურად ჩარევებს და ამასთან, იგი ნაკლებად აკმაყოფილებს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებს. აღნიშნულის კარგ მაგალითს იძლევა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 112-ე პარაგრაფიც ადგენს ძლიერ მტკიცებით სტანდარტს (*dringender Tatverdacht*) აღკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოსაყენებლად. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, გამოძიების შედეგებზე დაყრდნობით, ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს დიდი ალბათობა და ამასთან, უნდა იყოს მისი გასამართლების შესაძლებლობის მაღალი მოლოდინის საფუძველი.²⁴ ამრიგად, გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დაუშვებელია ნებისმიერი ბრალდებული პირის მიმართ პატიმრობის შეფარდება, თუ არ არის მოცემული მის შესაძლო დამნაშავეობასთან დაკავშირებით ამგვარი ვარაუდის საფუძველი.

რაც შეეხება პატიმრობის გამოყენების კანონით განსაზღვრულ ისეთ მიზნებს როგორცაა, ბრალდებულის მიმალვისა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, ისევე როგორც, ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლის აღკვეთა, ცალსახად ემსახურება სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების ინტერესებს. ამ მხრივ საკითხავია, თუ რამდენად პასუხობს ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენცია, პატიმრობის გამოყენების ლეგიტიმურ მიზანს. სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას პატიმრობის საფუძველად განიხილავს, საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სამართლებრივი სიკეთეების დაცვას ბრალდებულის მხრიდან სამომავლო დანაშაულებრივი ქმედებებისგან. ამრიგად, აღნიშნულ ნორმას გააჩნია პრევენციულ-საპოლიციო

²³ იხ. ასევე *Paeffgen, Hans-Ullrich, Vorüberlegungen zu einer Dogmatik des Untersuchungshaft-Rechts*, 1986, S. 55.

²⁴ იხ. *Herrmann, David*, წიგნში: *Satzger/Schluckebier (Hrsg.), Strafprozessordnung mit GVG und EMRK*, 3. Aufl., 2018, § 112, Rn. 7-10.

ბუნება²⁵ და ნაკლებად უკავშირდება იგი უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის შეუფერხებლად განხორციელების ინტერესებს. როგორც უკვე აღინიშნა, პატიმრობა უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში იქნებოდა მაშინ, როდესაც ასეთი ღონისძიების გამოყენება ხდება ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის მიზნებიდან გამომდინარე.

ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის თავიდან არიდების პატიმრობის საფუძვლად განსაზღვრის კონსტიტუციურობის საკითხზე იმსჯელა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ და მისი კონსტიტუციასთან შესაბამისობა დაადგინა მხოლოდ მკაცრი წინაპირობების გათვალისწინებით.²⁶ სასამართლო აღნიშნავს, რომ ახალი დანაშაულის გამეორების საფრთხე უშუალოდ არ უკავშირდება სისხლის სამართლის პროცესის სფეროს, თუმცა როდესაც ბრალდებულის დაპატიმრება ხდება დანაშაულის ჩადენის გამეორების პრევენციის მიზნით, აღნიშნული წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს. დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა კი მიეკუთვნება სისხლის სამართლის პროცესის იმ ლეგიტიმურ მიზანს, რომელიც შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების გზით.²⁷ ამასთან, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ახალი დანაშაული თავიდან ასარიდებლად ბრალდებულის პატიმრობა დასაშვებად მიიჩნია მხოლოდ განსაკუთრებით საშიშ და არა ნებისმიერი (მაგ. ნაკლებად მძიმე) კატეგორიის დანაშაულთა პრევენციის მიზნით, ისიც მაშინ, როდესაც არსებობს ბრალდებულის მიერ ცალკეული სერიოზული დანაშაულების ჩადენის მაღალი ალბათობა.

გარდა ამისა, მოცემულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო სავალდებულოდ მიიჩნევს, რომ პირს ბრალად ედებოდეს სერიოზული დანაშაულის ჩადენა და მის ბრალეულობასთან დაკავში-

რებით არსებობდეს როგორც მაღალი ალბათობა, ისე მისი დანაშაულებრივი ქმედებით გამონვეული მძიმე შედეგების გათვალისწინებით, მკაცრი სასჯელის დანიშვნის მოლოდინები. ამრიგად, გათვალისწინებული უნდა იქნეს, როგორც მოსალოდნელი დანაშაულის, ისე პირისთვის უკვე ბრალად წარდგენილი დანაშაულის სიმძიმე, რათა გამართლდეს დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის საჯარო ინტერესებით ბრალდებულის დაპატიმრება. სხვა შემთხვევაში, ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციით ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს არაკონსტიტუციურად.²⁸

სწორედ ამიტომ, გერმანული სისხლის საპროცესო სამართალი ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს პატიმრობის სხვა საფუძვლებისგან გამოყოფს და ცალკე განიხილავს. გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ დანაშაულთა ამომწურავ ჩამონათვალს (სქესობრივი დანაშაულები, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ნარკოტიკული დანაშაულები და სხვა), რომლის ჩადენის გამო ბრალდებულ პირს შესაძლოა იმავე ან მსგავსი სახის სერიოზული დანაშაულების გამეორების საფრთხის არსებობისას აღკვეთ ღონისძიებად განესაზღვროს პატიმრობა. მაშასადამე, გერმანული კანონმდებლობით ნებისმიერ ბრალდებულის მიმართ ვერ იქნება პატიმრობა გამოყენებული, რომც არსებობდეს მისი მხრიდან ცალკეული დანაშაულების გამეორების საფრთხე. მიუხედავად, ასეთი მკაცრი რეგულაციისა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, როგორც ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების საფუძველი, გერმანულ სისხლის საპროცესო სამართლის დოქტრინაში ცალკეული ავტორების მიერ აღქმულია სისხლის სამართლის პროცესისთვის უცხო სხეულად.²⁹ ასევე მითითებულია იმ გარემოებაზეც, რომ მოცემულ შემთხვევაში თავისუფლება ეზღუდება ისეთ პირს, რომლის მიერ არც ბრალად წარდგენილი დანაშაულის ჩადენის და არც მისი

²⁵ Herrmann David, ნიგნში: Satzger/Schluckebier (Hrsg.), Strafprozessordnung mit GVG und EMRK, 3. Aufl., 2018, § 112a, Rn. 1.

²⁶ იხ. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1973 წლის 30 მაისის N2 BvL 4/73 გადაწყვეტილება.

²⁷ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1973 წლის 30 მაისის N2 BvL 4/73 გადაწყვეტილება, ველის ნომერი 19.

²⁸ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1973 წლის 30 მაისის N2 BvL 4/73 გადაწყვეტილება, ველის ნომერი 19.

²⁹ Roxin, Claus/Schünemann, Bernd, Strafverfahrensrecht, 29. Aufl., 2017, S. 246.

მხრიდან მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის ეჭვი არ არის ჯერ კიდევ დადასტურებული.³⁰

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის თავიდან არიდება უშუალოდ არ უკავშირდება სისხლის სამართლის პროცესის ლეგიტიმურ მიზნებს. მას უფრო მეტი აქვს საერთო სასჯელის პრევენციულ მიზნებთან და მხოლოდ არაპირდაპირ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფასთან. სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის ამოცანაა, დაიცვას საზოგადოება პირისგან მოსალოდნელი ცალკეული დანაშაულებრივი ქმედებებისგან, რაც პირდაპირ წარმოადგენს სასჯელის კანონით გათვალისწინებულ მიზანს. ამ შემთხვევაში თვალსაჩინოა და წინა პლანზეა წამოწეული დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლის ინტერესი, ისევე როგორც ნორმის პრევენციული ბუნება და სისხლის სამართლის პროცესის ლეგიტიმური მიზნები მხოლოდ უკანა პლანზე დგას. ამიტომაც ცალსახაა, რომ პატიმრობის აღნიშნული საფუძველი არ არის თავისუფალი სასჯელის ელემენტებისგან.³¹ უდანაშაულობის პრეზუმფცია კი კრძალავს სასჯელის მსგავსი ღონისძიების პირის მიმართ გამოყენებას, როდესაც კანონით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ არ არის დადასტურებული მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

ამდენად, სსსკ-ის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით შესაძლებელია არსებობდეს საფუძვლიანი კითხვები მისი უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურ გარანტიასთან შესაბამისობის კუთხით, მით უფრო, რამდენადაც აღნიშნული ნორმა ძალიან ზოგადია. იგი უშვებს ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის პატიმრობას და ამასთან, არც ბრალდებულისგან მოსალოდნელი დანაშაულის სიმძიმეზე აკეთებს აქცენტს.

IV. დასკვნა

დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიებები, მათ შორის, აღკვეთის ღონისძიებები, წინააღმდეგობაში არ მოდის უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციურ გარანტიასთან, როდესაც ბრალდებულის მიმართ მათი გამოყენება ხდება სისხლის სამართლის პროცესის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად და არა დანაშაულთან ბრძოლის ზოგადპრევენციული მიზნებით. ამ მხრივ პრობლემურია აღკვეთის ღონისძიებად ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდება, მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების საფუძვლით, რამდენადაც ამ შემთხვევაში, პირის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიის უკიდურესი ფორმით შეზღუდვა ხდება უშუალოდ დანაშაულის პრევენციის და არა სისხლის სამართლის პროცესის ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე. ამიტომ, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან კონფრონტაცია თავიდან ვერ იქნება აცილებული, თუკი ასეთი საფუძვლით ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენება მოხდება ბლანკეტურად, ბრალდებულის მიერ ბრალად წარდგენილი დანაშაულის კატეგორიისა და მოსალოდნელი დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინების გარეშე.

³⁰ Roxin, Claus/Schünemann, Bernd, Strafverfahrensrecht, 29. Aufl., 2017, S. 221.

³¹ იხ. ასევე Hentschel, Ve, Untersuchungshaft – eine bedingte Strafe? Reflexionen zur potenziellen Strafwirkung der Untersuchungshaft, 2012, S. 101.